

# სასურსათო უსაფრთხეობის და კვების ცენტრული კვლევა



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia



OXFAM



სასურათო  
ესაფრთხოების და პვების  
ცენტრული კვლევა

კვლევის ავტორია  
ჯეოველ რისერჩი

აპრილი, 2017

მოკლე შინაარსი .....	5
გეთოგოლოგია .....	9
1 პოლიტიკური გამოწვევები .....	11
2 სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკური და ეკონომიკური პოლიტიკის და მომხედარი ცვლილებები .....	12
3 სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები ეკონომიკური მდგრადი განვითარების სფეროში .....	19
3.1 არსებობა .....	19
3.2 ხელმისაწვდომობა .....	24
3.3 მოხმარება (უტილიზაცია) .....	28
3.4 სურსათის სტაბილურობა .....	33
3.5 დამოკიდებულება .....	38
3.6 ხელმისაწვდომობა .....	44
4 სომხეთში და საქართველოში მთავრობის პოლიციარი სასურსათო უსაფრთხოების სფეროში .....	46
5 არასამთავრობო მრგანებაზე მიერთებული შესაძლებლობები სასურსათო უსაფრთხოების სექტორში .....	47
6 მედია .....	50
7 ქანართი 1: ჩესპონდენცია სია .....	54
8 ქანართი 2: გამოყენებული მასაღა .....	52

## მოკლე შინაარსი

ეს კვლევა გვთავაზობს კავკასიაში, კერძოდ, სომხეთსა და საქართველოში არსებული სასურსათო უსაფრთხოების მდგომარეობის მიმოხილვას. „რეგიონული სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება ეროვნული სტრატეგიების და მცირე ფერმერთა ხელშეწყობის გზით სამხრეთ კავკასიაში“ პროგრამის ფარგლებში 2014 წელს ოქსფამმა ჩატარა სასურსათო მდგომარეობის საბაზისო კვლევა. კვლევა მიზნად ისახავდა რეგიონში სასურსათო უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ძირითადი პრობლემების მიმოხილვას და აგრეთვე ამ თემის ირგვლივ არსებულ დისკურსს. ორივე კვლევა ხელს უწყობს პროექტის საქმიანობის განხორციელებას და ამ სფეროში შემდგომი კვლევების ჩატარებას. ეს კვლევა არის პირველი საბაზისო კვლევის განახლებული ვარიანტი და ეფუძნება FAO-ს ინდიკატორების ანალიზს, მონაცემების კამერულ ანალიზს, ოქსფამის მიერ დაფინანსებული კვლევის მიმოხილვასა და აგრეთვე მონაცემების შეგროვების მიზნით ორივე ქვეყანაში ექსპერტებთან ინტერვიუებს.

ეს კვლევა, ისევე როგორც საბაზისო კვლევა, ჩატარებულია გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სასურსათო უსაფრთხოების შეფასების მიხედვით. FAO სასურსათო უსაფრთხოების ოთხ ძირითად „სკეტს“ გამოყოფს: არსებობა, ხელმისაწვდომობა, მოხმარება და სტაბილურობა. სურსათის არსებობა არის სასურსათო პროდუქციის ფიზიკური არსებობა, ხელმისაწვდომობა კი - სურსათის ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა. მოხმარება არის მოქალაქეების მიერ ხელმისაწვდომი სურსათის მოხმარება ისე, რომ მათი კედება იყოს ჯანსაღი და კვებითი ღირებულების მქონე. სტაბილურობა არის სურსათის ხელმისაწვდომობის დაკარგვის საფრთხე ან ფასების ცვალებადობის ხარისხი დროის მოკლე მონაცემებში.

ზოგადად, ამ თითოეულთან მიმართებაში, 2014 წლიდან მომხდარი ძირითადი ცვლილებები დაკავშირებული იყო ზოგადად მსოფლიოში და რეგიონში მომხდარ მსხვილ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცვლილებებთან. მსოფლიოში სურსათის ფასები 2014 წლიდან მოყოლებული დადებითად შეიცვალა. 2014-2015 წლებში მსოფლიო სურსათის ფასების ინდექსი დაეცა 202-დან 162-დან. თუმცა, ფასების ეს გაუმჯობესება შესუსტდა რეგიონული ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, რაც გამოწვეული იყო წავთობისა და გაზის ფასების მკვეთრი დაცემით და აგრეთვე რუსეთის მიმართ სანქციების დაწესებით.

ამ მძიმე მდგომარეობამ გამოიწვია აზერბაიჯანული მანათის 140%-იანი, ქართული ლარისა და სომხური დრამის 20%-იანი გაუფასურება. ეს გაუფასურება, რა თქმა უნდა, იწვევს ადგილობრივი ვალუტის მსყიდველობითი ღირებულების დაცემას იმპორტირებული საქონლის მიმართ, ამასთანავე ზრდის ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ექსპორტს.

კავკასიის სამიერ ქვეყანა ზოგადად განიცდის რეგიონული ეკონომიკური განვითარების შენელების გავლენას. აზერბაიჯანმა უმძიმესი ფინანსური დარტყმა განიცადა საექსპორტო ფასების შემცირების გამო, მაგრამ ჰქონდა გარკვეული ბუფერი დაგროვილი რესურსების ხარჯზე. სომხეთი ძალიან დაზარალდა ფულადი გადარიცხვების შემცირების და რუსეთის ბაზარზე დამოკიდებულების გამო. საქართველომაც განიცადა ფულადი გადარიცხვების მოცულობის შემცირება, ზოგიერთ სფეროში რუსეთის მიმართულების ექსპორტის შემცირება. ამასთანავე, ბევრი ოჯახი დაზარალდა დოლარში აღებული კრედიტის გაძვირების გამო. ამ ყველაფერმა უარყოფითად იმოქმედა მოსახლეობის მიერ სურსათის ყიდვის შესაძლებლობაზე.

ამავდროულად, სომხეთმა და საქართველომ რეგიონულ ორიენტაციას მიანიჭეს უპირატესობა, რამაც საბოლოო ჯამში სერიოზული გავლენა მოახდინა მათ ეკონომიკურ ურთიერთობებსა და სასურსათო უსაფრთხოებაზე. 2014 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ასოცირების და აგრეთვე, ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო შეთანხმებებზე (DCFTA). რაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ქართველ მწარმოებლებს ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობას მისცემს. შუალედურ ეტაპზე უმნიშვნელოვანესა ის, რომ ასოცირების შეთანხმება საქართველოს ავალდებულებს, მრავალი ასპექტი მოიყვანოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასურსათო უსაფრთხოებას, ფიტო-სანიტარული საკითხების ჩატვლით. ამის შედეგად, საქართველო ევროკავშირის მხრიდან საერთაშორისო დახმარებას გაზრდილი მასშტაბით იღებს.

და პირიქით, რუსეთის მხრიდან უსაფრთხოების, გაზის მიწოდებისა და მიგრაციის სფეროში წნევის შედეგად, 2015 წლის დასაწყისში სომხეთი შევიდა ევრაზიის კავშირში (EEU). ევრაზიის კავშირში ამჟამად შედის რუსეთი, ყაზახეთი, ბელარუსი, ყირგიზეთი და სომხეთი. ევრაზიის კავშირში ყოფნა უზრუნველყოფს სომხეთიდან როგორც მიგრანტების შეყვანას, ასევე პროდუქციის შეტანას რუსეთში. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ხელმისაწვდომობა წარსულში ისედაც შეზღუდული იყო, საგარაუდოა, რომ იგი მნიშვნელოვან

ეკონომიკურ სარგებელს არ მოიტანს. ხოლო ნეგატიური მხრიდან, ევრაზიის კავშირში გაერთიანებამ შეუძლებელი გახდა ევროპასთან ასოცირების შეთანხების ხელმოწერა. ასევე, აუცილებელი გახდა რეგიონის გარეთ წარმოებულ საქონელზე სომხეთის საგარეო ტარიფების გაზრდა, რამაც საგრძნობლად აწია ფასები უამრავ პროდუქციაზე, თუმცა უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში ჩვენ ამ სამ ქვეყანაში განსხვავებულ განვითარებებს ვაკვირდებით. სომხეთში სურსათის ფასების ინდექსი მკვეთრად გაიზარდა და 2015 წელს შეადგინა 2011 წლის ღირებულების 113%, საქართველოში კი უფრო ნელა იზრდებოდა და 106 % - ს მიაღწია, ხოლო აზერბაიჯანში 96%-მდე დავარდა 2011 წელთან შედარებით.

სომხეთის გაწევრიანება ევრაზიის კავშირში პრობლემურ პერიოდს დაემთხვა. 2015 წელი იყო რეგიონული ფინანსური კრიზისის დასაწყისი, ანუ ფასები გაიზარდა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი რუსეთში შემცირდა სწორედ მაშინ, როდესაც სომხეთი რეგიონზე დამოკიდებული გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორი საკითხის ურთიერთკავშირი დამტკიცებული არ არის, უდივო, რომ გაწევრიანების პერიოდის საკითხმა, ევრაზიის კავშირში წევრობის მიმართ სომხეთში საკმაოდ უარყოფითი დამოკიდებულება გააჩინა.

აზერბაიჯანში ნავთობზე ფასების დაცვას გარკვეული მიმართულებებით ყველაზე საგრძნობი შედეგი მოჰყვა. ამ კრიზისმა გამოიწვია ვალუტის უდიდესი დევალვაცია რეგიონში, რომელიც არ გაუმჯობესდა მაშინაც კი, როდესაც ნავთობზე ფასები გაიზარდა. რაც შეეხება რუსეთს, აქ პირიქით, მნიშვნელოვან აღორძინებას ჰქონდა ადგილი. ეს ამყარებს აზრს, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკური სისტემა საკმაოდ მოწყვლადია და ნახშირწყლებიდნ მიღებული შემოსავალი, ერთი მხრივ, ხელს უწყობს მის განვითარებას, მაგრამ ამავდროულად უარყოფითად მოქმედებს მასზე. შედეგად, ფინანსური კრიზისის მომენტალური გავლენის გამო ეს შემოსავლები კი არ ბილებს მდგომარეობას, მაგრამ თუ კრიზისი გაგრძელდა, სამი ქვეყნიდან აზერბაიჯანი ყველაზე არასასარბილო მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან სოციალური დაცვის სახელმწიფო სისტემა და სახელმწიფოს მიერ წახალისებული სოფლის მეურნეობა ამ დაბმარების გარეშე ვერ იფუნქციონირებს.

კვლევა მიმოიხილავს FAO-ს კატეგორიებს: არსებობას, ხელმისაწვდომობას, მოხმარებასა და სტაბილურობას და ასავდროულად ანალიზებს დამოკიდებულებას და გენდერის როლს. მთლიანობაში, ამ ელემენტების უმეტესობა და მათთან დაკავშირებული ინდიკატორები უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მკვეთრად არ შეცვლილა. თუმცა, იქ სადაც ეს მოხდა, ამ კვლევამ კიდევ უფრო გაამყარა ჩვენი შეფასება.

სურსათის არსებობა FAO-ს მიერ შემდეგნაირადა დაყოფილი: კალორიების მიღება, ცილების მიღება და მთლიანი წარმოება ერთ სულ მოსახლეზე. ამ ინდიკატორების მიხედვით კალორიების საშუალო მიღება სამი ქვეყნიდან არც-ერთში არ წარმოადგენს პრობლემას. თუმცა, არსებობს მარგინალიზებული თემები, სადაც კალორიების მიღების პრობლემა კვლავ არსებობს: განსაკუთრებით ძალიან დარიბი ან ფიზიკურად მარგინალიზებული ჯგუფი. თუმცა, ზოგადად რეგიონში უდაოდ დიდ პრობლემას კვების სარისხი წარმოადგენს. FAO-ს ინდიკატორების მიხედვით ცილების მიღება უფრო მაღალია სომხეთში, ვიდრე აზერბაიჯანსა და საქართველოში. ეს შეესაბამება წარმოების პროფილს. სამივე ქვეყანაში წარმოების პრობლემაა, რაც დაკავშირებულია მცირე ზომის, მწირი რესურსისა და დაბალი წარმადობის მქონე ოჯახურ მეურნეობებთან. თუმცა, ამ სამი ქვეყნიდან საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქტი ბევრად ნაკლებია და შეადგენს სომხეთში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული პროდუქტის ნახევარზე ნაკლებს. ეს გასაკვირია, რადგან საქართველოში სომხეთთან და აზერბაიჯანთან შედარებით ორჯერ მეტი ნალექი მოდის და ეს ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა მთავრობისათვის პრიორიტეტული მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გახდა. ეს მიგვითითებს, იმაზეც რომ სასურსათო დაუცველობა საქართველოში სავარაუდო უფრო მაღალია, ვიდრე დანარჩენ ორ ქვეყანაში. თუმცა, ეს აგრეთვე იმასაც ნიშნავს, რომ წარმოების გაუმჯობესების პოტენცია აქ ყველაზე მაღალია.

რაც შეეხება ხელმისაწვდომობას, FAO მიჯნავს ფიზიკურ ხელმისაწვდომობას (მაგალითად, გზების და რკინიგზის არსებობა) და ეკონომიკურ ხელმისაწვდომობას (როგორიცაა სურსათის ფასები). ფიზიკური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, კავკასიაში გზებისა და რკინიგზის სიმჭიდროვე ქვეყნების ზომასთან შეფარდებით გაცილებით მაღალია, ვიდრე ზოგადად რეგიონში. რაც შეეხება მსოფლიო ბანკის ლოგისტიკური ფუნქციონირების ინდექსს (ლფი), საქართველომ 160-ე ადგილიდან 130-ე ადგილზე გადმოინაცვლა, ხოლო სომხეთი 141-ე ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრანსპორტირების დრო და ფასი ორივე შემთხვევაში მაღალია (აზერბაიჯანი 2016 წლის ლფი-ს შეფასებაში არ შესულა). ამასთან, ოქსფამის მიერ დაფინანსებულმა სასურსათო უსაფრთხოების კვლევამ მთიან საქართველოში დაადგინა, რომ საქართველოში ფიზიკურ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი პრობლემა დგას მაღალმთან რეგიონებში.

ეკონომიკური ხელმისაწვდომობის კუთხით, მთავარი ინდიკატორი „სურსათის ფასის დონეა“. მისი დათვლა იმისათვისაა საჭირო, რომ შესაძლებელი გახდეს საკეთი პროდუქტის ფასის სხვა საქონლის ფასებთან შედარება. ანუ რაც უფრო მაღალია ეს რიცხვი, მით უფრო ძვირია საკეთი პროდუქტი.<sup>1</sup> ადგილობრივი სურსათის ფასის დონის ინდექსი კავკასიის ქვეყნებიდან ამჟამად მხოლოდ სომხეთისთვის არის დათვლილი, სადაც ის 2013 წლის 9.07-დან 2014-ში 8.87-მდე ჩამოვალია. მიუხედავად ამისა, სურსათი კვლავ ხუთჯერ უფრო ძვირია შემოსავლებთან შედარებით, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ოქსფამის ერთ-ერთი კვლევა (Oxfam/ACT) ამ დასკვნას გვიდასტურებს, და მიგვითითებს, რომ საშუალო თვიური შემოსავლის ნახევარი საქართველოში საკეთებზე იხარჯება.

FAO-ს მოხმარების ინდექსი ყურადღებას ამახვილებს საკეთი მომზადების გარემოს სივანსაღეზე და ჯანსაღი კვების შედეგებზე. ზოგადად, ითვლება, რომ კარგი წყლის ხელმისაწვდომობა და საკანალიზაციო სისტემების არსებობა რეგიონში გაუმჯობესებულია, თუმცა წყლის ხარისხი ჯერ კიდევ ზევრ კითხვის ნიშანს სვამს.

მონაცემები რომელიც ასახავს ცუდი კვების გავლენას ჯანმრთელობაზე ზოგადად მოძველებულია, მაგრამ იმაზე მეტყველებს, რომ ზრდის შეჩერება (სამუალოზე ბევრად დაბალი), კახექსია (გაცილებით დაბალი წონა სიმაღლეთან შედარებით), და წონაში ჩამორჩენა (დაბალი წონა ასაკთან შედარებით) საქართველოში უფრო დაბალია, ვიდრე სომხეთსა და აზერბაიჯანში. ეს წინააღმდეგობაში მოდის წინა ინფორმაციასთან, მაგრამ შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ წარმოება საქართველოში უფრო თანაბრად არის განაწილებული, ვიდრე სხვაგან. პრობლემას ანერთა წარმოადგენს. უკეთესი მონაცემებია საჭირო იმისათვის, რომ ამ პრობლემის ირგვლივ უფრო ნაცელი სურათი შეიქმნას და აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა. საქართველოში დაცვებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო საცდელი კვლევა საქართველოს ოთხ მუნიციპალიტეტში ანერთისა და სხვა პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ შედეგები ჯერ ბოლომდე გადამუშავებული და დასრულებული არ არის, ჩანს, რომ კვების ნაკლებობა უფრო მაღალია სოფლად მაცხოვრებელ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ყველაზე მძიმე მდგომარეობა მაღალმთან რეგიონებშია.

ფიტო-სანიტარული პრობლემების შესახებ მონაცემები ძალზედ მოძველებულია. საქართველოში ჩატარებული კვლევა (Oxfam/ACT) გვიჩვენებს, რომ მისახლეობის 25% დარწმუნებულია, იმაში რომ გასული წლის განმავლობაში საკეთი მოწამლვა ჰქონდა, ხოლო აქედან 7%-ს ეს დაუმტკიცდა. წინასწარი ინფორმაციის მიხედვით ეს შეიძლება საქართველოში ენდემურ პრობლემად იყოს მიჩნეული, თუმცა მთავრობამ ეს საკითხი უკეთ უნდა აკონტროლოს, რათა სათანადოდ შეფასდეს პრობლემის მასშტაბი.

ისევე, როგორც ბევრი სხვა ცვლადების შემთხვევაში, FAO-ს სურსათის სტაბილურობის ინდიკატორი დამაბრეველ სურათს იძლევა, ვინაიდნ სურსათის მიწოდების ცვალებადობა არ არის ფასის ცვალებადობის პროპორციული. მონაცემები ძალზედ მოძველებულია. თუმცა, უკანასკნელ წლებში სურსათის ფასები მერყეობდა და დამოკიდებული იყო ადგილობრივ ფაქტორებზე, როგორიცაა სეზონურობა, რეგიონის სიტუაცია, და გლობალური ბაზრის ტენდენციები.

წარმოების არამდგრადობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ იმიტომ რომ აისახება ფასებში, არამედ იმიტომაც რომ წარმოების მერყეობა პირდაპირ არის დაკავშირებული საოჯახო მეურნეობის სასურსათო უსაფრთხოებასთან. კავკასიის მთიანი ბუნების გამო წარმოება უკიდურესადაა დამოკიდებული ირიგაციასა და დრენაზე, რაღაც წვიმა/თოვლი არათანაბრად მოდის და შეიძლება მოვიდეს იქ, სადაც საჭირო არ არის. ამიტომაც, კარგად ფუნქციონირებადი საირიგაციო და სადრენაჟულ სისტემა არის სასოფლო-სამეურნეო დაზღვევის საუკეთესო საშუალება. უკანასკნელ წლებში სამივე ქვეყანამ სერიოზული რესურსი დახარჯა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისთვის. მაგალითად, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკმა სომხეთს ასესა 80 მილიონი დოლარი, აზერბაიჯანს - 100 მილიონი, საქართველოს კი - 50 მილიონი დოლარი.

ცხოველთა დაავადებები სასურსათო უსაფრთხოების არარსებობის კიდევ ერთი წყაროა. დააგადებებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას სასურსათო უსაფრთხოებას, რადგან ეპიდემიაშ შეიძლება გაანადგუროს ცხოველების დიდი რაოდენობა, რაც ხორცის ფასებს გაზრდის. ეს, ასევე, შეიძლება გახდეს ადგილობრივი დაუცველობის მიზეზი, რადგან შინაური პირუტყვის განადგურება ასუსტებს საოჯახო მეურნეობის მიერ კალორიების წარმოებას და კვებით მრავალფეროვნებას. რეგიონში არსებობს რამდენიმე ენდემური დაავადება, რაც შეიძლება გახდეს პერიოდული ეპიდემიების მიზეზი: წველადობის შემცირება და

<sup>1</sup> აქ აღებულია სურსათის მსყიდველობითი ძალის პარიტეტის ინდექსი და გაყიდველია მთლიან მსყიდველობითი ძალის პარიტეტის ინდექსზე. ეს გვიჩვენებს სურსათის მსყიდველობას სხვა საქონელთან შედარებით.

ზოგიერთ ქვეყანაში ექსპორტის აკრძალვა. საქართველო ევროკავშირის ყურადღების ცენტრშია, თუმცა რეფორმები საკმაოდ წელა მიმდინარეობს.

კვლევაში ასევე განხილულია „დამოკიდებულების“ საკითხი, ვინაიდან იმპორტზე დამოკიდებულება სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ შეიდა დისკუსიების დროს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა ხოლმე. FAO აფასებს სასურსათო დამოკიდებულებას ორი მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, ის ანალიზებს სურსათის იმპორტის დონეს ექსპორტთან შედარებით. სომხეთისა და საქართველოს სასურსათო დამოკიდებულების დონე გაცილებით მაღალია რეგიონის სხვა ქვეყნებთან და განვითარებულ სამყაროსთან შედარებით. აზერბაიჯანის სასურსათო იმპორტი ექსპორტთან შედარებით ბევრად დაბალია, არა მხოლოდ საქართველოსა და სომხეთთან შედარებით, არამედ რეგიონთან და განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებითაც. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ „კომერციული ექსპორტი“ მოიცავს ნავთობსა და გაზს, და რა თქმა უნდა, აზერბაიჯანი ამ ორი პროცენტის მსხვილი ექსპორტითორია. თუ გავანალიზებთ მხოლოდ სურსათის ექსპორტსა და იმპორტს, მაშინ სომხეთის ექსპორტი თითქმის ტოლია სურსათის იმპორტისა და შეადგენს წელიწადში 300 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო აზერბაიჯანის იმპორტი თითქმის სამჯერ აღემატება მის მიერ ექსპორტირებულ სურსათს (274 მილიონი აშშ დოლარის ექსპორტი და 675 მილიონი აშშ დოლარის იმპორტი), ხოლო საქართველოს ექსპორტზე გააქვს იმპორტირებული სურსათის ღირებულების დაახლოებით 60% (317 მილიონი აშშ დოლარის ექსპორტი და 527 მილიონი აშშ დოლარის იმპორტი).

მეორე მიმართულება, რომელსაც აანალიზებს FAO, არის მარცვლეულის იმპორტზე დამოკიდებულება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან უკანასკნელ წლებში მარცვლეული წარმოადგენს ძირითად საქონელს, საკმაოდ ცვალებადი ფაქტით. უახლესი გათვლების მიხედვით, აზერბაიჯანის იმპორტი შეადგენს მისი მიერ წარმოებული მარცვლეულის ერთ მესამედზე მეტს, სომხეთში - ნახევარზე მეტს, ხოლო საქართველოში - ორ მესამედზე მეტს.

თუმცა, ურთიერთდამოკიდებულება სასურსათო უსაფრთხოებასა და ადგილობრივ წარმოებას შორის საეჭვოა. საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების უმეტესობა, რომელიც მიზნად ისახავს მაქსიმალურად მაღალი დამატებით ლირებულების შექმნას, აქცენტს აკეთებს შრომატევად, მაღალი ლირებულების პროდუქციის შექმნაზე ადგილობრივი მიკროკლიმატის გამოყენების სარჯებე. სომხეთში წარმოების ზრდა და რუსეთში ექსპორტი აცენტს აკეთებს ისეთი ბოსტნეულის წარმოების ზრდაზე, რომლითაც სომხეთს რუსეთთან შედარებით რეგიონული კონკურენტული უპირატესობა აქვს. არცერთი ქვეყნა არ თვლის, რომ მარცვლეულის წარმოების ფართომასშტაბიანი გაზრდისაკენ რესურსების მიმართვა იქნება საკუთრესო გამოსავალი არსებულ სიტუაციაში. არსებობს უამრავი სხვა მაგალითი, რომელიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მაღალი ლირებულების საექსპორტო საქონლის წარმოება გაცილებით უფრო მომგებიანია, ვიდრე მისი ჩანაცვლება დაბალი ლირებულების ექსპორტით. თუმცა, რადგანაც ხორბალი ითვლება ყველაზე საბაზისო და მნიშვნელოვანი საქონლად კრიზისის დროს, ექსპერტები და მთავრობა მიიჩნევენ, რომ ხორბლის ადგილობრივი წარმოება უნდა გაიზარდოს და წებისმიერ წელს თვითკმარობის დონე უნდა შეადგენდეს მინიმუმ 30%-ს.

გენდერი კვლევაში განხილულია როგორც გამჭოლი თემა. გენდერული საკითხების ფართომასშტაბიანი ინტეგრირება (მეინსტრიმინგი) არც სომხეთის და არც საქართველოს პრიორამებსა და პოლიტიკაში არ არის ხშირი, და როგორც წესი, შეზღუდულია საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამებით. მიუხედავად ამისა, მრავალი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები ხაზს უსვამს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ქალის წამყვან როლს. ჯეოველის მიერ ჩატარებული წინა კვლევა მიგვითითებს იმაზე რომ, მაშინ როდესაც ქალები აქტიურად მონაწილეობენ ოჯახში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებაში, მეტი უნდა გაკეთდეს მათი მომზადებისათვის და ტექნიკურ საკითხებში ჩართვის მიზნით. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო განათლება ხშირად ნაკლებად ხელმისაწვდომია ქალებისთვის და როგორც წესი, ისინი არ არიან ჩართული მეურნეობის ტექნიკურ საკითხებში. სომხეთში, სოფლად მცხოვრები მამაკაცები ხშირად სეზონურად გადიან რუსეთში, მშენებლობაზე ან სხვა სამუშაოებზე. ამიტომ, ოქსფამი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა კოოპერატივების შექმნას კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამების მეშვეობით. სომხეთმა მოახდინა გენდერთან დაკავშირებული თითქმის ყველა საერთაშორისო ინსტრუმენტის რატიფიცირება. ძირითადი ეროვნული დოკუმენტი ამ სფეროში მოიცავს 2010 წელს სომხეთის მთავრობის მიერ მიღებულ „გენდერული პოლიტიკის კონცეფციას“. 2011-ში სომხეთის ყველა „მარცერატანში“ (რეგიონული მთავრობა) შეიქმნა გენდერულ საკითხებზე მომუშავე კომიტეტები. 2013 წელს მთავრობამ მიიღო კანინი ქალებისა და მამაკაცებისათვის თანაბარი უფლებების და შესაძლებლობების შექმნის შესახებ. ეს ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს საკანონმდებლო სფეროში გენდერული საკითხების სრულ ინტეგრირებას.

საბაზისო კვლევასთან შედარებით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები დღეს მეტად არიან გაცნობიერებულნისასურსათო უსაფრთხოების საკითხებში. განსაკუთრებით საქართველოში, ევროკავშირმა სასოფლო-სამეურნეო წარმადობის გაზრდის კენ მიმართული ბევრი პროექტის განხორციელებას შეუწყო ხელი. შედეგად, ბევრი ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია ახორციელებს სასურსათო უსაფრთხოების კენ მიმართულ პროექტებს. ინტერვიუებში რესპონდენტები ამბობდნენ, რომ სასურსათო უსაფრთხოება არის მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და იმპორტზე ნაკლები დამოკიდებულება. თუმცა, რამდენიმე რესპონდენტმა სასურსათო უსაფრთხოების უფრო დეტალური ცოდნა გამოავლინა და ის უსაფრთხოების უფრო ფართო დისკურსთან დააკავშირა.

სომხეთსა და საქართველოში სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების კენ მიმართული რამდენიმე პროგრამა არსებობს და მედიის ყურადღება ამ თემების მიმართ სულ უფრო იზრდება. ოქსფამის მიერ კვების საკითხებზე ჩატარებულმა კვლევებმა გაანალიზა ამ თემის გაშუქების მასშტაბი სომხეთსა და საქართველოში და შეისწავლა არა მხოლოდ სასურსათო უსაფრთხოების თემისადმი მიძღვნილ გადაცემებში ამ თემის გაშუქება, არამედ სხვა პოპულარულ მედია პროგრამებშიც. ზოგადად საზოგადოება და მედია უფრო ინტერესდება სასურსათო უსაფრთხოების და კვების საკითხებით და უფრო კარგად ესმის მისი მნიშვნელობა როგორც ქეყნის უსაფრთხოებისათვის, აგრეთვე ადამიანის კეთილდღეობისათვის. ასევე, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ საზოგადოება იზორმაციას უფრო და უფრო მეტად სოციალური ქსელებიდან იღებს (მობილური აპლიკაციების ჩათვლით), რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს სასურსათო უსაფრთხოების და კვების საკითხების პროპაგანდა.

## მეთოდოლოგია

2013 წლის სექტემბერში დიდი ბრიტანეთის ოქსფამმა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ოთხწლიანი პროექტის განხორციელება „რეგიონული სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება ეროვნული სტრატეგიების და მცირე ფერმერთა ხელშეწყობის მეშვეობით სამხრეთ კავკასიაში“. რადგან პროექტი დასასრულს უახლოვდება, ოქსფამმა კერველს სასურსათო უსაფრთხოების და კვების ახალი სტატუსის დამდგენი კვლევის ჩატარება დაავალა. კვლევის მიზანია სამხრეთ კავკასიაში სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების სტატუსის შეფასება, აგრეთვე მათი დაკავშირება პროექტის ფარგლებში ჩატარებულ წინა კვლევის შედეგებთან და ასევე, დაინტერესებული მხარეების პოტენციალის შეფასება საბაზისო კვლევის მიგნებებთან მიმართებაში. კვლევის ამოცანა იყო სამ მთავარ კითხვაზე პასუხის გაცემა:

1. სამხრეთ კავკასიაში სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების საკითხების სტატუსი (გენდერული ელემენტის ჩათვლით)
2. სამხრეთ კავკასიაში FAO-ს ინდიკატორების მიმდინარე სტატუსი (სასურსათო უსაფრთხოების ორი ელემენტი) და თუ როგორ შეიცვლა მდგომარეობა საბაზისო კვლევის შემდეგ?
3. დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობები, მათი ცოდნის დონე და სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების საკითხების მიმართ დამოკიდებულება საბაზისო კვლევის მონაცემებთან შედარებით.

კვლევა იმეორებს 2014 წლის საბაზისო ანგარიშის სტრუქტურას: FAO-ს და სხვა შესაბამისი ინდიკატორების განახლება აქსფამის მხარდაჭერით ჩატარებული სასურსათო უსაფრთხოების საკითხების ირგვლივ; სხვა კვლევების და ანგარიშების მიმხრილვა და გათვალისწინება ცნობიერების, დამოკიდებულებების შეცვლის და პოტენციალის შეფასების მიზნით.

ათვლის წერტილად აღებულ იქნა FAO-ს ოთხი სვეტი. FAO-ს ინდიკატორები მნიშვნელოვანია საგარაუდო პრობლემური სფეროების განსაზღვრის მიზნით, მაგრამ ნაკლებად მოსახერხებელია იმის შესაფასებლად, თუ რა შეიცვალა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, რადგან ბევრი ინდიკატორის განახლება ამ პერიოდში არ მომხდარა. ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ოქსფამის დამარტინი ჩატარებული სასურსათო უსაფრთხოების თემაზე გამოქვეყნებული ანგარიშებით, ქვემოთ ჩამოთვლილის ჩათვლით:

- DCFTA-ს გავლენა საქართველოში მცირე ფერმერებზე;
- სამხრეთ კავკასიაში კვებითი მრავალფეროვნების ჭრილში გენდერის შედარებითი ანალიზი;
- სამხრეთ კავკასიაში სასურსათო უსაფრთხოების მონაცემების აქტუალურობის და შეგროვების მექანიზმების შეფასება;

- სასურსათო უსაფრთხოებასთან და კვებასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში;
- კვების ეროვნული კვლევა საქართველოსა და აზერბაიჯანში;
- სასურსათო უსაფრთხოების ინსტიტუციური მექანიზმების და სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება საქართველოში;
- კვებითი მრავალფეროვნება სომხეთში;
- სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობის კვებითი სტატუსის კვლევის ანგარიში;
- მდგრადი კვებითი უსაფრთხოების სასურსათო სისტემის შვიდი მაჩვენებელი;
- ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გავლენა საქართველოში მცირე საოჯახო მეურნეობებზე (მოკლე მიმოხილვა);
- ევრაზიის კავშირის გავლენა, შიდა ანგარიში სომხეთისთვის.

მონაცემების ინტერპრეტირებისა და თითოეული პრობლემის გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით, ასევე განხილულ იქნა სხვა შესაბამისი ანგარიშები, სახელმწიფო და საერთაშორისო მონაცემები, ჩატარდა ინტერვიუები ექსპერტებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან. FAO-ს ოთხი „სვეტის“ გარდა განხილულია „დამოკიდებულების“ საკითხი ცალკე თავად, ვინაიდან სამხრეთ კავკასიაში დაინტერესებული მხარეები სწორედ ასე აღიქვამენ სასურსათო უსაფრთხოებას. გარდა ამისა, სასურსათო უსაფრთხოების გენდერული სპეციფიკის ასახვის მიზნით ამ თემას ცალკე თავი ეძღვნება.

რაც შეეხება საველე კვლევას, სომხეთში 25 ინტერვიუ, ხოლო საქართველოში 20 ინტერვიუ ჩატარდა. ინტერვიუებმა მოიცავა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები/ქსელები, პოლიტიკის ადვოკატირებით დაკავებული ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები, სახელმწიფო საგენტოები, კერძო სექტორის წარმომადგენლები და მედია ორგანიზაციები.

#### ცხრილი 1: ინტერვიუების გადანაწილება სომხეთსა და საქართველოში

	მთავრობა და სახელმწიფო დაწესებულებები	სსო/მედია/კერძო კომპანიები	სულ
სომხეთი	12	13	25
საქართველო	6	17	23

ყველა ინტერვიუ იწყებოდა სასურსათო უსაფრთხოების აღქმასა და მის მნიშვნელობაზე საუბრით. შემდეგ მოდიოდა კითხვები, რომელიც ეხებოდა ორგანიზაციების როლს სასურსათო უსაფრთხოების კუთხით და საუბარი გრძელდებოდა სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გარდა ამისა, ხდებოდა იმის გარკვევა, თუ როგორ შეიცვალა ამ სამი წლის განმავლობაში რესპონდენტების ცნობიერება, დამოკიდებულებები და შესაძლებლობები; გარდა ამისა, ორგანიზაციის წარმომადგენლებს ეთხოვათ დამატებითი ინფორმაციის მოწოდება ანგარიშში ასახვის მიზნით.

მეთოდოლოგია და რესპონდენტების წინასწარი სიი შეთანხდმა ოქსფამთან ერთად წინასწარი ანგარიშს მომზადების ეტაპზე. გარდა ამისა, გადაწყდა, რომ საერთაშორისო ინდიკატორებზე საუბრისას ანგარიში უნდა დაწერილიყო სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის შესახებ, მაგრამ აზერბაიჯანში პოლიტიკური ვითარების გამო ინტერვიუები არ ჩატარებულა, ამიტომაც, ინფორმაცია აზერბაიჯანის შესახებ ნაკლებად დეტალურია, ვიდრე სომხეთსა და საქართველოს შესახებ.

# 1 პოლიტიკური გამოწვევები

საბაზისო ანგარიშის თანახმად, სასურსათო უსაფრთხოების კვლევის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ „სასურსათო უსაფრთხოების“ კონცეფცია სხვადასხვა მკვლევარებისათვის განსხვავებულია, განსაკუთრებით ამ რეგიონში, სადაც სასურსათო უსაფრთხოება უტოლდება „წარმოების დამოუკიდებლობას“, ანუ „სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკა“ უდრის“ სურსათის წარმოების პოლიტიკას“.

ამის საპირისპიროდ, FAO გამოყოფს სასურსათო უსაფრთხოების ოთხ ძირითად განზომილებას:

- სურსათის არსებობა: სათანადო ხარისხისა და საკმარისი რაოდენობის სურსათის არსებობა ადგილობრივი წარმოების ან იმპორტის შედეგად (სასურსათო დახმარების ჩათვლით).
- სურსათზე ხელმისაწვდომობა: შედგება ფიზიკური ხელმისაწვდომობისა და მატერიალური ხელმისაწვდომობისაგან. ფიზიკური ხელმისაწვდომობა გულისხმობს ბაზრებზე წვდომას. მატერიალური ხელმისაწვდომობა გულისხმობს კვებითი ღირებულების მქონე რაციონზე ხელმისაწვდომობას სათანადო სურსათის შესაძლებად.
- მოხმარება (უტილიზაცია): მოხმარება მოიცავს კვების სათანადო რაციონს, სუფთა წყალს, სანიტარულ პირობებსა და ჯანდაცვას კვებითი კეთილდღეობის მიღწევის მიზნით, როდესაც ყველა ძირითადი ფიზიოლოგიური მოთხოვნა დაგმაყოფილებულია. აქ ხდება ნუტრიციული შემადგენლობისა და სასურსათო უსაფრთხოების ინფრასტუქტურის მნიშვნელობის ხაზგასმა.
- სტაბილურობა: სასურსათო უსაფრთხოება მოსახლეობისთვის, ოჯახისთვის ან პირისთვის ნიშნავს ადგევატური სურსათის ხელმისაწვდომობას ნებისმიერ დროს. ისინი დაცულები უნდა იყვნენ მოულოდნელი შოკების შედეგად სურსათის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რისკებისგან (მაგალითად, ეკონომიკური ან კლიმატური კრიზისი).

ყოველივე ეს ფოკუსირებას აკეთებს მოხმარებელზე, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში სასურსათო უსაფრთხოებაზე საუბრისას აქცენტი უფრო მწარმოებელზე კეთდება. მთავრობისათვის, სასურსათო უსაფრთხოება ჯერ ისევ წარმოებაზეა ფოკუსირებული. ამიტომ მთავარი ინდიკატორი, რომელსაც ისინი აკვირდებიან არის სურსათის „სავაჭრო ბალანსი“, სადაც ჩანს ადგილობრივად მოხმარებული და ადგილობრივად წარმოებული სურსათის შეფარდება.

მიუხედავად ზემოთ ნათევამისა, მაშინ როდესაც წარმოებაზე ორიენტაცია კვლავ სასურსათო უსაფრთხოების მთავარ ინდიკატორად აღიქმება, მრავალწანიანგოვანი სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ დისკურსი დღეს გაცილებით უფრო აქტუალურია, ვიდრე ოთხი წლის წინ. ოქსფამის და სსვების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გააღმართა არსებული ნარატივი და გაიტანა ის ვიწრო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხების გარეთ. მაგალითად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიაში უკვე არსებობს სექტია, რომელიც ეძღვნება სასურსათო უსაფრთხოებას მნიშვნელობას. საქართველოში არიან ახალი მოთამაშეებიც, როგორიცაა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლად განვითარების აღიანსი (GAARD), რომელიც მრავალი მონაწილისაგან შემდგარ პლატფორმას ქმნის იმისათვის, რომ თავი მოუყაროს მთავრობის, პარლამენტის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, აკადემიური წრეების, ექსპერტებისა და ასოციაციების წარმომადგენლებს სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკანონდებლო ბაზის განვითარების მიზნით. სომხეთში, აგრძიბიზნესისა და სოფლად განვითარების ცენტრი და სხვა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აგრძელებენ მუშაობას სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ, ხოლო 2014 წელთან შედარებით რესპონდენტები ზოგადად გაცილებით მეტად არიან გათვითცნობიერებული სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის საკითხებში.


საბაზისო შეფასების მსგავსად, ამ ანალიზშიც სესწავლილ იქნა სასურსათო უსაფრთხოების ორივე ელემენტი - წარმოება და მოხმარება. ეს არ გაკეთებულა მხოლოდ ადგილობრივი ინტერპრეტირების მიზნით. სურსათის „გაუსაფრთხოება“ ადგილია, ვისიდან მისი არარსებობა ეგზისტენციალურ საფრთხეს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს მომზარებლის პოზიციიდან, რადგან სათანადო სურსათის არარსებობა პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს სიცოცხლისათვის. მწარმოებლის კუთხიდან დანახული, სურსათის „გაუსაფრთხოება“ შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წარმოებაში განხორციელებული ცვლილებები დადებით შედეგებს იქონიებს მწარმოებლის ცხოვრების წესისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ამ რეგიონში, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მწარმოებლები მცირე ზომისანი არიან, აწარმოებენ საკვებ პროდუქტს, რომელსაც ძირითადად თვითონვე მოიხმარენ და ძალიან ცოტას იტოვებენ სეზონზე გასაყიდად. ამის გამო, ნებისმიერი ცვლილება წარმოებაში პირდაპირ აისახება მოხმარებაზე.

მცირე ზომის ფერმერული მეურნეობა ასევე მოწყვლადია წარმოების ცვალებადობის მიმართ, რადგან მცირე მეურნეობის მიერ მიღებული შემოსავალი ძალიერ მწირია. ამიტომაც მცირე წარმოება და ამ წარმოების მერყეობა და ფასი ცვლის შემოსავლების დონეს, რაც ოჯახისთვის გამანადგურებელი შეიძლება აღმოჩნდეს. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების განმარტება უფრო მომხმარებელზეა კონცენტრირებული, კავკასიაში ყურადღებას მაინც წარმოებაზე ამახვილებენ, რაც ასევე მნიშვნელოვანია.

## 2 სასურსათო ესაფრთხოების პოლიტიკური და ეკონომიკური კონცესში და მომხდარი ცვლილებები

საბაზისო კვლევაში სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ დისკუსია დაიწყო სურსათზე ფასების ზრდასთან დაკავშირებით. 2011 წლის პიეს წინ უსწრებდა ათწლიანი ფასების ზრდა, როდესაც მოხდა ფასების გაორმაგება მთელ მსოფლიოში. ხუთი წლის განმავლობაში, 2014 წლამდე ბაზარი მეტად არასტაბილური იყო. ფასების ზრდა და მერყეობა ქმნიდა სურსათის „უსაფრთხოების“ ჭრილში ფიქრის აუცილებლობას, ვინაიდან ჩანდა, თითქოს ქვეყნები არ ზრუნავდნენ საკუთარ სასურსათო უსაფრთხოებაზე, სურსათის ფასწარმოქმნაზე, მიწოდების საიმედოობაზე და ამგვარად რისკის ქვეშ აყენებდნენ საკუთარი მოსახლეობის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.

ცხრილი 2: FAO-ს გლობალური სურსათის რეალური ფასების ინდექსი<sup>2</sup>



აშენავა, რომ 2014 წლიდან სიტუაცია მკვეთრად გაუმჯობესდა, როდესაც ნედლ ნავთობზე ერთი ბარელის ფასი 120 აშშ დოლარიდან 2016 წელს 30 აშშ დოლარამდე დავარდა.<sup>3</sup> გლობალურად, ნავთობზე ფასის დავარდნა მნიშვნელოვანია, რადგან ნავთობი და ნავთობპროდუქტები სოფლის მეურნეობის ძირითადი რესურსია და ფასების ამ ვარდნამ გამოიწვია გლობალური ზრდის შეჩერება.

2 „FAO-ს სურსათის ფასის ინდექსი“ მოცავს ფასის ინდექსების საშუალო მარვენებელს ხუთი ჯგუფისათვის (ხორცი, რძის პროდუქტი, მარცვლეული, ზეთი და შაქარი) გასაშუალოებული თითოეული ჯგუფის ექსპორტის საშუალო წილთან. წყარო: FAO, სურსათის ფასის ინდექსი. <http://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/> მიმოხილულია 2017 წლის 27 თებერვალს


3 NASDAQ, ‘ნედლი ნავთობი, დღის ბოლოს საქონლის ფიურსების ფასები’ <http://www.nasdaq.com/markets/crude-oil-brent.aspx?timeframe=10y> მიმოხილულია 2017 წლის 27 მარტს

თუმცა, პისტაბჭოთა სივრცეში, მსოფლიო ფასების გაუმჯობესება მნიშვნელოვნად შეანელა და ზოგიერთ შემთხვევაში მთლიანად გაძერწყლა ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებამ. ეს გამოიწვია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასების ცვლილებებმა, რეგიონში საერთაშორისო პოლიტიკის უარყოფით ცვლილებებთან ერთად.

რუსეთში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე დაცემულმა ფასებმა, დასავლეთის მხრიდან რუსეთის მიერ ყირიმის ანგესის საპასუხოდ შემოღებულ სანციიებთან ერთად, მისი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. აზერბაიჯანი, რომელიც კიდევ უფრო მეტად იყო დამოკიდებული ნავთობის და გაზის ფასებზე, საბოლოო ჯამში მეტად დაზიარალდა ვიღრე რუსეთი. ამის შედეგები სომხეთმა და საქართველომაც იგრძნო, ვინაიდან ეკონომიკურად რუსეთზე და რეგიონზე არიან დამოკიდებული. საქართველო დამატებით მისი თურქეთზე დამოკიდებულების გამოც დაზიარალდა, რომელიც, თავის მხრივ, 2016 წელს მომხდარი გადატრიალების მცდელობის და პოლიტიკური რეაქციის გამო საკუთარი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დადგა.

რეგიონული ეკონომიკური სირთულეების გავლენის დანახვა მარტივად შეიძლება რეგიონში ვალუტის ფასის ცვლილების მაგალითზე.

ცხრილი 3: სომხური დრამის (AMD), აზერბაიჯანული მანათის (AZN), რუსული რუბლის (RUB), თურქული ლირის (TRY), და ქართული ლარის (GEL) აშშ დოლართან მერყეობა 2014 წლის ოქტომბრიდან (საქართველოს ეროვნული ბანკი: 2017 წლის მონაცემები ვალუტის შესახებ)



თუმცა, ამავე დროს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტითი რომელიც შემოსავლის თვალსაზრისით დამოკიდებული იყვნენ ამ კომერციულ კულტურებზე, მათი ბაზარიც შევიწროვდებოდა, თუ მათი ვალუტა უფრო ნელა გაიცდიდა დევალვაციას, ვიდრე იმ ქვეყნების ვალუტა, სადაც მათ ექსპორტზე გაპექნდათ პროდუქცია.

ამიტომაც, იმის გამო რომ 2014 წლიდან მანათის 140%-იანი დევალვაცია მოხდა, ადგილობრივი ფასები იმპორტირებულ საქონელზე საგრძნობლად უნდა გაზრდილიყო. ამავდროულად, სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი რუსეთში განდებოდა ბევრად უფრო კონკურენტული. ეს ადგილობრივ ფასებზე უარყოფითად იმოქმედდებდა, რადგან წახალისებდა ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ექსპორტს და ამასთან ერთად ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავალსაც საგრძნობლად გაზრდიდა. მაგრამ, იმის გამო რომ აზერბაიჯანს ექსპორტზე მცირე ფერმერების მიერ წარმოებული სურსათი შედარებით ცოტა გააქვს, დევალვაციას დადებითი შედეგი თითქმის არ მოუტანია, განსაკუთრებით სასურსათო უსაფრთხოების კუთხით.


სომხეთში, შედარებით მცირე დევალვაცია მოხდა, რადგან ცენტრალურმა ბანკმა ადგილობრივი ვალუტის დასაქმარებლად გარკვეული ღონისძიებები გაატარა, ხოლო შემდეგ ვალუტა დასტაბილურდა მინერალური წყლის ექსპორტის გაზრდის შედეგად. ადგილობრივი ვალუტის 20%-იანი შემცირება იმაზე მიგვითითებს, რომ მსოფლიო სურსათის ფასების და საერთაშორისო ვალუტების საფუძველზე იმპორტირებულ სურსათზე ფასის ინფლაცია არ ყოფილა. სომხეთი მეტად არის დამოკიდებული რუსეთზე და ამიტომ, რუსლის დიდი დევალვაცია დრამთან მიმართებაში აწევდა ფასებს სომხეთში წარმოებულ საქონელზე და უარყოფითად იმოქმედებდა სომხეთის მიერ სურსათის ექსპორტზე რუსეთში. ეს დაეხმარებოდა ადგილობრივი ფასების დაბალ დონეზე შენარჩუნებას, მაგრამ აგრეთვე უარყოფითად იმოქმედებდა ადგილობრივი მწარმოებლების შემოსავლებზე. სომხური ღვინის გაყიდვა რუსეთში განსაკუთრებით გართულდა, რამაც საკამად უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის მეღვინეობის სექტორზე და მცირე ზომის მევენახებზეც.

რუსეთში ეკონომიკურმა ვარდნამ ასევე პირდაპირი გავლენა იქონია სომხურ საქონელზე მოთხოვნის თვალსაზრისით. საერთო ჯამში, სომხეთის ექსპორტი რუსეთში შემცირდა მთლიანი ექსპორტის 24%-დან 2013 წელს 14%-მდე 2015-ში. ამავდროულად შემცირდა ფულადი გადარიცხვები რუსეთიდან, რომელიც შშპ-ს 20%-ს შეადგენდა და ოჯახების 30%-ს ეგზავნებოდა.<sup>4</sup>

ეს ყველაფერი მოხდა მაშინ, როდესაც სომხეთმა საკუთარი თავი რუსეთზე უფრო მეტად დამოკიდებული გახდა. 2013 წლის დასაწყისში სომხეთი თითქოს აპირებდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების გაფორმებას, და ამგვარად ევროკავშირთან უფრო მყარი კავშირების დამყარებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების განხორციელების შედეგად. თუმცა, 2013 წლის 3 სექტემბერს პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა, ამის ნაცვლად, გამოაცხადა სომხეთის ევრაზიის კავშირში გაწევრიანების განზრახვის შესახებ. მომდევნო წლის განმავლობაში შეთანხმდნენ იმაზე, რომ საბაზო კავშირი გახდებოდა ევრაზიის ეკონომიკური კავშირი (ეეკ), ხოლო 2015 წლის 2 იანვარს სომხეთი ამ კავშირს შეუერთდა. ეეკ-ის შემადგენლობაში დღესდღეობით არიან: რუსთი, ყაზახეთი, ბელარუსი, ყირგიზეთი და სომხეთი.

მიუხედავად იმისა, რომ ამ გადახვევას ძალიან ცოტა ადამიანი ელოდა, ის შეთანხმება სამეცნიერო ლიტერატურაში თითქმის ერთხმად უარყოფითად ფასდება. მაგალითად, დევიდ ტარრი, მსოფლიო ბანკის ყოფილი წამყვანი ეკონომისტი აღნიშნავს, რომ ეე-შ არ უზრუნველყო რუსეთის ბაზრის მეტი ხელმისაწვდომობა, რადგან სომხეთისათვის ეს ბაზარი ისედაც ღია იყო. უფრო მეტიც, ეე-ში შესვლით სომხეთმა დააწესა საგარეო ტარიფები და კვოტები რუსული სისტემის შესაბამისად, რაც უფრო მკაცრია ვიდრე მანამდე არსებული. ამან გაზარდა იმპორტის ფასი და გადაამისამართა მიწოდება რეგიონის გარედან შიგნით, რუსეთის ფედერაციის სასარგებლოდ.<sup>5</sup>

ცხრილი 4: სურსათის ფასების ინდექსი სომხეთსა, აზერბაიჯანსა და საქართველოსთვის, 2011-2015 წწ.




<sup>4</sup> კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრები, კავკასიის ბარომეტრის მონაცემები, <http://caucasusbarometer.org/en/datasets/> 2017 წლის 28 მარტის მდგრადი კვებით

<sup>5</sup> ტარრი, დ.ჟ. (2016). 'რუსეთის, ბელარუსის, ყაზახეთის, სომხეთის და ყირგიზეთის რესპუბლიკის ევრაზიული ეკონომიკური კავშირი: მიაღწევს თუ არა ის წარმატებას იქ, სადაც მისი წინამორბედი წარუმატებელი აღმოჩნდა? აღმოსვლეთ ევროპული ეკონომიკა, 54 (1), გვ. 1-22.

სომხეთის,<sup>6</sup> აზერბაიჯანის,<sup>7</sup> და საქართველოს,<sup>8</sup> სურსათის ფასების ინდექსი, რომელიც 2011-ში თითქმის იდენტური იყო, ამის შემდეგ გახდა ერთმანეთისაგან განსხვავებული. სომხეთის მაჩვენებელი სტაბილურად იზრდებოდა და 2015-ში 113%-ი შეადგინა 2011 წლის მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოს მაჩვენებელი უფრო ნელა იზრდებოდა 106%-მდე, ხოლო აზერბაიჯანის მაჩვენებელი დაეცა 96%-მდე 2011 წლის მაჩვენებელთან შედარებით, თუმცა სამივე ქვეყანაში წინა წლის განმავლობაში ერთმანეთის მსგავსად იზრდებოდა.

სამი ძირითადი საკვები პროდუქტის (ხორცი, რძე და ხორბლის ფეიილი) ფასების შედარება სამივე ქვეყანაში გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებში თითოეული პროდუქტის ფასის ცვალებადობის ტენდენცია ქვეყნებს შორის ძალიან განსხვავებულია. სომხეთში საქონლის ხორცის ფასი 2015 წელს არ აღემატებოდა 2011 წლის მაჩვენებელს, მაშინ როდესაც ახალი რძის და ფეიილის ფასი გაიზარდა შესაბამისად 120% - 125%-ით 2011 წლის მაჩვენებელთან შედარებით.

**ცხრილი 5: ძირითადი საკვები პროდუქტის ფასები სომხეთში სომხურ დრამებში, 2011-2015 წლები, 2011 წლის ფასებთან შედარებით<sup>9</sup>**



აზერბაიჯანში კი პირიქით, საქონლის ხორცის და ფეიილის ფასი გაიზარდა, ფეიილის- უფრო მეტად, მაშინ როდესაც ახალი რძის ფასი დაეცა 2011 წლის მაჩვენებლის 78% -მდე.


6 ფასები და ფასების ინდექსები სომხეთის რესპუბლიკაში 2011-2015 წწ., სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ გამოქვეყნებული, გვ.17

7 აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტი, სამომხმარებლო ბაზარზე ფასების დომე და დინამიკა, სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ფასების (ტარიფების) ინდექსები, <http://caucasusbarometer.org/en/datasets/> <http://www.stat.gov.az/source/pricetarif/indexen.php> 2017 წლის 20 მარტის მდგომარეობით

8 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამომხმარებლო ფასების ინდექსი [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=128&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=128&lang=eng), 2017 წლის 20 მარტის მდგომარეობით


9 ფასები და ფასების ინდექსები სომხეთის რესპუბლიკაში 2011-2015 წწ., გამოქვეყნებულია სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ, გვ.18-19

ცხრილი 6: ძირითადი საკვები პროდუქტის ფასები აზერბაიჯანში აზერბაიჯანულ მანათებში, 2011-2015 წლები, 2011 წლის ფასებთან შედარებით<sup>10</sup>



საქართველოში ამ სამი ძირითადი საკვები პროდუქტის ფასები ოდნავ გაიზარდა, თუმცა ზოგადი სურსათის ფასების ინდექსთან შედარებით ზომიერად.

ცხრილი 7: სურსათის ფასების ინდექსი საქართველოში 2011-2015, 2011 წლის ინდექსებთან შედარებით<sup>11</sup>



10 აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტი, სამომხმარებლო ბაზარზე ფასების დონე და დინამიკა, სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ფასების (ტარიფების) ინდექსები, მოსახელობისთვის შეთავაზებული სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების საშუალო წლიური ფასები, მანათებში [http://www.stat.gov.az/source/price\\_tarif/indexen.php](http://www.stat.gov.az/source/price_tarif/indexen.php), მიმოხილულია 2017 წლის 20 მარტს

11 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამომხმარებლო ფასების დეტალური ინდექსები, სამომხმარებლო ფასების დეტალური ინდექსები, [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=128&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=128&lang=eng) მიმოხილულია 2017 წლის 20 მარტს

იმავე პერიოდის (ცხრილში არ არის ნაჩვენები) სხვა საკვები პროდუქტების ფასების შესწავლა მიგვითითებს, რომ ყველაზე მეტად ამ პერიოდში გაიზარდა ახალი ხილის და ბოსტნეულის ფასი<sup>12</sup> და საგარაუდოდ, ამან განაპირობა სურსათის ფასების ინდექსის ზრდა.

ფასების ზრდა და რეგიონში სავაჭრო დამოკიდებულება რეგიონალური ეკონომიკური სირთულეების პერიოდში უდავოდ ცუდია ეკონომიკისათვის. თუმცა, რთულია იმის შეფასება, თუ რა გავლენა იქონია ამან სასურსათო უსაფრთხოებაზე. ეეპ-ში შესვლის მოსამზადებელ პერიოდში სომხეთის მთავრობამ შეათანხმა გარკვეული გამონაკლისები საერთო საგარეო ტარიფების სტრუქტურაში, რაც ძირითადი სურსათის უმეტესობაზე გავრცელდა. თუმცა სხვა საქონელზე ფასების გაზრდა უდავოდ გაზრდის სხვა დანახარჯებს და მოსახლეობას ნაკლებ ფულს დაუტოვებს საკვების შესაძენად.

საქართველოში, პირიქით, რუსეთზე ნაკლებად დამოკიდებულებამ დარიბი მოსახლეობა ნაკლებად დააზარალა და შესაბამისად, სასურსათო უსაფრთხოებაზეც ზომიერად იმოქმედა. ვალუტის 50%-ზე მაღალმა დევალვაციამ მეტნაკლებად გააქარწყლა ამ პერიოდში გლობალური ფასების შემცირება. შესაბამისად, შესაძლოა რომ სურსათი გაძვირდა, თუმცა დიდად არა მეორე მხრივ, ვალუტის გაუფასურება საქართველოში 2014-2016 წლებში ნაკლები იყო ვიდრე რუსეთში. რეგიონულ ფინანსურ კრიზისთან ერთად ამას უარყოფითი გავლენა უნდა მოეხდინა საქართველოდან რუსეთში ექსპორტზე.

თუმცა სასოფლო-სამეურნეო სურსათის ექსპორტი რუსეთის მიმართულებით 2012 წელს გაუქმებული ემბარგოს შემდეგ დროის არცერთ მონაკვეთში სრულად არ აღდგენილა. 2012 წლიდან მკვეთრად გაიზარდა ღვინის გაყიდვა. ამ ზრდამ საგრძნობი უკუსვლა განიცადა რეგიონალური კრიზისის შედეგად და სავარაუდო ქვეყნის ზოგიერთ ნაწილში ყურძნის გაყიდვებზეც უარყოფითად იმოქმედა.

ყველაზე დიდი და აშკარა გავლენა საქართველოს მოსახლეობაზე მოახდინა ვალუტის დევალვაციამ, რომელმაც გამოიწვია ექსპორტის წახალისება და არ გახდა იმპორტის ხელშემწყობი. ამან სავარაუდოდ ხელი შეუწყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავაჭრო დეფიციტს: 2012 წლის 762 მილიონი დოლარიდან 2015 წელს 497 მილიონ დოლარამდე<sup>13</sup> გარდა ამისა, ყველას, ვისაც კრედიტი უცხოურ ვალუტაში ჰქონდა აღებული, ვალის დაბრუნება უფრო დიდ ტივითად დააწვა. საქართველოს ეკონომიკა მეტად დოლარიზებულია, სადაც კრედიტი როგორც წესი დოლარში გაიცემა. ხებისმიერისთვის, ვისაც ასეთი კრედიტი აქვს, ადგილობრივი ვალუტის დევალვაცია იმას ნიშნავს, უფრო მეტის დაბრუნება მოუწევს. ეს უშუალოდ სასურსათო უსაფრთხოების საკითხი არაა, მაგრამ ბევრი მარგინალიზებული ოჯახისთვის, ამ ვალის გაზრდა შეიძლება ნიშნავდეს სურსათის შეძრის უნარის შემცირებას.

გარდა ამისა, სომხეთისგან განსხვავებით, საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას და ცოტა ხნის წინ მიიღო ევროკავშირთან უზიზო მიმოსვლა. ეს ქმნის სასურსათო უსაფრთხოების დისკუსიისთვის კონტექსტს სამი ძირითადი გზით. პირველი, შეთანხმების ფარგლებში, საქართველომ აიღო ვალდებულება, დაუახლოვდეს ევროკავშირს მთელ რიგ ეკონომიკურ საკოთხებთან მიმართებაში, სადაც სასურსათო უსაფრთხოება დიდ ნაწილს მოიცავს - ცხოველთა კვებით, მოვლით, სასაკლაოებით დაწყებული და ხორცის გადამუშავებით, რის პროდუქტების წარმოებითა და მოსავლით დამთავრებული. დროთა განმავლობაში ეს ყველაფერი შეამცირებს სურსათით მოწამვლის და ცხოველთა დაავადებების დღესდღეობით არსებულ მაღალ დონეს. ამ თემაზე „მოწმარების“ (უტილიზაციის) თავში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ.

ევროკავშირი სასურსათო უსაფრთხოების მიმართულებით ასევე აქტუალურია, ვინაიდან ევროკავშირის მიერ გამოყოფილი ფინანსური დაბრუნება ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები ქვეყნის მასშტაბით მიმართულია საქართველოს მთავრობისათვის დასახმარებლად სასოფლო-სამეურნეო განვითარებისკენ მიმართული საქმიანობის პროცესში მიწოდების ჯაჭვების და კოოპერატივების გაძლიერების, ინფრასტრუქტურული გაუმჯობესებების, უნარებისკენ გაძლიერებაზე გამიზნული ტრენინგების და ბევრი სხვა ღონისძიების მეშვეობით.

და ბოლოს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება და, კერძოდ, DCFTA აწესებს ევროკავშირთან ვაჭრობის პირობებს. DCFTA და მისი გავლენა საქართველოზე გაანალიზებულია ოქსფამის მიერ დელეგირებულ კვლევაში და ამიტომ ამ თემას აქ სიღრმისეულია და შევეხებით. თუმცა, ხილის და ბოსტნეულის ექსპორტში საქართველოდან ევროკავშირში 2015 წელს 167 მილიონი დოლარი შეადგინა

12 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, სამომხმარებლო ფასების დეტალური ინდექსები, [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=128&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=128&lang=eng)

13 ოქსფამი (2013) კვლევა: DCFTA -ს გავლენა საქართველოში მცირე ზომის ფერმერულ მეურნეობებზე, გვ.5 <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

(მეტწილად თხილი). ჯერჯერობით რთულია ამ მასშტაბების გაზრდა, ვინაიდან საქართველო გარკვეული გამოწვევების წინაშე დადგა ევროკავშირის გადამამუშავებლების და სუპერმარკეტების ქსელების შესაბამისი სარისხის, რაოდენობის და ფასის დაკამყოფილების კუთხით. მაგრამ მომავალში მაღალი ღირებულების მქონე პროდუქციის (რომელსაც განსაკუთრებული მიკროკლიმატი სჭირდება) ექსპორტმა გარკვეული ნიშა შეიძლება დაიკავოს.

კიდევ ერთი რეგიონალური მახასიათებელი, რომელიც ამ კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს არის სამივე ქვეყანაში არსებული პოლიტიკური გარემო. სამი ქვეყნიდან ვერცერთმა ვერ მიიღო კარგი შეფასება „ეკონომისტი“-ს 2016 წლის დემოკრატიის ინდექსში იმისათვის, რომ სრულ ან გარკვეული დეფექტების მქონე არასრულ დემოკრატიად იქნას მიჩნეული.

**ცხრილი 8: „ეკონომისტი“-ს 2016 წლის დემოკრატიის რეიტინგი (167 ქვეყანას შორის), ინდექსები და ინდექსების კომპონენტები (1-დან 10-მდე სკალით) საქართველო, სომხეთისა და აზერბაიჯანისთვის.<sup>14</sup>**

	რეიტინგი	ჯამური ქულა (საშუალო)	კატეგორია	საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი	მთავრობის ფუნქციონირება	პოლიტიკური მონაწილეობა	პოლიტიკური კულტურა	სამიქალაქო თავისუფლებები
საქართველო	78	5.93	შერეული რეჟიმი	8.67	4.29	6.11	5.00	5.59
სომხეთი	120	3.88	ავტორიტარული	4.33	2.86	4.44	1.88	5.88
აზერბაიჯანი	148	2.65	ავტორიტარული რეჟიმი	0.50	2.14	3.33	3.75	3.53

„ეკონომისტი“-ს მიხედვით, საქართველო 167 ქვეყანას შორის 78-ე ადგილზეა და მიჩნეულია ჰიბრიდულ რეჟიმად, როგორც დემოკრატიული, ასევე ავტორიტატული პოლიტიკით. სომხეთი 120-ე ადგილზეა, ჩამოვიდა იმ ზღვრულის ქვემოთ, სადაც შეიძლება ყოფილიყო შერეული რეჟიმის ქვეყანა და ახლა ავტორიტარულ კატეგორიას მიეკუთვნება. მაგრამ სომხეთს და საქართველოს ყველაზე დაბალი ქულები მიერთა ფუნქციონირებადი მთავრობის და პოლიტიკური კულტურის კატეგორიაში. აზერბაიჯანის რეიტინგი ყველაზე დაბალია, 148-ე ადგილი 167 ქვეყანას შორის და ითვლება ავტორიტარულ რეჟიმად, ძალიან შეზღუდული რაოდენობის მნიშვნელოვანი დემოკრატიული სტრუქტურით. ეს ქულები ცოტათი დაიწია სომხეთისა და აზერბაიჯანისათვის, ხოლო საქართველოსთვის გაუმჯობესდა, განსაკუთრებულ 2012 წლის არჩევნების შემდეგ, როდესაც საქართველოში ძალაუფლების გადაცემა პირველად მოხდა მშვიდობიანად.

ეს სექტორები ჩვენი მიზნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოსახლეობის და სამოქალაქო საზოგადოების შედარებით ძალასა და ავტონომიაზე მეტყველებს პოლიტიკური დისკურსის და საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესში. გასაკვირი არ არის ის, რომ ამ კონტექსტიდან გამომდინარე სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ ფართო დისკურსის განვითარებისათვის აზერბაიჯანსა და სომხეთში მეტად შეზღუდული სივრცეა, ხოლო საქართველოში მეტი შესაძლებლობებია.

ეს იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სუსტ და არადემოკრატიულ სახელმწიფოებში კორუფციის არსებობა გარდაუცალია. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ კორუფციის ინდექსის მიხედვით, საქართველომ სერიოზულ წარმატებას მიაღწია და მოწინავე ქვეყნების პირველ მესამედში ლიდერობს. 2013 წელს საქართველო 48-ე ადგილზე იყო 168 ქვეყანას შორის, ხოლო 2016-ში 176 ქვეყანას შორის 44-ე ადგილზე გადაინაცვლა.

სომხეთი კი, პირიქით, რეიტინგების მეორე ნახევარშია მოხვედრილი. 2013 წელს ის 168 ქვეყანას შორის 95-ე ადგილზე იყო, მაგრამ 2016 წელს 176 ქვეყანას შორის 113-ზე გადაინაცვლა. ამ სამ ქვეყანას შორის აზერბაიჯანს ყველაზე დაბალი რეიტინგი აქვს და 2016 წელს 176 ქვეყანას შორის 123-ე ადგილზე იყო, ხოლო უკანასკნელ წლებში სიტუაცია დიდად არ შეცვლილა.

14 „ეკონომისტი“-ს ანალიტიკური დეპარტამენტი (2016), დემოკრატიის ინდექსი 2016 „სავალალო მდგომარეობაში მყოფთა შერჩევის შედეგი“ [http://pages.eiu.com/rs/783-XMC-194/images/Democracy\\_Index\\_2016.pdf](http://pages.eiu.com/rs/783-XMC-194/images/Democracy_Index_2016.pdf) მიმოხილულია 2017 წლის 17 მარტს

ამ ყველაფერს ორი გავლენა აქვს სურსათსა და სასურსათო უსაფრთხოებაზე. პირველი, არაოფიციალური გადახდები ამ ორ ქვეყანაში საქონლის იმპორტის ზრის ზრდის მომზარებლის მიერ გადასახდელ სურსათის ფასს. მეორე, საერთაშორისო ვაჭრობა და ვაჭრობა ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით, ზოგიერთი სექტორი, ძლიერი მონოპოლიების კონტროლს ქვეშ არის. ამ სანქცირებულ მონოპოლიებს ფასების აწევის საშუალებით ძალუძს მიიღონ ის, რასაც ეკონომისტები უწოდებენ „ექსტრა მოგებას“.

### 3 სასურსათო ესაფრთხოების ინდიკატორები კავკასიაში

FAO-ს ინდიკატორები უზრუნველყოფს სასურსათო უსაფრთხოების სისტემატურ, კონცეპტუალურად თანმიმდევრულ და საერთაშორისოდ თავსებად შეფასებას. საბაზისო კვლევისას ისინი გვეხმარებიან მაკრო-მიმოხილვის გაეთებაში და პრიორიტული საკითხებისათვის კონტექსტის შექმნაში. თუმცა, მონაცემების უმეტესობას რეგულარულად არ აასლებენ ხოლმე, ამიტომ მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის განხილვა ალტერნატიული წყაროებიდან მოპოვებულ ინფორმაციასთან ერთად. ამიტომ, სასურსათო უსაფრთხოების „ოთხი სვეტის“ განხილვისას, შემდგომ ანალიზში ჩვენ საწყის ეტაპზე ვიხელმძღვანელეთ FAO-ს ინდიკატორებით, და შეძლებისდაგვარად შევავსეთ დამატებითი მონაცემებით.

#### 3.1 არსებობა

სურსათის არსებობას FAO აფასებს კვებითი რაციონის და სურსათის წარმოების სხვადასხვა კომპონენტების ანალიზის საფუძველზე. იმის გამო, რომ FAO ინფორმაციას არარეგულარულად აგროვებს, თითოეული ინდიკატორისთვის მონაცემები სხვადასხვა წლებშია შეგროვებული. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები მოცემული ქვეყნებისათვის და რეგიონებისათვის არის ყველაზე ახალი, ხოლო თითოეული ქვეყნის თოთოეული ინდიკატორისთვის მონაცემები აღებულია იმავე პერიოდიდან.

**ცხრილი 9:** სურსათის არსებობასთან დაკავშირებული FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები (კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონი)<sup>15</sup>

ინდიკატორი	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	განვითარებული ქვეყნები	რეგიონი
საშუალო კვებითი რაციონის ადეკვატურობა (%, 2014-2016) <sup>1</sup>	120	127	116	136	123
ენერგიის წილი მიღებული მარცვლეულიდან, ფესვებიდან, ბოლქვებიდან (%, 2009-2011)	43	63	58	32	54
ცილების საშუალო მიწოდება (გრ/დღე, 2009-2011)	85	88	75	103	83
ცხოველური წარმოშობის ცილების საშუალო მიწოდება (გრ/დღე, 2009-2011)	39	28	26	60	33
სურსათის წარმოების ინდექსი (\$/სულზე, 2011-2013)	348	266	161	491	337

<sup>15</sup> FAO, სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები, [www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food\\_Security\\_Indicators.xls](http://www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food_Security_Indicators.xls) მიმოხილულია 2017 წლის 2 მარტს

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ „საშუალო კვებითი რაციონის მიწოდების ადეკვატურობა“ სამივე ქვეყანაში 100%-ზე მაღალია. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალოდ, მარტივი კალორიების თვალსაზრისით სურსათის მოხმარება ზოგადად საკმარისია და შეიძლება ნიშნავდეს, რომ ჭარბწონიანობაა პრობლემა. (ამის შესახებ მოგვიანებთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ). უფრო მეტიც, ეს ერთადერთი ინდიკატორია, რომელიც ახლახან განაახლეს და როგორც ჩანს, უფრო სწრაფად იზრდება ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ჩვენი საბაზისო კვლევის ჩატარების შემდეგ სამი წლის განმავლობაში ეს ინდექსი 4%-ით გაიზარდა სომხეთში (116%-დან 2011-2013 წლებში 120% -მდე 2014-2016 წლებში) და 3 %-ით აზერბაიჯანში (124% -დან 2011-2013 წლებში 127% -მდე 2014-2016 წლებში), საქართველოში (113% -დან 2011-2013 წლებში 116% -მდე 2014-2016 წლებში) და გაიზარდა კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში ზოგადად განვითარებული ქვეყნების ერთ პროცენტიან ზრდასთან შედარებით.

თუმცა, სურსათის არსებობა იზომება არა მხოლოდ კალორიებით, არამედ აგრეთვე ის ითვალისწინებს მიკრო-ნუტრიენტებს. კვებითი რაციონის ლირებულების დასადგენად FAO ასევე ზომავს სხვადასხვა საკვები პროდუქტის მიღებას. ეს დამაბნეველ სურათს ქმნის. აზერბაიჯანში ყველაზე მაღალია დამოკიდებულება კვების მასიურ პროდუქტებზე და დაბალია ცხოველური წარმოშობის ცილების მიღების დონე, მაგრამ ყველაზე მაღალია ცილების მიღების დონე. სომხეთში ყველაზე დაბალია ძირითად საკვებზე დამოკიდებულების დონე და ყველაზე მაღალია ცხოველური წარმოშობის ცილების მიღება, იმ ფონზე როცა ცილების მთლიანი მიღება ოდნავ დაბალია აზერბაიჯანთან შედარებით. საქართველოში ყველაზე დაბალია, როგორც ცხოველური, ასევე მთლიანად ცილების მიღების დონე, მაგრამ პროპორციულად უფრო დაბალია ენერგიის მიღება მარცვლეულებიდან ვიდრე აზერბაიჯანში.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც ამ მონაცემების ინტერპრეტირებას ართულებს ის არის, რომ არც ერთ ქვეყანას არ აქვს საკუთარ ქვეყანაში სურსათის მოხმარების შესახებ მკაფიო ანგარიშები. ადრე საქართველოში საქსტატი აქვენებდა საკვების მიღების დეტალებს. ოჯახური მეურნეობების ძირითად კვლევაში, რომელსაც ეს სააგენტო ატარებს, ისინი ეკითხებიან რესპონდენტებს, თუ რა შეიძინეს მათ უკანასკნელი რო კვირის განმავლობაში, რადგან სწორედ დანახარჯებზე დაყრდნობით ითვლიან მოხმარებას. მაგალითად, თუ ოჯახმა შეიძინა ხორცის გარკვეული რაოდენობა გასული რო კვირის განმავლობაში, საქსტატი ამ რაოდენობის ექსტრაპოლირებას მთლიან წელიწადზე გააკეთებს, შემდეგ გამოთვლის ხორციდან (და სხვა პროდუქტიდან) ერთ დღეში მიღებული კალორიების რაოდენობას. ეს ძალიან არაზუსტ პროგნოზებს იძლეოდა, რის გამოც საქსტატმა შეწყვიტა ეს პრაქტიკა.<sup>16</sup>

მიუხედავად იმისა, არსებობს უდავოდ ღარიბი და მარგინალური ჯგუფები, ვისოფისაც საკმარისი კალორიების მიღება პრიბლემად რჩება. ზოგადად რეგიონში კვების ნაკლებობა პრობლემა აღარაა; პრობლემას არასწორი კვება წარმოადგენს.<sup>17</sup> მოსახლეობის დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება სწორი კვებისთვის და იღებს დაბალი კვებითი მრავალფეროვნების ულუფას. ეს შესაბამისად აისახება რამდენიმე ინდიკატორში, რომელიც არასწორი კვების ჯანმრთელობაზე გავლენაზე მეტყველებს.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ საშუალოდ მოსახლეობა არ განიცდის არასაკმარის კვებას, დიდია ღარიბი მოსახლეობის წილი რომელიც არასაკმარისად იკვებება და რომელიც (და ამას ჩვენ მოგვიანებით, კვების სტაბილურობისადმი მიღვნილ სექციაში განვიხილავთ), წარმოების მერყეობისა და ამინდის ცვლილების შედეგად სასურსათო უსაფრთხოების დაკარგვის წინაშე დგას.

ეს განსაკუთრებით საყურადღებოა რეგიონული ეკონომიკური რეცესიის ფონზე. ეს ციფრები წარმოების მნიშვნელობაზეც მეტყველებს. ამ ციფრების მიხედვით, სამივე ქვეყანაში ერთ სულ მოსახლეზე წარმოება ძალიან წინააღმდეგობრივია, საქართველო მათ შორის ნაკლებად პროდუქტიულია, შემდეგ მოდის აზერბაიჯანი და ბოლოს სომხეთი (ამ რიგში ყველაზე პროდუქტიული). ეს უცნაურია, ვინაიდან საქართველოში გაცილებით უფრო მაღალია წვიმების რაოდენობა.

16 ინტერვიუ ვასილ წაქაძესთან, საქსტატი. 2017 წლის 28 თებერვალი

17 არასწორი კვება არის მდგომარეობა, რომელიც გამოწევულია ისეთი კვებითი რაციონის მიღებით, სადაც ან არასაკმარისი ან ზედმეტი ნუტრიენტია, რაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებს იწვევს.

### ცხრილი 10: ატმოსფერული ნალექების რაოდენობა<sup>18</sup>

ქვეყანა	ნალექების რაოდენობა (მმ წელიწადში)
სომხეთი	562
აზერბაიჯანი	447
საქართველო	1026

თუმცა, როგორც აღინიშნა საბაზისო ანგარიშში, ზოგადად ეკონომიკური კოლაფსის შედეგად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოება გაცილებით უფრო დაცუა ვიდრე დანარჩენ ორ ქვეყანაში და გაცილებით უფრო ნელი ტემპით მიმდინარეობდა მისი აღდგენა.<sup>19</sup> აյ ჩანს წარმადობის განვითარების ზოგადად დაბალი დონე.

### ცხრილი 11: წარმადობა (ტონა ჰექტარზე) ძირითად კულტურებზე 2014 წელს და პროცენტული ცვლილება 2010 წელთან შედარებით<sup>20</sup>

	ხორბალი	სიმინდი	კარტოფილი	პომიდორი
საქართველო	1.3	+23%	2.3	+63%
სომხეთი	3.2	+52%	7.1	+52%
აზერბაიჯანი	2.4	+24%	5.4	+19%
კენია	2.2	-30%	1.7	-4%
ბრაზილია	2.2	-22%	5.2	+19%
საფრანგეთი	7.4	+14%	10.0	+14%

როგორც ხედავთ, სურსათის ყველა ჩამოთვლილ კატეგორიაში საქართველოს პროდუქტიულობა ერთ ჰექტარზე ყველაზე დაბალია, სომხეთი - ყველაზე მაღალპროდუქტიულია, ხოლო აზერბაიჯანს შუალედური მდგომარეობა უკავია. მთლიანი წარმოება ასევე მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო ჩამორჩება ამ ქვეყნებს.

### ცხრილი 12: ძირითადი კულტურების წარმოება (ტონებში) 2014 წელს და პროცენტული ცვლილება წარმოებაში 2010 წელთან შედარებით<sup>21</sup>

	ხორბალი	სიმინდი	კარტოფილი	პომიდორი
საქართველო	50,200	+4%	347,200	+146%
სომხეთი	338,158	+84%	20,158	+58%
აზერბაიჯანი	1,449,100	+14%	203,596	+50%

18 მსოფლიო ბანკი, საშუალი ნალექები დეტალურად, მიმოხილულია 2017 წლის 4 მარტს

19 ეს უფრო დეტალურადა შეჯამებული ჩვენ საბაზისო ანგარიშში: <http://foodsecuritysc.com/publication/baseline-research-food-security-in-the-south-caucasus-summary-of-findings/>

20 FAO, წარმადობის მაჩვენებლები <http://www.fao.org/faostat/en/#data/QC> მიმოხილულია 2017 წლის 3 მარტს

21 FAO, წარმადობის მაჩვენებლები, <http://www.fao.org/faostat/en/#data/QC mimoxilulia 2017 wlis 3 marts>

სომხეთს ყველა კატეგორიაში უკეთესი ზრდა აქვს, აზერბაიჯანის ზრდა შედარებით მოკრძალებულია, კარტოფილის წარმოებაში ვარდნაც კი ა აქვთ. საქართველოს ყველაზე ნაკლები ზრდა აქვს და კარტოფილის წარმოებაშიც ვარდნა, ხოლო სიმინდის წარმოება გაიზარდა თითქმის 150%-ით რაც ხუთი წლის წინანდელ მაჩვენებელთან 2.5 ჯერ მეტია.

ერთი შეხედვით, ეს იმის დასტურია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაზე ყურადღების გამახვილება სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესებას ნიშნავს. საქართველოში პროდუქტიულობის სავალალოდ დაბალი მაჩვენებელი იმაზე მეტყველებს, რომ გაუმჯობესებისათვის უდიდესი პოტენციალი არსებობს. წარმოების გაზრდა სიღარიბის აღმოფხვრისა და სხვა სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორების გაუმჯობესების საქმეში შეიტანს წვლილს.

თუმცა ადგილობრივი მაღალპროდუქტიულობის მიწნევა სასურსათო უსაფრთხოების ძლიერ ინდიკატორად არ არის სარწმუნო. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონალური პოლიტიკის სფეროში ბევრი ფიქრობს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის დამოუკიდებლობა სასურსათო უსაფრთხოებას ნიშნავს, FAO (როგორც უკვე ალინიშნა) უფრო მომხმარებელზეა კონცენტრირებული ვიდრე მწარმოებელზე. ეს დაყოვა გვიჩვენებს, რომ ნამდვილად შესაძლებელია, მაღალი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონის მიუხედავად, ვერ იქნას მიღწეული სასურსათო უსაფრთხოება. მაგალითად, თუ ქვეყანა 100%-ით თვითგმარია სურსათის წარმოების კუთხით, მაგრამ უცხოური ვალუტის ხელმისაწვდომობა დაბალია, მაშინ სასურსათო უსაფრთხოების რისკი დამოკიდებულია კონკრეტულ წელს ადგილობრივი მოსავლის წარმატებაზე ან ჩაგრდნაზე. ამიტომ, გარევეული რაოდენობის სურსათის მიღება სართაშორისო წყაროდნ შეიძლება გარკვეულწილად აზღვევდეს ქვეყანას რომელიმე გეოგრაფიულ წერტილში კონკრეტული წარმოების შეფერხების შემთხვევაში, თუ ქვეყანას ამისათვის უცხოური ვალუტის რეზერვები გააჩნია.

მიუხედავად ამისა, კავკასიაში ადგილობრივი წარმოების მიწნებულობა სასურსათო უსაფრთხოებისათვის აშკარაა, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი დამოკიდებულია საკუთარ ნატურალურ მეურნეობაზე. ამის შედეგად, რეგიონში ბევრი მწარმოებლისათვის საკუთარი პროდუქტიულობა და წარმოების სანდოობა პირდაპირ განაპირობებს მათ მიერ მოხმარებული საკვების რაოდენობას. ამიტომ მათი სასურსათო უსაფრთხოება პირდაპირ მიბმულია მათ საკუთარ სურსათის წარმოებაზე.

მდგომარეობას აუარესებს ის ფაქტიც, რომ ეს სასოფლო-სამეურნეო წარმოება მათთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა. სოფლის მეურნეობა პასუხისმგებელია საქართველოში<sup>22</sup> მოსახლეობის იმ 49%-ზე, სომხეთში 33 %-ზე<sup>23</sup>, აზერბაიჯანში<sup>24</sup> კი - 36% -ზე, რომელიც კლასიფიცირდება როგორც „უმუშევარი“. რა თქმა უნდა, ხშირად კამათობენ იმაზე, ჩაითვალოს თუ არა ეს უმუშევრობად, ვინაიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დასაქმების დეფინიციის მიხედვით, ადამიანი ითვლება დასაქმებულად მაშინაც, როცა ის ძალიან ცოტა დროს ხარჯავს ეკონომიკური ფასეულობის შექმნაზე და მაშინაც კი როდესაც ამ საქმიანობის შედეგი ძალიან მცირეა.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო „შემოსავლები“ ხშირად ძალზედ დაბალია. მსოფლიო ბანკის მიერ 2009 წელს ჩატარებული სიღარიბის შეფასების მიხედვით, სოფლის მეურნეობის სექტორში თვითდასაქმებულთა საშუალო შემოსავალი (ნატურალური მოხმარების ჩათვლით) ქალაქში დასაქმებულთა ხელფასის მხოლოდ 20%-ს შეადგენს.<sup>25</sup> ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო ექსპერტები რეგიონში დიდი ხანია შეთანხმდნენ იმაზე, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გაზრდა, განსაკუთრებით მცირე ნატურალური მეურნეობების მიერ, სიღარიბის დაძლევის და სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო სტრატეგია. ამიტომაც სიღარიბის აღმოფხვრისკენ მიმართული სოფლის მეურნეობა და სოფლად განვითარება პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს.

ეს ანგარიში, რა თქმა უნდა, ვერ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობის სრულყოფილ ანალიზს, ვინაიდან სოფლის მეურნეობის ლირებულების ჯაჭვზე უამრავი ფაქტორი ახდენს

22 2016, ENPARD -ის პუბლიკაცია „საქართველოს სოფლად განვითარების სტრატეგია“, 2017-2020 <http://enpard.ge/en/wp-content/uploads/2015/05/Rural-Development-Strategy-of-Georgia-2017-2020.pdf>, გვ 5

23 სომხეთი (2015) შრომის ბაზარი სომხეთის რესპუბლიკაში, 2011-2015 წწ [http://www.armstat.am/file/article/9-trud\\_2016\\_4.1.pdf](http://www.armstat.am/file/article/9-trud_2016_4.1.pdf), გვ 51.

24 აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, (2015) მონაცემები ადამიანური რესურსებისა და დასაქმების შესახებ, დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის კალსიფიკაციის მიხედვით; სეტორი მოიცავს სატყეო სექტორს და მეთევზეობას. <http://www.azstat.org/MESearch/search?departament=22&lang=en> მოხილულია 2017 წლის 6 მარტს

25 მსოფლიო ბანკი (2009) სიღარიბის შეფასება შაქართველოში, გვ 7

გავლენას და ძალიან ბევრი პროდუქტი განსხვავებული დინამიკით ხასიათდება. ჯეოგელის გუნდმა მოამზადა ამ სექტორის მიმოხილვა 2012 წელს და ეს მიმოხილვა 192 გვერდს მოიცავდა. ამასთან ერთად, ჩვენ გადმოვიტანეთ 2014 წელს ჩატარებული საბაზისო კვლევის დროს ორ ქვეყანაში აღმოჩენილი ძირითადი პრობლემები.

### **რეალურ ფასად და მაღალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო რესურსების ხელმისაწვდომობა**

- ვეტერინარული პრეპარატები;
- წყალი/ირიგაცია;
- თესლი;
- სასუქები;
- პესტიციდები;
- გენეტიკა;
- მანქანა-დანადგარები.

### **ცოდნის ბაზა**

- ფერმერებს არ აქვთ ელემენტარული ცოდნა;
- საკონსულტაციო სამსახურების ნაკლებობა;
- დღევანდელი ექსპერტების მოძველებული კომპეტენცია;
- ექსპერტებისათვის პროფესიული ტრენინგების ნაკლებობა;
- ცუდი მენეჯმენტი, ფინანსური და ბიზნეს-უნარები.

### **მყიდველთან/გადამამუშავებელთან დაკავშირებული პრობლემები**

- ფიტო-სანიტარული სტანდარტების არარეგულარული დაცვა;
- გადამამუშავებლის მხრიდან გადახდის არასანდონობა;
- გადამმუშავებლისთვის პროდუქციის მიწოდების არასანდონობა.

### **შიდა ბაზრის ხელმისაწვდომობა**

- ზოგიერთი ტერიტორიის იზოლირება;
- ზოგიერთ სფეროში/ქვესექტორში მოვაჭრების ნაკლებობა;
- წარმოების არასანდონობა, რაც გავლენას ახდენს მწარმოებლის/მიმწოდებლის ურთიერთობებზე;
- სასოფლო-სამეურნეო ტრანზაქციების დიდი წილი არაფორმალურ ბაზარზე მოდის.

### **გარე ბაზრების ხელმისაწვდომობა**

- პროდუქციის მცირე რაოდენობები აძვირებს ტრანსპორტირებას;
- მიწოდების ხარისხი და რაოდენობები ართულებს დასავლურ ბაზრებზე გასვლას.

თითოეულ პრობლემას თუ ცალ-ცალკე განვითარებით, 2014 წლის საბაზისო კვლევასთან შედარებით, საქართველოში გარკვეულ პროგრესს ყველა სფეროში დავინახავთ, ეს იმის შედეგიცაა, რომ ევროკავშირის პროექტები თითოეული პრობლემის გადასაჭრელად სერიოზულ რესურსებს მიმართავენ. ამ მუშაობის ერთ-ერთი წამყვანი ინსტრუმენტი, ENPARD-ის პროექტები, კოოპერატივების გაძლიერების გზით მიწოდების ჯაჭვების შექმნას, ცოდნის გაზრდას და ბაზართან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას უზრუნველყოფდა. გარდა ამისა, მათ ასევე სერიოზული დახმარება გაუწიოს პროფესიული განათლების განვითარებასა და აგრეთვე ადგილობრივ მთავრობას საჯარო პროგრამების უკეთესი დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით. ამავდროულად, DCFTA-ის გამო, ევროკავშირი ეხმარება საქართველოს მთავრობას საკუთარი წარმოების და გადამუშავების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებაში, და, რა თქმა უნდა, DCFTA-ი მიზნად ისახავს საქართველოსათვის ბაზრის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მდგომარეობის გაუმჯობესებას საქართველოსათვის 500 მილიონიანი მოსახლეობის მქონე ევროკავშირის ბაზრის გახსნის შედეგად. მეორე შერიც, მაშინ როცა ქართული ბიზნესის უმტკირდება DCFTA-ის სიკეთების სრული გამოყენება, ამასთან ხელშეკრულება მცირე ადგილობრივი წარმოებისათვის გარკვეული რისკებსაც შეიცავს. ამ ჩამონათვალიდან ბევრი ელემენტი ქვემოთ არის განხილული. სომხეთიც აგრძელებს ევროკავშირთან მტკიდრო თანამშრომლობას მთელ რიგ საკითხებში (იმის მსგავსად, რაც გაკეთდა საქართველოში) მაგრამ უფრო მცირე მასშტაბით, რადგანაც ქვეყანას ხელი არ მოუწერია ასოცირების შეთანხმებაზე.

სომხეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ინტერვიუების თანახმად, სომხეთი საქამად თვითკმარი ქვეყანაა, რომელიც საკუთარი სასურსათო მოთხოვნის 60%-ს თვითონვე აწარმოებს. 2017-2021 წლების სომხეთის სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია მიზნად ისახავს ქვეყნის თვითკმარობის დონის ამაღლებას. უკანასკნელ წლებში სომხეთში გაიზარდა მარცვლეულის და ბოსტნეულის წარმოება. მაგალითად, ხორბლეულის კუთხით თვითკმარობის დონე გაიზარდა 2013 წლის 47%-დან 50%-მდე 2015-ში. თუმცა, ზოგიერთი ძირითადი საკვები პროდუქტის შემთხვევაში, სომხეთი იმპორტზეა დამოკიდებული.

### 3.2 ხელმისაწვდომობა

FAO ერთმანეთისგან მიჯნავს ფიზიკურ და მატერიალურ ხელმისაწვდომობას.

ცხრილი 13: ფიზიკურ და მატერიალურ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები (კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონი)<sup>26</sup>

ინდიკატორი	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	განვითარებული ქვეყნები	რეგიონი
მოკირწყლეული გზების პროცენტი (აღარ ახლდება)	96.8 (1998)	55.6 (2011)	36.4 (2009)	69.4 (2004)	84.7 (1998)
სარკინიგზო ხაზების სიმჭიდროვე (კმ მიწის ფართობის 100 კვადრატულ კილომეტრზე)	2.8 (2014)	2.4 (2014)	2.3 (2014)	1.3 (2014)	0.6 (2014)
გზების სიმჭიდროვე (კმ მიწის ფართობის 100 კვადრატულ კილომეტრზე)	26.1 (2011)	21.9 (2011)	27.1 (2011)	32.7 (2011)	7.3 (2007)
სურსათის ადგილობრივი ფასების ინდექსი <sup>2</sup>	8.87 (2014)	-	-	1.68 (2014)	არ არის საშუალო

26 FAO, სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები [www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food\\_Security\\_Indicators.xls](http://www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food_Security_Indicators.xls) მიმოხილულია 2017 წლის 7 მარტს

ფიზიკურ და მატერიალურ ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული FAO-ს ზოგიერთი ინდიკატორი ჩვენი 2014 წლის ანგარიშის შემდეგ განახლდა. თუმცა ციფრების უფრო დეტალური შესწავლა გვიჩვენებს, რომ გზებთან დაკავშირებული არც ერთი ინდიკატორი არ განახლებულა, ხოლო რკინიგზასთან დაკავშირებული ინდიკატორი მართალია განახლდა, მაგრამ არ შეცვლილა.

რკინიგზის სიმჭიდროვის ინდექსი უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში და გაცილებით უფრო მაღალი, ვიდრე მთლიანად რეგიონის ქვეყნებში, რაც გასაკვირი არაა, რადგან საბჭოთა კავშირი დიდ ინვესტიციებს დებდა სარკინიგზზო ინფრასტრუქტურაში, ხოლო ცენტრალური აზის ქვეყნების მოსახლეობა შედარებით მეჩერად არის დასახლებული დიდ ტერიტორიებზე, რაც რეგიონის საშუალო მაჩვენებელს დაბლა სწევს გაცილებით უფრო პატარა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან შედარებით.

გზების სიმჭიდროვის ინდექსიც არაა გასაკვირი, რადგან უფრო დაბალია ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ გაცილებით უფრო მაღალია რეგიონის შედარებით ამავე მიზეზის გამო. მოკირწყლული გზების წილი ყველაზე დაბალია საქართველოში, თუმცა ქვეყნაში მთლიანი გზების სიმჭიდროვე უფრო მაღალია. აზერბაიჯანში მოკირწყლული გზების წილი უფრო ზომიერია, მაგრამ ზოგადად გზების სიმჭიდროვე უფრო დაბალია. რეგიონში მოკირწყლული გზების პროპორცია უფრო მაღალია განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითაც კი, მაგრამ გაცილებით დაბალია გზების სიმჭიდროვე. ეს ციფრები იმაზე მიგვანიშნებს, რომ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, სადაც ქვეყნები უფრო დიდია და უფრო მეჩერად დასახლებული, გზები ნაკლებად მჭიდროა, მაგრამ მეტად მოკირწყლული.

ჩვენ გავანალიზეთ სამი ყველაზე დიდი საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის - მსოფლიო ბანკი (მბ), აზის განვითარების ბანკი (აგბ) და ევროპული საინვესტიციო ბანკი (ეგბ) - მონაცემები, რათა დაგვედგინა თუ რამდენი დაიხარჯა 2011 წლიდან (მათი კრედიტებიდან) სამხრეთ კავკასიაში გზების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის.

**ცხრილი 14: მსოფლიო ბანკის, აზის განვითარების ბანკის და ევროპული საინვესტიციო ბანკის მიერ დაფინანსებული საგზაო პროექტების მოცულობა, მილიონ აშშ დოლარში<sup>27</sup>**

სომხეთი (სულ)	266
აზის განვითარების ბანკი	150
ევროპული საინვესტიციო ბანკის	116
აზერბაიჯანი (სულ)	1635
აზის განვითარების ბანკი	1495
მსოფლიო ბანკი	140
საქართველო (სულ)	1308
აზის განვითარების ბანკი	334
ევროპული საინვესტიციო ბანკის	531
მსოფლიო ბანკი	443

რეგიონში, აზერბაიჯანმა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი დაფინანსება მიიღო საგზაო პროექტებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანში ევროპული საინვესტიციო ბანკი არ ფუნქცინირებს. გარდა ამისა, საკუთარი ნავთობის და ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსების გამო, აზერბაიჯანი უშუალოდ საკუთარი ბიუჯეტიდან აფინანსებს რამდენიმე საგზაო პროექტს კრედიტების აღების გარეშე.

FAO-ს ინდიკატორები არ ითვალისწინებს საერთაშორისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას, მაგრამ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამივე ქვეყნის იმპორტზე მაღალი დამოკიდებულების გამო, რადგან სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმართავა მნიშვნელოვნად აძვირებს იმპორტირებულ სურსათს. მსოფლიო ბანკი ვაჭრობის სიმარტივეს ქვეყნებთან და ქვეყნებს

<sup>27</sup> აზის განვითარების ბანკის (აგბ), ევროპული საინვესტიციო ბანკის (ეგბ) და მსოფლიო ბანკის (მბ) ქვეყნების ვებგვერდებზე. მიმოხილულია 2017 წლის 4 აპრილს

შიგნით აანალიზებს ლოგისტიკის ფუნქციონირების ინდექსის მეშვეობით (ლფი), რაც შედგება ექვსის ქვენდექსისაგან, ინფრასტრუქტურის სარისხის ინდექსის ჩათვლით.<sup>28</sup> ეს არის სამხრეთ კავკასიის ქვეყნების რეიტინგები პორტების, რკინიგზის, გზების და საინფორმაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით. 2014 წლის შეფასებით აზერბაიჯანმა ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო და 68-ე ადგილი დაიკავა, საქართველომ - მე-100, ხოლო სომხეთმა - 107-ე. მსოფლიო ბანკის 2016 წლის ლფი რეიტინგში სომხეთი და საქართველო გაცილებით უფრო დაბალ ადგილებზეა (141-ე და 130-ე), მაგრამ ეს რეიტინგი დათვლილია 160 განსხვავებულ ქვეყნას შორის, სადაც აზერბაიჯანი საერთოდ არ ფიგურირებდა, რაც ართულებს შედარებების გაკეთებას.<sup>29</sup>

#### ცხრილი 15: 2016 წლის ლფი რეიტინგის კომპონენტები სომხეთსა, საქართველო და აზერბაიჯანისთვის<sup>30</sup>

	სომხეთი	საქართველო
საბაჟო	148	118
ინფრასტრუქტურა	122	128
საერთაშორისო გადაზიდვები	146	131
ლოგისტიკის ხარისხი და კომპეტენცია	137	146
თვალყურის დევნება და მონიტორინგი	147	112
პუნქტულობა	139	117
ლფი ჯამური რეიტინგი	141	130

არც სომხეთი და არც საქართველო არ შედის 100 პირველ ქვეყნაში (160-დან) ლფი-ს რეიტინგის არცერთი კომპონენტის მიხედვით. თუმცა, სომხეთი (122-ე ადგილი) ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით საქართველოსთან (128-ე ადგილი) შედარებით ოდნავ წინაა, მაგრამ საქართველოს უფრო მაღალი ქულები აქვთ თვალყურის დევნების და მონიტორინგის კომპონენტში (112-ე ადგილი).

ასევე მნიშვნელოვანია სურსათის ხელმისაწვდომობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სასურსათო უსაფრთხოებისათვის, ვინაიდან სურსათის წარმოებას აფერხებს საზღვრების საკითხთან დაკავშირებული ცვლილებები. როდესაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა თავიანთი დამოუკიდებლობა დაიბრუნეს, ადმინისტრაციული საზღვრები სახელმწიფო საზღვრები გახდა. საქართველოს ჩრდილო მაღალმთიანი ტერიტორიების შემთხვევაში ამ ცვლილებებმა შეაფერა ცხვრების სეზონური მიგრაცია საქართველოდან ჩრდილო კავკასიის საძოვრებისკენ, რამაც გაწყვიტა ტრადიციული სურსათის მიწოდების ჯაჭვი სამხრეთ და ჩრდილო კავკასიის მაღალმთიანი რეგიონების მოსახელობას შორის.<sup>31</sup>

ოქსფამის მიერ დაფინანსებული კვლევის მიხედვით „სურსათის მიწოდების ტრადიციული ჯაჭვები გაწყდა. ადრე ჩრდილოკავკასიელ მთიელებს ჩამოჰქონდათ თავიანთი პროდუქცია საქართველოს ბარში და იქ ყიდნენ ან ცვლილნენ მათთვის საჭირო პროდუქტზე“.<sup>32</sup> ახლა კი, მეცხვარებს საქართველოს ჩრდილო ნაწილებიდან (ყაზბეგი, თუშეთი) ზამთარში უწევთ სამხრეთ საქართველოს საძოვრებზე გადასვლა (შირაქი). ეს საძოვრები გაცილებით მწირია და ზაფხულის საძოვრებიდან ბევრად უფრო შორსაა, ვიდრე დაღესტნის საძოვრები.

28 მსოფლიო ბანკი, ლოგისტიკის ფუნქციონირების ინდექსი, <http://lpi.worldbank.org/> მიმოხილულია 2017 წლის 26 მარტს

29 მსოფლიო ბანკის, ლოგისტიკის ფუნქციონირების ინდექსი, <http://lpi.worldbank.org/> მიმოხილულია 2017 წლის 26 მარტს

30 მსოფლიო ბანკის, ლოგისტიკის ფუნქციონირების ინდექსი, <http://lpi.worldbank.org/> მიმოხილულია 2017 წლის 26 მარტს

31 ოქსფამი/RAPDI (2016) სასურსათო უსაფრთხოება და კვებასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ. 9

32 ოქსფამი/RAPDI (2016) სასურსათო უსაფრთხოება და კვებასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ. 9

თუმცა ფიზიკური ხელმისაწვდომობის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი საერთაშორისო კი არა, არამედ ადგილობრივი. სასურათო ბაზრები ან სუპერმარკეტები სამხრეთ კავკასიის სოფლებსა და მუნიციპალიტეტების უმეტოსაბაზი არსებობს, ამიტომ მოსახლეობის დიდ ნაწილს კვების პროდუქტებთან ფიზიკური ხელმისაწვდომობა ნადვილად აქვს. საქართველოში 2015 წელს ოქსფამისა და ეი-სი-თის მიერ ჩატარებული ეროვნული ნუტრიციული კვლევის მიხედვით (გამოქვეყნებული 2016 წელს) ზოგადად „საქართველოს ოჯახებს ამ კუთხით პრობლემა არ აქვთ“.<sup>33</sup> თუმცა, კვლევაში გამონაკლისებიც იყო მოყვანილი. კერძოდ, „მაღალმთიანი მოსახლეობისათვის საკვები ხელმისაწვდომია ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე და მათი მუნიციპალიტეტების ცენტრებში მდებარე სუპერმარკეტებში“.<sup>34</sup> ოქსფამის ხელშეწყობით ჩატარებულ კვლევაში, რომელიც კონკრეტულად მთან ტერიტორიებზე ამახვილებს ყურადღებას, შედეგები იმაზე მიგვითითებს, რომ სეზონურობამ შეიძლება სერიოზული უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგიერთ მაღალმთიან რეგიონზე. სურსათის გასაყიდი ადგილმდებარეობების ხელმისაწვდომობა იზრდება ზაფხულსა და შემოდგომაზე, ხოლო ზამთარში და გაზაფხულზე მცირდება. საქართველოში ორასამდე სოფელია ზამთარში მიუწვდომელი.<sup>35</sup>

სომხეთში ჩატარებული ნუტრიციული კვების კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ დედაქალაქსა და ურბანულ ზონაში მოსახლეობის უმცესებას სურსათის შეძენა ყოველდღიურად შეუძლია მაღაზიებისა და სუპერმარკეტების სიახლოების გამო.<sup>36</sup> სოფლებში რაოდენობრივად ნაკლები მაღაზია და მანძილიც მეტია. მართალია არსებობენ სურსათის მობილური გამყიდვები, მაგრამ ისინი უფრო ძვირად ყიდიან თავიანთ საქონელს და რეგულარულადაც არ მოძრაობენ. სომხეთში სოფლად მაცხოვრებელი რესპონდენტების მხოლოდ 37%-ი საკებას ყოველდღიურად ყიდულობს თავის სოფელში, ხოლო<sup>37</sup> სოფლად მცხოვრებთა 30% სურსათს ახლომდებარე ქალაქში ყიდულობს.<sup>38</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სოფლად მაცხოვრები ფერმერები შეიძლება უფრო ლარიბები არიან და ნაკლებად დასაქმებულნი თავიანთ ურბანულ თანამოქალაქეებთან შედარებით, ჩვენი ინტერვიუების მიხედვით, ისინი სასურათო უსაფრთხოების კუთხით უფრო დაცულად შეიძლება ჩაითვალონ. სოფლის მოსახლეობა ძირითადად შედეგება მცირე ზომის მიწის მქონე ფერმერებისაგან. ეს მცირე ფერმერები ეკონომიკურად ნაკლებ ეფექტურები არიან, თუმცა იძლევიან ნაცურალური მეურნეობის შექმნის შესაძლებლობას. ამიტომ, ხშირად ისმის აზრი იმის შესახებ, რომ საკუთარი თავის გამოკვება უფრო ადვილია სოფლად, ვიდრე ქალაქად. მაგალითად, ერთ-ერთმა გამოკითხულმა გვითხრა, რომ „სურსათის ხელმისაწვდომობა გაცილებით დიდი პრობლემაა ქალაქში. სოფელში, თუ ადამიანი ზარმაცი არაა, თავის სამყოფ მოსავალს ყოველთვის მოიყვანს.“<sup>39</sup>

ეს რა თქმა უნდა სიმართლეს შეიძლება არ შეესაბამებოდეს. მცირე ზომის მიწის მფლობელები, ფულადი შემოსავლის გარეშე, შეიძლება ქმნიდნენ თავიან საარსებო პროდუქტს, მაგრამ მათი მდგომარეობა შეიძლება მეტად სარისკო იყოს, ვინაიდან ნებისმიერი მოვლენა, როგორიცაა ადგილობრივი გვალვა, წყალდიდობა, ცხოველების ან მოსავლის დაავადებები, ოჯახის წევრის ავადმყოფობა ან მთელი რიგი სხვა ადგილობრივი პრობლემებისა, შეიძლება ცუდი მოსავლის მიზეზი გახდეს და ოჯახი სურსათის კუთხით შეიძლება სრულიად დაუცველი აღმოჩნდეს. გარდა ამისა, დიდი ოჯახები, რომლებიც საკუთარ მეურნეობაზეა კვების თვალსაზრისით დამოკიდებული, შეიძლება მეტად იყოს დამოკიდებული სურსათის გარკვეულ სპექტრზე, რომელიც კიდევ უფრო შეზღუდულია სეზონს გარეთ. ამით შეიძლება აიხსნას ის, რომ სურსათთან დაკავშირებული ბავშვთა დაავადებები სოფლად მეტადაა გავრცელებული, ვიდრე ქალაქში (იხ. ქვემოთ).

33 ოქსფამი/ACT (2016) კვების ეროვნული კვლევა საქართველოში, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>, გვ.4

34 ოქსფამი/ACT (2016) კვების ეროვნული კვლევა საქართველოში, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ. 4

35 ოქსფამი/RAPDI (2016) სასურსათო უსაფრთხოება და კვებასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ.25

36 ოქსფამი/APR (2015) სომხეთის მოსახლეობის კვების სტატუსის კვლევის ანგარიში <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ. 51

37 ოქსფამი/APR (2015) სომხეთის მოსახლეობის კვების სტატუსის კვლევის ანგარიში <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ. 51

38 ოქსფამი/APR (2015) სომხეთის მოსახლეობის კვების სტატუსის კვლევის ანგარიში <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ. 51

39 ინტერვიუ ვარდან ტორჩიანთან, სტრატეგიული განვითარების სააგენტო, 2017 წლის 21 მარტი

მატერიალური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მთავარი ინდიკატორი „სურსათის ფასის დონეა“. მას ითვლიან იმისათვის, რომ დაადგინონ რამდენად ძვირია სურსათი სხვა პროცესტული შედარებით, ანუ რაც უფრო მაღალია ეს ციფრი, მით უფრო შედარებით ძვირია სურსათი.<sup>40</sup> კავკასიაში ადგილობრივი სურსათის ფასის ინდექსს ამჟამად მხოლოდ სომხეთისთვის ითვლიან, სადაც ის დაეცა 9.07-დან 2013 წელს 8.87-მდე 2014-ში, მაშინ როცა განვითარებული ქვეყნებისთვის ის დავარდა 1.71-დან 1.68-მდე. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ სურსათის ხელმისაწვდომობა ოდნავ გაიზარდა, ის მაინც ხუთჯერ უფრო ძვირია (შემოსავლებთან შედარებით) ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. დამატებითი ინფორმაციისთვის, სურსათი სომხეთში ორჯერ უფრო ძვირია, ვიდრე რუსეთში (შემოსავალთან შედარებით), ხუთჯერ უფრო ძვირია ვიდრე საფრანგეთში და თითქმის ცხრაჯერ უფრო ძვირია ვიდრე აშშ-ში.<sup>41</sup>

საქართველოსთვის, მიუხედავად იმისა, რომ იქ FAO-ს სურსათის ფასის ინდექსი არ მოიპოვება, ჩვენ სხვა ინდიკატორების გამოყენება შეგვიძლია. ოქსფამის/ეი-სი-თის ეროვნული ნუტრიციული კვლევის მიხედვით, საქართველოში საკვებზე გაწეული ხარჯების წილი მაღალია. საშუალო თვიური შემოსავლის (575 ლარი) თითქმის ნახევარი (270 ლარი) საკვებზე იხარჯება. ხარჯების პროცენტული რაოდენობა „დაბალშემოსავლიანი“ ოჯახებისთვის 65%-ს შეადგენს, „საშუალოშემოსავლიანი“ ოჯახებისთვის 52%-ს, ხოლო „მაღალშემოსავლიანი“ ოჯახებისთვის - 35%-ს შეადგენს. გარდა ამისა, მოსახლეობის მრავლესობა საკვებს კრედიტით ყიდულობს. ყოველ მესამე ოჯახს არ აქვს საკმარისი თანხა სასურველი სურსათის შესაძენად (როგორც წესი ხორცის).<sup>42</sup>

სურსათის ფასები მაღალმთან რეგიონებში კიდევ უფრო მაღალია. „ფასის მომატება მეტწილად გამოწვეულია ლოგისტიკური შეზღუდვებით, როგორიცაა სასაწყობე ნაგებობებიდან დიდი დაშორება, ტრანსპორტირების მაღალი ღირებულება, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, საცალ ვაჭრობის ქსელები, და ა.შ.“<sup>43</sup>

### 3.3 მოხმარება (უტილიზაცია)

FAO-ს უტილიზაციის ინდიკატორები ყურადღებას ამახვილებს საკვების მომზადებისთვის ჯანსაღ პირობებზე და აგრეთვე ჯანსაღი კვების ზოგიერთ მარტივ კომპონენტზე. ჩვენ დავიწყეთ ორი ინდიკატორის ანალიზით: წლის წყაროების გაუმჯობესებული ხელმისაწვდომობა და გაუმჯობესებული სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობა (%). შემდეგ გადავდით FAO-ს დამატებითი ინდიკატორების შესწავლაზე, განსაკუთრებული აქცენტით ბავშვებზე. იყულის სხმება, რომ გაუმჯობესებული წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობა აქვს მოსახლეობის იმ პროცენტს, რომელსაც სათანადო ხარისხის წყალზე მიუწვდება ხელი (როგორიცაა ოჯახებთან მიერთება, საზოგადოებრივი წყაროები, ჭაბურლილები, დაცული ჭები ან წყარობი, აგრეთვე შეგროვებული წვიმის წყალი). არა-გაუმჯობესებული წყარო მოიცავს გამყიდვლებს, მობილურ ცისტერნებს, დაუცველ ჭებსა და წყაროებს.

სათანადო ხელმისაწვდომობა ნიშნავს დღეში ერთ სულზე მინიმუმ 20 ლიტრ წყალზე ხელმისაწვდომობას ისეთი წყაროდან, რომელიც სახლიდან ერთი კილომეტრის ფარგლებში მდგბარეობს. გაუმჯობესებული სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობა აქვს მოსახლეობის იმ პროცენტს, რომელსაც ადეკვატური წვდომა აქვს საპირფარეშოზე, სადაც ადამიანის, ცხოველის, მწერის კონტაქტი ექსკრემნტებთან შეუძლებელია. გაუმჯობესებულ სტრუქტურაში იგულისხმება მარტივი, მაგრამ დაცული სტრუქტურები: სოფლის ტუალეტებით დაწყებული, კანალიზაციაზე მიერთებული ჩასარეცხი უნიტაზებით დამთავრებული. გამართული მუშაობისათვის აუცილებელია, რომ ეს კონსტრუქციები სწორად იყოს მოწყობილი და სათანადოდ მოვლილი.

40 ეს არის სურსათის მსყიდველობითი ძალის პარიტეტი გაყიდვილი მთლიან მსყიდველობითი ძალის პარიტეტზე, რაც გვიჩვენებს სურსათის ფასს სხვა საქმიანობაზე შედარებით.

41 FAO-ს 2014 წლის ინდექსები, სადაც 4.3 - რუსეთისთვის, 1.7 - საფრანგეთისთვის, და 1.0- ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, რომელიც აღებული როგორც საბაზისო ციფრი.

42 ოქსფამ/ACT (2016) ავების ეროვნული კვლევა საქართველოში, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

43 ოქსფამ/RAPDI (2016) სასურსათო უსაფრთხოება და კვებასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოს მაღალმთან რეგიონებში. <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> p7

**ცხრილი 16:** საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გაუმჯობესებული წყლის და სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობა და შედარება საერთაშორისო მდგომარეობასთან

	გაუმჯობესებული წყლის წყაროების ხელმისაწვდომობა (%)		გაუმჯობესებული სანიტარული პირობების ხელმისაწვდომობა (%)	
	2013	2015	2013	2015
სომხეთი	99.9	100.0	89.5	89.5
აზერბაიჯანი	85.3	87.0	86.3	89.3
საქართველო	99.0	100.0	87.5	86.3
განვითარებული ქვეყნები	99.2	99.2	95.5	95.6
რეგიონი	88.4	89.1	95.6	96.0

ამ ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ მოსახლეობის უმრავლესობას ხელი მიუწვდება სანიტარულად გაუმჯობესებულ წყლის რესურსებზე, თუმცა საინტერესოა ისიც, რომ ეს დონე აზერბაიჯანში ყველაზე დაბალია, მაშინ როდესაც სამ ქვეყნას შორის ის ყველაზე მდიდარია. საბაზისო კვლევის შემდგომ პერიოდში დიდ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია.

ჩვენ ასევე შევისწავლეთ FAO-ს ინდიკატორები, რომელიც უშულოდ ხუთ წლამდე ასაკის ბავშვებზე იყო კონცენტრირებული. არსებობს სამი ინდიკატორი, რომელიც უშუალოდ ზრდის შეჩერებაზე, კახექსიაზე და წონის ნაკლებობაზე კონცენტრირებული. ზრდის შეჩერების ინდიკატორი ნიშნავს 0-დან 5-წლამდე ბავშვების იმ პროცენტულ რაოდენობას, რომლებსაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბავშვთა ზრდის სტანდარტების მიხედვით აქვთ წონა-სიმაღლესთან მედიანიდან - 2 სტანდარტული გადახრა. წონის ნაკლებობის ინდიკატორი ნიშნავს 0-დან 5-წლამდე ბავშვების იმ პროცენტულ რაოდენობას, რომლებსაც აქვთ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბავშვთა ზრდის სტანდარტების მიხედვით წონა-ასაკთან მედიანიდან მინუს ორი სტანდარტული გადახრა.

**ცხრილი 17:** FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების დამატებითი მოხმარებასთან (უტილიზაციასთან) დაკავშირებული ინდიკატორები (კავკასიის და ცენტრალური აზიის რეგიონი)<sup>44</sup>

ინდიკატორი	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	განვითარებული ქვეყნების	რეგიონი
ზრდის შეფერხების მქონე ხუთ წლამდე ბავშვების პროცენტული რაოდენობა	20.8 (2010)	18.0 (2013)	11.3 (2009)	მონტენეგრო 9.4 (2013)	ყირგიზეთი 12.9 (2014)
კახექსიის მქონე ხუთ წლამდე ბავშვების პროცენტული რაოდენობა	4.2 (2010)	3.1 (2013)	1.6 (2009)	მონტენეგრო 2.8 (2013)	ყირგიზეთი 2.8 (2014)
წონის ნაკლებობის მქონე ხუთ წლამდე ბავშვების პროცენტული რაოდენობა	5.3 (2010)	4.9 (2013)	1.1 (2009)	მონტენეგრო 1.0 (2013)	ყირგიზეთი 2.8 (2014)

44 FAO. სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები. [www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food\\_Security\\_Indicators.xlsx](http://www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food_Security_Indicators.xlsx) მოხილულია 2017 წლის 4 მარტს

საბაზისო კვლევის შემდეგ მხოლოდ აზერბაიჯანის მონაცემები იყო განახლებული. აზერბაიჯანს საბაზისო კვეყანას შორის ყველზე ცუდი შედეგი ჰქონდა, მაგრამ ინდიკატორები გვიჩვენებს, რომ სიტუაცია გაუმჯობესდა. ზრდის ჩამორჩენის მქონე ბავშვების რაოდენობა შემცირდა 26.8%-დან 2006 წელს 18.0%-მდე 2013-ში, კახექსის მქონე ბავშვების რაოდენობა შემცირდა 6.8%-დან 3.1%-მდე იმავე პერიოდში, ხოლო წონაში ჩამორჩენის მქონე ბავშვების რაოდენობა შემცირდა 8.4%-დან 4.9%-მდე. ცხრილი ასევე ცხადყოფს, რომ ზრდაში ჩამორჩენის პრობლემას წარმოადგენს სამივე ქვეყანაში. ეს გამოწვეულია სანერგოლივი კვებითი ნაკლოვანებებით, არაადეკვატური საკვების მიღებით და დიდ ხანს გაგრძელებული ავადმყოფებით.

სომხეთში ზრდაში ჩამორჩენის მაჩვენელი ოდნავ გაიზარდა 17%-დან 2000 წელს 18%-მდე 2005 წელს და 19%-მდე 2010 წელს. თუმცა, სომხეთში დემოგრაფიული და ჯანმრთელობის უახლესი კვლევის მიხედვით, ზრდაში ჩამორჩენა განახევრდა 2015-2016 წლებში.<sup>45</sup> ზედმეტი წონის მქონე ბავშვების რაოდენობა გაიზარდა 11%-დან 2005-ში 15%-მდე 2010-ში და შემდეგ ოდნავ დაიწია (14%-მდე) 2015-2016 წლებში.<sup>46</sup> ორივე შემთხვევაში მიზეზი ცილებით ღარიბი ანდა ნახშირწყლებით მდიდარი კვებითი რაციონია, რაც შეიძლება სიღარიბის და სურსათის ნაკლებობის შედეგი იყოს, მაგრამ ამავდროულად დედებში ჯანმრთელი კვების შესახებ ცოდნის ნაკლებობის და არასწორი მიღვმების შედეგიც შეიძლება იყოს.<sup>47</sup> ზრდაში ჩამორჩენა უფრო გავრცელებულია სოფლად მცხოვრებ ბავშვებში (22% სოფლად და 17% ქალაქებში), და იმ ბავშვებში, რომელთა დედებიც განათლების დაბალი დონით გამოირჩევიან (22%) და აგრეთვე ბავშვებში ძალიან ღარიბი ოჯახებიდან (26%).<sup>48</sup>

ზრდაში ჩამორჩენის და ზედმეტი წონის გარდა, პრობლემას ანემიაც წარმოადგენს. ანემია მეტწილად რკინის დეფიციტის შედეგია. საქართველოში კვების ეროვნული კვლევის მიხედვით, მოსახლეობის მხოლოდ 1/3-ი იღებს რკინით გამდიდრებულ საკვებს (გაანგარიშება ეფუძნება ცხოველური წარმოშობის საკვების მიღებას).<sup>49</sup> ამ თვემის და სხვა უამრავი საკითხის ირგვლივ უკეთეს მონაცემების შეგროვების მიზნით, 2016 წელს დაავადებათა კონტროლის ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო საქართველოს ოთხ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ლაგოდები და მარტვილი) საცდელი კვლევების ჩატარება. თითოეულ მუნიციპალიტეტში შერჩეულ იქნა თითო ქალთა კლინიკა და თითო ბავშვთა საავადმყოფო, სადაც დიაგნოსტიკური შემოწმებიდან მიღებული ყველა მონაცემი მონაცემთა ბაზაში დაფიქსირდება.<sup>50</sup> შედეგები დეტალურად გაანალიზდება საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. წინასწარი მონაცემების მიხედვით, ანემის მოულოდნელად მაღალი დონე დაფიქსირდა ლაგოდებში.<sup>51</sup> სხვა მიგნებები ჯერჯერობით ანალიზის პროცესშია.

მოხმარების (უტილიზაციის) კუთხით, FAO ცდილობს თვალყური ადევნოს კვების ნაკლებობის დონეს.

45 სომხეთის ეროვნული სტატისტიკის სამსახური (2016) სომხეთის დემოგრაფიული და ჯანმრთელობის კვლევა 2015-2016 <https://dhsprogram.com/pubs/pdf/PR79/PR79.pdf> გვ. 41, მიმოხილულია 2017 წლის 28 აპრილს

46 სომხეთის ეროვნული სტატისტიკის სამსახური (2016) სომხეთის დემოგრაფიული და ჯანმრთელობის კვლევა 2015-2016 <https://dhsprogram.com/pubs/pdf/PR79/PR79.pdf> გვ. 41, მიმოხილულია 2017 წლის 28 აპრილს

47 ოქსფამი/APR ჯგუფი (2015) ანგარიში სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობის ნუტრიციული სტატუსის კვლევის შესახებ <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ. 21


48 ოქსფამი/APR ჯგუფი (2015) ანგარიში სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობის ნუტრიციული სტატუსის კვლევის შესახებ <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ. 22.

49 ოქსფამი/ACT (2016) კვების ეროვნული კვლევა საქართველოში, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>, გვ. 6

50 ინტერვიუ თამარ უგულავასთან, UNICEF, 2017 წლის 2 მარტი

51 ინფორმაცია არ გადამოწმებულა საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან

ცხრილი 18: კვების ნაკლებობის მქონე მოსახლეობის პროცენტი სომხეთსა, აზერბაიჯანში, საქართველოში და კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.<sup>52</sup>



სომხეთში, კვების ნაკლებობის მქონე მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა (5.8% 2014-2016 წლებში) ოდნავ შემცირდა წინა ორი წლის განმავლობაში, თუმცა ზოგადი პროგრესი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე შეუმჩნეველია. საქართველო ადრეულ ეტაპზე მსგავსი მდგომარეობით ხასიათდებოდა, 5%-ზე ოდნავ მაღალ ნიშნულამდე ჩამოსვლით, თუმცა საქართველოში ეს მაჩვენებელი 2011-2012 წლებში კვლავ 10%-ზე მაღლა ავიდა და მას შემდეგ მხოლოდ 7.4% -მდე ჩამოვიდა. საქართველოს მონაცემები დამაბინეველია, ვინაიდან, იმის ფონზე, რომ აქ კვების ნაკლებობის მქონე ბავშვების რაოდენობა სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის შედარებით მაღალია, ამაგდროულად წონაში ჩამორჩენის მქონე ბავშვების რაოდენობაც ყველაზე დაბალია. თუ აზერბაიჯანის სტატისტიკა სწორია, მაშინ კვების ნაკლებობის მქონე მოსახლეობის წილი იქ შემცირდა 5%-ზე დაბალ მაჩვენებლამდე (რის ქვევითაც FAO-ს მონაცემები დეტალურად აღარ ფიქსირდება) და ამ ნიშნულზე რჩება უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში. კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში 2000 წლიდან ამ სფეროში მკვეთრი ვარდნის ტენდენცია აღინიშნება.

სურსათის ხელმისაწვდომობის დისპალანსის გამზომი ინდიკატორების დათვლა მოსახლეობის სხვადასხვა ეკონომიკური სექტორებისათვის რთულია, თუმცა შეიძლება უფრო აქტუალურიც იყოს. UNICEF -ი აქვეყნებს წონაში ჩამორჩენის მქონე სუთ წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობას ყველაზე მდიდარ და ყველაზე ღარიბ 20% მოსახლეობას შორის (იმ ქვეყნებში, სადაც მონაცემები არსებობდა). საქართველოში ეს სტატისტიკა არ ქვეყნდება.<sup>53</sup> სომხეთისთვის ყველაზე ახალი, ხელმისაწვდომი მონაცემებიდან (2008-2012) ჩანს რომ ქვეყნის უღარიბეს კანტილენი ის 7.9%-ს შეადგენს, 5.3 ჯერ მეტი ვიღრე ყველაზე მდიდარ კვანტილში.<sup>54</sup> აზერბაიჯანში ყველაზე ღარიბ კვანტილში წონაში ჩამორჩენის მქონე ბავშვების რიცხვი 15%-ს შეადგენს, რაც 7.5-ჯერ მეტია ვიღრე მდიდარი მოსახლეობის მაჩვენებელი.<sup>55</sup>

მდგომარეობა განსხვავებულია ქალაქებსა და სოფელს შორისაც. საქართველოში სოფლად მცხოვრებ ხუთ წლამდე ბავშვებში წონაში ჩამორჩენის მაჩვენებელი 1.4%-ს შეადგენს, რაც 1.6-ჯერ მეტია ქალაქის მაჩვენებელთან შედარებით.<sup>56</sup> სომხეთში, სოფლებში ეს მაჩვენებელი 7.4%-ს შეადგენს, რაც ქალაქთან შედარებით 2.6-ჯერ

52 შენიშვნა: FAO-ს მონაცემები აზერბაიჯანისთვის არ მოიცავს სტატისტიკას 5%-ზე დაბლა და ციფრებს 2003-2005 წლებს შემდეგომ პერიოდისთვის, შემდეგ უბრალოდ გამოცხადებულია, რომ ამ კატეგორიაშია ასახული.

53 UNICEF, უთანასწორობა ოჯახების კეთილდღეობის მიხედვით, საქართველო [https://www.unicef.org/infobycountry/georgia\\_statistics.html](https://www.unicef.org/infobycountry/georgia_statistics.html), Reviewed 12 March 2017

54 UNICEF, უთანასწორობა ოჯახების კეთილდღეობის მიხედვით, სომხეთი [https://www.unicef.org/infobycountry/armenia\\_statistics.html](https://www.unicef.org/infobycountry/armenia_statistics.html), მიმოხილულია 2017 წლის 12 მარტს

55 UNICEF, უთანასწორობა ოჯახების კეთილდღეობის მიხედვით, აზერბაიჯანი [https://www.unicef.org/infobycountry/azerbaijan\\_statistics.html](https://www.unicef.org/infobycountry/azerbaijan_statistics.html), მიმოხილულია 2017 წლის 12 მარტს

56 UNICEF, უთანასწორობა ოჯახების კეთილდღეობის მიხედვით, საქართველო [https://www.unicef.org/infobycountry/georgia\\_statistics.html](https://www.unicef.org/infobycountry/georgia_statistics.html), მიმოხილულია 2017 წლის 12 მარტს

მეტია.<sup>57</sup> აზერბაიჯანში წონაში ჩამორჩენილი ხუთ წლამდე ბავშვების რაოდენობა შეადგენს 12%-ს, რაც 3-ჯერ მეტია ქალაქის მაჩვენებელთან შედარებით.<sup>58</sup> ეს ინდიკატორები იმაზე მეტყველებს, რომ აზერბაიჯანში ყველაზე დიდია უთანასწორობა სურათის მატერიალური ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, რაც სომხეთსა და საქართველოში აზერბაიჯანთან შედარებით ნაკლებია, მაგრამ მანც საგრძნობია.

მაშინ როდესაც წონაში ჩამორჩენის საშუალო მაჩვენებელი სომხეთსა და საქართველოში 5-დან 8%-მდეა,<sup>59</sup> ის უფრო მაღალია მაღალმთიან რეგიონებში. ოქსფამის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით („სასურსათო უსაფრთხოებასა და კვებასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში“) საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მოსახლეობის 9-13% იკვებება ცუდად, მაშინ როდესაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელი 7.4%-ია<sup>60</sup>. სომხეთში ჩატარებული კვების კვლევის მიხედვით, განსხვავება მთიან რეგიონსა და დაბლობს შორის ხელმისაწვდომობის კუთხით უფრო გამოკვეთილია არასეზონზე, ანუ ზამთარსა და გაზაფხულზე, როცა საკვები პროდუქტი შეზღუდული რაოდენობითაა<sup>61</sup>.

რაც შეეხება საკვებით გამოწვეულ დაავადებებს, მონაცემებზე თვალყურის დევნება ძალიან რთულია, მაგრამ არის რეალური მტკიცებულებები მისა, რომ საკვებით მოწამლვა რეგიონში ხშირია. საბაზისო კვლევაში ჩვენ ვწერდით, რომ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის 2009 წლის მონაცემების მიხედვით, 2006 წელს სომხეთის 100,000 სულ მოსახლეზე დაფიქსირდა სალმონელოზის ცხრა შემთხვევა, ხოლო აზერბაიჯანში 2005 წელს 100,000 სულ მოსახლეზე - ხუთი შემთხვევა.<sup>62</sup> მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, საქართველოში 2006 წელს 100,000 სულ მოსახლეზე დაფიქსირდა სალმონელოზის ხუთი შემთხვევა, თუმცა სხვა ანგარიშებში იწერებოდა, რომ სალმონელა არ არის ერთადერთი საკვებით ბაქტერიოლოგიური მოწამლვა, რომლითაც ადამიანები ავადდებიან. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოში ბოტულიზმის შემთხვევების რაოდენობა მსოფლიოში ყველაზე მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ არ ჩანდა თუ რომელ წელს გულისხმობდა ნაშრომის ავტორი, უდავოა, რომ საქართველოში ეს მაჩვენებლები ძალიან სწრაფად იზრდება, რადგან 2000 წლის დასაწყისთან შედარებით ეს რაოდენობა 300%-ით გაიზარდა.<sup>63</sup>

ერთი მხრივ, ეს გასაგებია, რადგანაც ბევრი ადამიანი საკუთარი წარმოების საკვებს მოიხმარს, რომელიც მაღალი ფიტო-სანიტარული ნორმების დაცვითი არ არის მომზადებული. თუმცა, საკვების ადგილობრივი მომზადება და სწრაფი ადგილობრივი მომზადება პრინციპში ამცირებს საკვებით მოწამლვის ყველაზე მძიმე ფორმებს, რაც შეიძლება წარმოიშვას ინდუსტრიული ფიტო-სანიტარული სტანდარტების დარღვევით.

ACT/ოქსფამის 2016 წლის კვლევამ დაადგინა, რომ ავადობის 25% შემთხვევაში ეჭვი საკვებით მოწამლვაზე იყო, საიდანაც სამედიცინო დიაგნოზით მხოლოდ 7% დადასტურდა.<sup>64</sup>

ინდუსტრიულად მომზადებული საკვებით მოწამლვა იშვიათია. სდეკუ-ს მიხედვით<sup>65</sup> მათ მასობრივი მოწამლვის სულ რამდენიმე შემთხვევა დაადგინეს. მაგალითად, შემთხვევა, როდესაც მარნეულში ქორწილში 200 სტუმრიდან 180 მოიწამლა.

<sup>57</sup> UNICEF, უთანასწორობა ოჯახების კეთილდღეობის მიხედვით, სომხეთი [https://www.unicef.org/infobycountry/armenia\\_statistics.html](https://www.unicef.org/infobycountry/armenia_statistics.html), მიმოხილულია 2017 წლის 12 მარტს

<sup>58</sup> UNICEF, უთანასწორობა ოჯახების კეთილდღეობის მიხედვით, აზერბაიჯანი [https://www.unicef.org/infobycountry/azerbaijan\\_statistics.html](https://www.unicef.org/infobycountry/azerbaijan_statistics.html), მიმოხილულია 2017 წლის 12 მარტს

<sup>59</sup> ოქსფამი/APR ჯგუფი (2015) ანგარიში სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობის კვების სტატუსის კვლევის შესახებ <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> da oqsfamli/ACT (2016) saqarTveloSi kvebis erovnuli kvleva, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

<sup>60</sup> ოქსფამი/RAPDI (2016) სასურსათო უსაფრთხოებასა და კვებასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოს მაღალმთიან რეგიონში. <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

<sup>61</sup> ოქსფამი/APR ჯგუფი (2015) ანგარიში სომხეთის რესპუბლიკის მოსახლეობის კვების სტატუსის კვლევის შესახებ <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

<sup>62</sup> მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (2009) 10 ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვა კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში. [http://www.euro.who.int/\\_data/assets/pdf\\_file/0015/43323/E92744.pdf](http://www.euro.who.int/_data/assets/pdf_file/0015/43323/E92744.pdf) მიმოხილულია 2017 წლის 12 მარტს

<sup>63</sup> ვარმა. ჯერ და სხვები. (2004) საკვებით გამოწვეული ბოტულიზმი საქართველოს რესპუბლიკაში. ინფექციური დაავადებები <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3320295/> მიმოხილულია 2017 წლის 12 მარტს

<sup>64</sup> ოქსფამი/ACT (2016) საქართველოში კვების ეროვნული კვლევა, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

<sup>65</sup> ინტერვიუ ლევან ბაიდოშვილთან, საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი, მიმოხილულია 2017 წლის 7 მარტს

უდავოა, რომ საბაზისო კვლევის ჩატარების შემდგომ პერიოდში, ევროკავშირთან ინტენსიური თანამშრომლობა ფიტო-სანიტარული სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით სიტუაციას გამოასწორებს და ამ ეტაპისათვის ევროკავშირი ითვალისწინებს რა ადგილობრივ პრობლემებს, სავარაუდოდ გააგრძელებს დახმარებას გარდამავალ პერიოდშიც, საინფორმაციო კამპანიების და ტრენინგების მეშვეობით ადგილობრივი სურსათის მწარმოებლებზე გავლენის მოხდენის მიზნით. ეს ზომები აგრეთვე ხელს შეუწყობს საკვებზე ფასების მოულოდნელი აწევის პრევენციას. თუმცა ქვეყნის განვითარების პროცესში ხარისხის გაუმჯობესება და ფასების ზრდა გარკვეულ მომენტში საკვებზე ფასების გაზრდას გამოიწვევს.

### 3.4 სურსათის სტაბილურობა

FAO -ს მიხედვით, სასურსათო უსაფრთხოების ბოლო ინდიკატორი სურსათის სტაბილურობაა. ის იზომება პირდაპირ და ირიბად.

**ცხრილი 19: სასურსათო სტაბილურობასთან დაკავშირებული FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები (კავკასია და ცენტრალური აზიის რეგიონი)<sup>66</sup>**

ინდიკატორი	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	განვითარებული ქვეყნები	რეგიონი
სურსათის შიდა ფასების ცვალებადობის ინდექსი <sup>3</sup>	11,9 (2014)	-	-	3,9 (2014)	-
სურსათის წარმოების ცვალებადობა ერთ სულ მოსახლეზე (\$, 2013) <sup>4</sup>	29,7	7,7	14,8	7,2	15,9
სურსათის მიწოდების ცვალებადობა ერთ სულ მოსახლეზე (კაპ/დღე, 2011) <sup>5</sup>	28	37	87	16	22

მხოლოდ ორი ინდიკატორი/სფერო, რომლისთვისაც ახალი დათვლები იქნა გაკეთებული არის სურსათის შიდა ფასის ცვალებადობა სომხეთში და განვითარებულ ქვეყნებში. მაშინ როდესაც სურსათის ცვალებადობის ინდექსი განვითარებულ ქვეყნებში დავარდა 4,8-დან 3,9-მდე 2013-დან 2014-მდე მონაკვეთში, სომხეთში ის გაიზარდა 10,6-დან 11,9-მდე, და სამჯერ უფრო მაღალი გახდა ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ამ მატების კავშირი სურსათის წარმოების და მიწოდების ცვალებადობასთან გარკვეული არ არის. სომხეთში სურსათის წარმოების ცვალებადობა ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით ორჯერ მაღალია საქართველოს მაჩვენებელთან შედარებით და ზოგადად კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონთან შედარებით, ხოლო მათი ცვალებადობის ინდექსი კი ორჯერ მეტია აზერბაიჯანთან და განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით. თუმცა სამივე ქვეყანაში სურსათის მიწოდების ცვალებადობის ინდექსი უფრო მაღალია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში და ზოგადად კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონში; აზერბაიჯანის ინდექსი ინდექსი არჯერ აღმატება განვითარებული ქვეყნების ინდექსს, საქართველოსი კი - უფროვერ.

წარმოების არასტაბილურობას უამრავი ფაქტორი იწვევს. ყველაზე აშკარაა ამინდის ცვალებადობა, რომელიც მნიშვნელოვნად მოქმედებს მოსავალზე. ეს რეგიონში ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვიანდან ატმოსფერული ნალექები ძირითადად ზამთარში თოვლის სახით მოდის და საჭირო ხდება წყლის მიწოდება მთის მდინარეებიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებამდე. რეგიონისათვის დამახასიათებელი სხვა პრობლემა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წარმოების ცვალებადობაზე ცხოველთა დაავადებებია. ამიტომაც ირიგაციისკენ და ცხოველთა ჯანდაცვისკენ მიმართული ძალისხმევა არა

<sup>66</sup> FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები [www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food\\_Security\\_Indicators.xlsx](http://www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food_Security_Indicators.xlsx) მიმოხილულია 2017 წლის 17 მარტს

მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმადობის გაუმჯობესებას იწვევს, არამედ მიწოდების სტაბილურობასაც უზრუნველყოფს. სწორედ ამ მიზეზით, საბაზისო კელევაში ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ ირიგაციის/დრენაჟის და ცხოველთა დაავადებების საკითხებზე. და შესაბამისად, ახლა აიდევ ერთხელ მივუბრუნდებით ამ თემებს.

### ირიგაცია/დრენაჟი

სასოფლო-სამეურნეო სისტემები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული წყლის რესურსებზე. წყლის ხელმისაწვდომობის კუთხით, ეს სამი ქვეყნა ძალიან განსხვავდება ერთმანეთისაგან.

#### ცხრილი 20: ატმოსფერული ნალექების შედარება<sup>67</sup>

ქვეყნა	ეროვნული ატმოსფერული ნალექების ინდექსი (მა/წწ. 2012 & 2014)
სომხეთი	562
აზერბაიჯანი	447
საქართველო	1 026

ცხრილიდან ჩანს, რომ სომხეთში საქართველოსთან შედარებით ატმოსფერული ნალექების რაოდენობა დაახლოებით ორჯერ ნაკლებია, ხოლო აზერბაიჯანში კიდევ უფრო ნაკლები. ამის გამო საქართველო შედარებით მდიდარია წყლის რესურსით და მსოფლიო ბანკის რეიტინგში დაახლოებით შუაშია მოქცეული, ხოლო სომხეთი და აზერბაიჯანი შედარებით მცირებულიანი ბარიან და ამ რეიტინგის ბოლო კვარტილში იმყოფებიან.

საქართველოში კულტივირებული მიწების მოცულობამ 2014 წელს 617,000 ჰექტარი შეადგინა, რაც 2012 წელთან შედარებით 92,000 ჰექტრით მეტია, მაგრამ მაინც მხოლოდ 60%-ია იმასთან შედარებით, რაც ათი წლის წინ იყო, ქვეყანაში კულტივირებული მიწების ფართობი მკვეთრად დაეცა ახალი ათასწლეულის დასაწყისში.<sup>68</sup> სომხეთში კულტივირებული მიწების ფართობი სტაბილურად უცვლელია უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში და შეადგენს 505,000 ჰექტარს,<sup>69</sup> ხოლო აზერბაიჯანში კულტივირებული მიწების ფართობი უმნიშვნელოდ გაიზარდა 2.13-დან 2.16-მდე მილიონ ჰექტარად, და აგრძელებს ნელი მაგრამ სტაბილური ზრდის ტენდენციას.<sup>70</sup>

სარწყავი მიწების პროცენტული წილი კულტივირებულ მიწებთან მიმართებაში სამივე ქვეყანაში მაღალია. FAO-ს უახლესი სტატისტიკის მიხედვით (2012-2014 წლები) საქართველოში 97%-ია, აზერბაიჯანში - 75%, ხოლო სომხეთში - 61%. კავკასიაში და ცენტრალური აზიის რეგიონში ჯამურად მხოლოდ 30% ირწყვება, განვითარებულ ქვეყნებში კი - მხოლოდ 11%. საქართველომ საირიგაციო დაფარვა მკვეთრად გაზიარდა ათასწლეულის დასაწყისში, როდესაც მისი სტატისტიკა გაიზარდა 60%-ზე დაბალი ნიშნულიდან 90%-ზე მეტ ნიშნულამდე. თუმცა, FAO-ს დეფინიციის მიხედვით, სახნავ-სათესი მიწა არის მიწა, სადაც დროებითი

67 მსოფლიო ბანკი, მონაცემთა ბანკი <http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=2&series=AG.LND.PRCP.MM&country=%#> მიმოხილულა 2017 წლის 22 მარტს

68 FAO, გეოგრაფის, კლიმატის და მოსახლეობის მონაცემთა ბაზა, საქართველო [http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries\\_regions/GEO/](http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries_regions/GEO/) მიმოხილულა 2017 წლის 22 მარტს

69 FAO, გეოგრაფის, კლიმატის და მოსახლეობის მონაცემთა ბაზა, საქართველო, სომხეთი [http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries\\_regions/ARM/](http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries_regions/ARM/), მიმოხილულა 2017 წლის 22 მარტს

70 FAO, გეოგრაფის, კლიმატის და მოსახლეობის მონაცემთა ბაზა, აზერბაიჯანი [http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries\\_regions/AZE/](http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries_regions/AZE/), მიმოხილულა 2017 წლის 22 მარტს

კულტურების კულტივაცია მიმდინარეობს.<sup>71</sup> ქვეყანაში აჩვენა, რომ სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა ამ პერიოდში საგრძნობლად შემცირდა,<sup>72</sup> ამიტომ, როგორც სტატისტიკიდან ჩანს, საირიგაციო დაფარვა კი არ გაიზარდა, არამედ ფერმერული საქმიანობა შეწყდა იმ მიწებზე, სადაც მიწები არ ირწყვებოდა.

მეტიც, ეს სტატისტიკა არ ასახავს იმ საირიგაციო სისტემების ეფექტურობას, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთადროინდელ ინფრასტრუქტურაზე იყო აგებული და, როგორც ცნობილია, საკმაოდ ცუდად ფუნქციონირებს. გაეროს საერთაშორისო ფონდი სასოფლო-სამეურნეო განვითარებისათვის (IFAD) თავის „სტრატეგიული შესაძლებლობების დოკუმენტში სომხეთისთვის“ (2003)<sup>73</sup> გვიხსნის, რომ „... ირიგაცია მეტვიდრეობით გადმოვიდა წინაგარდამავალ პერიოდში, და ხშირად არც მასშტაბით, არც ფასით და არც მომსახურების დონით არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს“. აზერბაიჯანისთვის მომზადებულ დოკუმენტში (2010)<sup>74</sup> კვითებულობთ, რომ „1995 -ში არხების მხოლოდ 3.6% იყო ბეტონის, ხოლო ირიგაციის ქმედითი კოეფიციენტი მხოლოდ 40-50% აღწევდა.“

სწორედ საირიგაციო სისტემების რეაბილიტაცია იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ დაფინანსებული დიდი ინვესტიციების სამიზნე. 2011 წლიდან დაწყებული მსოფლიო ბანკმა რეგიონში საირიგაციო პროექტებზე 228.5 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა.

### ცხრილი 21: 2011 წელს და შემდგომ პერიოდში მსოფლიო ბანკის მიერ დამტკიცებული პროექტები საირიგაციო და დრენაჟის სექტორში<sup>75</sup>

პროექტის დასახელება	თანხა (მილიონ დოლარში)	მიმდინარე სტატუსი	დამტკიცების თარიღი
სომხეთი			
სომხეთის განვითარების პოლიტიკის მეოთხე დაფინანსება	50.0	აქტიური	08.12.2016
EDB საირიგაციო პრ მომზადება	0.5	აქტიური	25.03.2014
საირიგაციო სისტემის გაძლიერების პროექტი	30.0	აქტიური	22.05.2013
IREP -თან დამატებითი დაფინანსება	18.0	დახურული	25.10.2011
აზერბაიჯანი			
წყლის მომხმარებელთა ასოციაციის განვითარების ხელშეწყობის პროექტი	80.0	აქტიური	26.04.2011
საქართველო			
ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტი	50.0	აქტიური	23.05.2014

71 „მიწა ერთწლიანი ნარგავების ქვეშ (ორჯერ დათესილი დათვლილია მხოლოდ ერთხელ), დროებითი მინდვრები თივის მოსამაშადებლად ან საძოვრად, მიწა ბაზრების და საოჯახო ბოსტენების ქვეშ და დროებით დასვენებული მიწები (ხუთ წელში ნაკლები პერიოდი). აქ არ შევიდა კულტივაციის შედეგად მიტოვებული მიწები. მონაცემები სახა-ვი მიწების შესახებ არ ასახავს პოტენციალურად კულტივირებადი მიწების მოცულობას.“ ([http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries\\_regions/GEO/](http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries_regions/GEO/))

72 FAO, გეოგრაფის, კლიმატის და მოსახლეობის მონაცემთა ბაზა, საქართველო [http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries\\_regions/GEO/](http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries_regions/GEO/) მიმოხილულია 2017 წლის 22 მარტს

73 საერთაშორისო ფონდი სასოფლო-სამეურნეო განვითარებისთვის (2003), ქვეყნის სტრატეგიული შესაძლებლობების დოკუმენტი, სომხეთის რესპუბლიკა <https://www.ifad.org/documents/10180/5a197b13-8fae-4770-8ea8-3b206330f36c> მიმოხილულია 2017 წლის 22 მარტს

74 საერთაშორისო ფონდი სასოფლო-სამეურნეო განვითარებისთვის (2003), ქვეყნის სტრატეგიული შესაძლებლობების დოკუმენტი, აზერბაიჯანის რესპუბლიკა <https://www.ifad.org/documents/10180/d0522075-1942-4d44-99c9-fe5844624972> მიმოხილულია 2017 წლის 22 მარტს

75 აზის განვითარების ბანკის (ADB), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) და მსოფლიო ბანკის (WB) ქვეყნების ვებგვერდებიდან. მიმოხილულია 2017 წლის 4 აპრილს

ამჟამად, საქართველოში ფუნქციონირებს 50 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტი, აზერბაიჯანში - 80 მილიონი დოლარის ღირებულებისა, ხოლო 2011 წლიდან სომხეთში დაფინანსდა დაახლოებით 100 მილიონი დოლარის ღირებულების პროექტები. სხვა მსხვილი მიმდინარე პროექტი ასევე მიზნად ისახავს რეგიონში საირიგაციო ინფრასტრუქტურის განვითარებას. მაგალითად: IFAD-ის ხელმძღვანელობით დონორთა კონსორციუმი ამჟამად აფინანსებს ინფრასტრუქტურისა და სოფლად დაფინანსებს ხელშეწყობის პროგრამას სომხეთში (\$52.8 მილიონი)<sup>76</sup> და სასოფლო-სამეურნეო მოდერნიზაციის, ბაზრის ხელმისაწვდომობისა და მედეგობის პროექტს საქართველოში (AMMAR) (\$30.8 მილიონი)<sup>77</sup>.

ყველა ეს ხარჯი შეიძლება დაკავშირებული იყოს პროდუქტიულობის გაზრდასთან, როგორც ეს ხაზგასმულია „არსებობის“ სეკციიში. რა თქმა უნდა რთულია უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული და სხვა სფეროებში განხორციელებული საქმიანობის ერთმანეთისაგან გამოვნება. მიუხედავად ამისა, ამ თემის მიმართ ყურადღებამ და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიულობის გაზრდამ სასურსათო სტაბილურობა უნდა გააუმჯობესოს.

რაც შეეხება ცხოველთა დაავადებების საკითხს, აქ მომხდარი ცვლილებების განხილვისას, ჩვენ ვიხელმძღვანელეთ ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული დაავადებათა ნუსხით და შევისწავლეთ საქართველოში დაავადებების პრევალენტობა.

**ცხრილი 22: სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში დაფიქსირებული ცხოველთა დაავადებები (2008-2013, 2014-2016)<sup>78</sup>**

ცხოველთა დაავადებები	აზერბაიჯანი		საქართველო		სომხეთი	
	2008-2013	2014-2016	2008-2013	2014-2016	2008-2013	2014-2016
ფუტკრის აკარაპისობი		X	X	X		X
ღორის აფრიკული გრიპი	X	X	X	X	X	X
ფუტკრის ამერიკული სიდამპლე	X	X	X			
ციმბირის წყლული	X	X	X	X	X	X
ფრინველთა ქლამიდიობი	X	X				
ღორის ანაპლაზმოზი	X	X		X		
ღორის ბაბეზიოსი	X	X		X		
ღორის ტუბერკულოზი	X	X		X	X	X
ბრუცელოზი (ბრუცელა აბორტუსი)	X	X	X	X	X	X
ბრუცელოზი (ბრუცელა მელიტენსისი)	X	X		X	X	X
ბრუცელოზი (ბრუცელა სვისი)		X		X	X	X
ეპინოკოკი (ერთკამერიანი ან მრავალკამერიანი)	X	X	X	X	X	
ენზოოტური აბორტი (ქლამიდიობი)	X	X				
ფუტკრის ევროპული სიდამპლე	X	X	X			X
შინაური ფრინველის ტიფი	X	X				X
ჰემორაგიული სეფლტიცემა	X	X			X	

76 სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი [https://operations.ifad.org/web/ifad/operations/country/project-tags/armenia/1690/project\\_overview](https://operations.ifad.org/web/ifad/operations/country/project-tags/armenia/1690/project_overview) მიმოხილულია 2017 წლის 24 მარტს

77 სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი [https://operations.ifad.org/web/ifad/operations/country/project-tags/georgia/1760/project\\_overview](https://operations.ifad.org/web/ifad/operations/country/project-tags/georgia/1760/project_overview) მიმოხილულია 2017 წლის 24 მარტს

78 ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, [https://www.oie.int/wahis\\_2/public/wahid.php/Countryinformation/Animalsituation](https://www.oie.int/wahis_2/public/wahid.php/Countryinformation/Animalsituation) მიმოხილულია 2017 წლის 27 თებერვალს

მიკოპლაზმა (მ. გალისეფტიკუმი)	X	X				
ნიუკასლის დაავადება (ფრინველის ფსეციფირის ვირუსი)	X	X		X		X
ცხვრის ეპიდიდიმიტი	X	X		X		X
პულოროზი	X	X				
ცოფი	X	X	X	X	X	X
ცხვრის ყვავილი და თხის ყვავილი	X	X		X		X
ტიელერიოზი	X	X	X	X		X
ფუტტრის ვაროოზი	X	X	X	X	X	X
სულ დაფიქსირებული დაავადებების რაოდენობა	22	24	10	16	10	15

გასული სამი წლის განმავლობაში აზერბაიჯანში დაფიქსირდა ორი ახალი დაავადება. საქართველოში დაფიქსირდა შვიდი ახალი დაავადება და ერთი ადრე გაცხადებული დაავადება გაქრა, ანუ სულ ექვსი დაავადება დაფიქსირდა. სომხეთმა განაცხადა შვიდი ახალი დაავადების შესახებ და ორი ადრე გაცხადებული დაავადებით ნაკლები, ანუ სულ ხუთი.

რთულია ამ ინფორმაციის ინტერპრეტირება თუ არ ვიცით ამ დაავადებების პრევალირების შესახებ შეტყობინებების შედარებითი ეფექტურობა. შესაძლებელია, რომ აზერბაიჯანი უფრო აკურატულად აგზავნის შეტყობინებებს. იგივე ითქმის გასულ წლებში დაავადებების მკვეთრი ზრდის ინტერპრეტირებაზეც: შეიძლება ეს მხოლოდ გაუმჯობესებული აღრიცხვისა და შეტყობინებების მყისიერი გამოგზავნის შედეგი იყოს. მაგრამ ფარული ტენდენციების გამორიცხვის ფონზე, გამოდის რომ სამივე ქვეყანას ცხოველთა დაავადებებთან პრობლემები აქვთ, ხოლო აზერბაიჯანში მდგომარეობა ყველაზე მძიმეა.

სანდო მონაცემების არსებობის გარეშე რთულია პრობლემის რაოდენობრივი განსაზღვრა. თუმცა, არის რამდენიმე მიზეზი რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ეს დაავადებები სასურსათო დაუცველობის მნიშვნელოვანი წყაროა. უპირველეს ყოვლისა, იყო დიდი ეპიდემიის შემთხვევები, რომელმაც ფერმის ცხოველები მთლიანად გაწყვიტა. ყველაზე ექსტრემალური მაგალითი უკანასკნელ წლებში იყო ღორის გრიპი, რომელმაც 2006-2008 წლებში სამივე ქვეყანას შეუტია. აზერბაიჯანში, სადაც მელორეობა პოპულარული არაა, დანაკარგები მინიმალური იყო. ხოლო სომხეთსა და საქართველოში შედეგები სავალალო აღმოჩნდა.

### ცხრილი 23: ღორის ხორცის წარმოება (ტონებში) 2005-2015<sup>79</sup>


	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
სომხეთი	9 400	14 100	13 300	7 500	7 200	7 900	9 400	9 500	12 600	16 200	17 500
საქართველო	33 340	31 100	21 400	11 400	8 200	12 800	11 600	11 800	14 900	15 500	16 900

თუ 2006 წელს საბაზისო წლად ავიღებთ, მაშინ გამოვა, რომ სომხეთში ღორის ხორცის წარმოება აღდგა და 2015-ში 24%-ითაც გაიზარდა, მაგრამ საქართველოში თითქმის არ აღორძინებულა და მიაღწია წარმოების აღრეული მოცულობების მხოლოდ ნახევრს. ამ განსხვავების მიზეზების დადგენა რთულია, თუმცა ზოგიერთ ანგარიშში წერენ, რომ სომხეთში მოხდა მელორეობის ინდუსტრიალიზაცია. საქართველოშიც იყო ამის

79 სომხეთის, სომხეთის რესპუბლიკის სურსათის ეროვნული ბალანსი, სურსათის კატეგორიების მიხედვით, ინდიკატორები და წლები. [http://armstatbank.am/pxweb/en/ArmStatBank/ArmStatBank\\_\\_7%20Food%20Security/FS-1-2015.px?rxid=002cc9e9-1bc8-4ae6-aaa3-40c0e377450a](http://armstatbank.am/pxweb/en/ArmStatBank/ArmStatBank__7%20Food%20Security/FS-1-2015.px?rxid=002cc9e9-1bc8-4ae6-aaa3-40c0e377450a) (მიმოხილულია 2017 წლის 31 იანვარი); საქართველო (2016), მესაქონლეობა. [http://www.geostat.ge/index.php?action=&p\\_id=428&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=&p_id=428&lang=eng) (მიმოხილულია 2017 წლის 30 იანვარს)

მცდელობა, მაგრამ წარუმატებლად დასრულდა.<sup>80</sup> ამან საკმაოდ პროგნოზირებადი გავლენა მოახდინა ფასებზე. მოყვანილია ყოველი წლის იანვრის ფასები, რომელიც შეიძლება ჩავთვალოთ როგორც წინა წლის ბოლოს ფასი და ამიტომ 2006 წლის ფასი შეიძლება ავიღოთ როგორც საბაზისო რიცხვი.

ცხრილი 24: ღორის ხორცის ფასები (აშშ დოლარი/ტონა)<sup>81</sup>



ეპიდემიის შემდეგ სომხეთში ფასები აღდგა და გაიზარდა; 2015-ში ფასები გაორმავდა კიდევაც 2006 წელთან შედარებით. ეს სიტუაცია საქართველოშიც მსგავსია, მაგრამ ოდნავ ნაკლები ზრდით. გარდა ამისა, ღორის ხორცის ფასები სომხეთში ოდნავ უფრო მერყევია ვიდრე საქართველოში.

გარდა ამისა, საქონლის ენდემური ბრუცელოზი ხშირად სახელდება როგორც რძის დაბალი წარმოების მიზეზი, ხოლო სხვა დაგვადებების მთელი სპექტრი ქმნის რეგიონალური მეცხოველეობის კონტექსტს და არა მხოლოდ პერიოდული ეპიდემიების მიზეზი ხდება, არამედ სერიოზულად ზრდის მცირე ზომის ფერმერთა დაუცველობის რისკს, ვინაიდან ცხოველთა დაცემის ალბათობა საგრძნობლად იზრდება..

### 3.5 დამოკიდებულება

ამ ანგარიშში ჩვენ უვავ აღვნიშნეთ, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა „სასურსათო წარმოების დამოუკიდებლობა“ და „სასურსათო უსაფრთხოებას“ აღიქვამს როგორც ერთსა და იგივეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების „ოთხი ელემენტის“ ნაწილი, მისი გათვალისწინება მანიც მნიშვნელოვანია, ვინაიდან სასურსათო დამოუკიდებლობა შეიძლება იყოს სასურსათო უსაფრთხოების განვითარების ფარგლენი რამდენიმე მიზეზის გამო. გარდა ამისა, სასურსათო დამოუკიდებლობა ხშირად სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა, ამიტომაც მიგვაჩნია საჭიროდ მისი განხილვა. სურსათის „არსებობაზე“ და სურსათის „სტაბილურობაზე“ პოტენციური გავლენის გამო, მსოფლიო ბანკი აგროვებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ მონაცემებს.

80 სოფლის მეურნების ინვესტორებთან საუბრის დროს მიღებული ინფორმაცია, 2014 წლის ივნისი.

81 სომსტატი (2010), სოციალური და ეკონომიკური სიტუაცია სომხეთის რესპუბლიკაში, 2010 წლის ინავარი, გვ.36. <http://www.armstat.am/en/?nid=81&id=1125> (მიმოხილულია 2017 წლის 1 თებერვალს); სომსტატი (2014), სოციალური და ეკონომიკური სიტუაცია სომხეთის რესპუბლიკაში, 2014, გვ.39. <http://www.armstat.am/en/?nid=81&id=1533> (მიმოხილულია 2017 წლის 1 თებერვალს); სომსტატი (2015), სოციალური და ეკონომიკური სიტუაცია სომხეთის რესპუბლიკაში, 2015 წლის იანვარი, გვ. 40. <http://www.armstat.am/en/?nid=80&id=1645> (mimoxilulia 2017 wlis 1 Tebervals); saqstati (2016), mesaqonleoba. [http://www.geostat.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://www.geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo) (მიმოხილულია 2017 წლის 1 თებერვალს)

**ცხრილი 25:** დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები (კავკასია და ცენტრალური აზიის რეგიონი) <sup>82</sup>

ინდიკატორი	სომხეთი	აზერბაიჯანი	საქართველო	განვითარებული ქვეყნები	რეგიონი
სურსათის იმპორტის ღირებულება მთლიან ექსპორტთან შედარებით (2011-2013)	41	3	37	6	6
მარცვლეულის იმპორტზე დამოკიდებულების ინდექსი (% , 2009-2011) <sup>6</sup>	56	38	69	-18	-3

FAO სასურსათო დამოკიდებულებას ორი ფორმით აფასებს. პირველი, აანალიზებს მთლიანად სურსათის იმპორტის დონეს სავაჭრო ექსპორტთან მიბართებაში. ეს შეფარდება მნიშვნელოვანია, ვინაიდან გვიჩვენებს, რამდენად შეძლებს ქვეყანა საშუალოვადიან პერიოდში საკუთარი იმპორტის დაფინანსების გაგრძელებას. ამიტომაც ეს ცვლადი ასახავს ეკონომიკის ზოგადად წარმატებულობას და ისე მთლიანად აგრეგირებულ სურსათის იმპორტს. თუ შეფარდება მაღალია, ეს იმას ნიშავს, რომ ნებისმიერი რამ, რაც უარყოფითად მოქმედებს ექსპორტზე ან იმპორტირებული სურსათის ფასს მაღლა სწევს, გამოიწვევს იმას, რომ ქვეყანა ელემნტარულად ვეღარ მოახდენს ჩვეული საქონლის იმპორტირებას.

სომხეთი და საქართველო გაცილებით უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი სურსათის ექსპორტზე, ვიდრე რეგიონის რომელიმე სხვა ქვეყანა ანდა განვითარებულ სამყარო. აზერბაიჯანის სურსათის იმპორტი არა მხოლოდ ბევრად დაბალია ვიდრე ექსპორტი, ამ ორ ქვეყანასთან შედარებით, არამედ, უფრო დაბალია ვიდრე რეგიონული და განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელი. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ მისი „კომერციული ექსპორტი“ მოცავს ნავთობსა და გაზს, და რა თქმა უნდა იქიდანაც, რომ აზერბაიჯანი ამ ორი საქონლის მსხვილი ექსპორტიორია. აქედან გამომდინარე „გრძელვადიანი უსაფრთხოება“ ქვემოთ იწება განხილული.

მარცვლეულის იმპორტზე დამოკიდებულება ყველაზე მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, რადგან მარცვლეული გლობალურად ძირითადი პროდუქტია უკანასკნელ წლებში საკმაოდ ცვლადი ფასებით. მარცვლეულის იმპორტზე დამოკიდებულების კოეფიციენტი, ანუ ადგილობრივად მოხმარებული მარცვლეულის იმპორტირებული წილი, გაცილებით უფრო მაღალია სამივე ქვეყანაში რეგიონთან და განვითარებულ სამყაროსთან შედარებით. უახლესი მონაცემების მიხედვით აზერბაიჯანს იმპორტით შემოაქს მარცვლეულის მესამედზე მეტი, სომხეთს ნახევარზე მეტი, ხოლო საქართველოს ორ მესამედზე მეტი, მაშინ როდესაც კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონი ზოგადად მარცვლეულის წმინდა ექსპორტიორია.

საინტერესოა ამ მაჩვენებლების დინამიკა უკანასკნელ წლებში:

**ცხრილი 26:** სურსათის იმპორტის მთლიან კომერციულ ექსპორტთან შეფარდების კოეფიციენტის ტენდენციები სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. <sup>83</sup>


ქვეყანა	2002 - 2004	2003 - 2005	2004 - 2006	2005 - 2007	2006 - 2008	2007 - 2009	2008 - 2010	2009 - 2011	2010 - 2012	2011 - 2013
სომხეთი	25	23	23	26	35	45	50	48	43	41
აზერბაიჯანი	10	9	8	9	3	3	3	3	3	3
საქართველო	56	54	55	54	55	54	49	44	41	37

82 FAO-ს სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორი [www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food\\_Security\\_Indicators.xls](http://www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food_Security_Indicators.xls) მიმოხილულია 2017 წლის 27 მარტს

83 FAO სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები [www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food\\_Security\\_Indicators.xls](http://www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food_Security_Indicators.xls) მიმოხილულია 2017 წლის 27 მარტს

ცხრილიდან ჩანს, რომ შვიდი წლის განმავლობაში სომხეთმა გააორმაგა სასურსათო იმპორტზე დამოკიდებულების კოეფიციენტი 2002-დან 2009-მდე, და მიუხედავად იმისა, რომ კოეფიციენტი შემცირდა შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში, მაინც 60%-ითაა გაზრდილი ათწლეულის განმავლობაში. საქართველოს დამოკიდებულება მეტნაკლებად ერთ ნიშნულზე იყო პირველი ექვსი წლის განმავლობაში, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა და პერიოდის დასაწყისში მისი ღირებულების ორ მესამეზე შეჩერდა. მიუხედავად იმისა, რომ ეს უახლესი ტენდენცია ორივე ქვეყნისთვის დადგებითი უნდა იყოს, გაეროს მიერ მომზადებული სურსათის იმპორტის და მთლიანი ექსპორტის მონაცემების<sup>84</sup> ანალიზი გვიჩვენებს, რომ განსაკუთრებით საქართველოს შემთხვევაში სურსათის იმპორტის ღირებულება და მთლიანი ექსპორტი გაცილებით მეტად მერყეობდა, ვიდრე ერთმანეთის მიმართებაში დათვლილი კოეფიციენტი.

ცხრილი 27: საქართველოს მთლიანი ექსპორტი და იმპორტი, 2002-2015<sup>85</sup>




ორივე შემთხვევაში, უკანასკნელ წლებში, როდესაც ექსპორტის ღირებულება დაეცა (2009 და 2015 წლებში) ამასთან ერთად დაეცა სურსათის იმპორტიც. ამიტომ, გამოდის რომ საქართველოს მიერ იმპორტირებული სურსათის მოხმარება პირდაპირ არის დამოკიდებული მის მიერ ექსპორტიდან მიღებულ შემოსავალზე.

მეორე მხრივ, აზერბაიჯანის ინდექსები ამ პერიოდის განმავლობაში, ასახავს ნავთობის ექსპორტის დინამიკას. ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი ასახავს ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულების კოეფიციენტს მისივე ნავთობის ექსპორტთან მიმართებით (ნაჩვენებია 3 წლის გასაშუალოებული ფორმით, ინდიკატორთან შედარების შესაძლებლობის მიზნით), რაც მიუთითებს იმაზე, რომ ამ ქვეყნის შემთხვევაში, რომლის ეკონომიკა მთლიანადაა დამოკიდებული მის ნავთობზე, ეს ინდიკატორი უბრალოდ უკუპროპორციულია მისი ექსპორტის ღირებულებასთან.

84 რომელიც FAO-ს ინდექსებისგან განსხვავებულია, მაგრამ იმავე ტენდენციას უჩვენებს.

85 გაეროს კონფერენცია „ვაჭრობა და განვითარება“ <http://unctadstat.unctad.org/wds/ReportFolders/reportFolders.aspx> 2017 წლის 27 მარტს

ცხრილი 28: აზერბაიჯანის იმპორტზე დამოკიდებულების კოეფიციენტი და მისი ნავთობის მთლიანი ექსპორტი, 2003-2012<sup>86</sup>



ეს იმას ნიშნავს, რომ რამდენიმე წლის წინ აზერბაიჯანს ჰქონდა საკუთარი იმპორტის დასაფინანსებელი რესურსი. თუმცა ეს შეიძლება უფრო რთული გახდეს მაშინ, როდესაც შემოსავლები ამ რესურსებიდან აღრე თუ გვიან ამოიწურება. უკანასკნელ წლებშიც კი ქვეყნის ნავთობის ექსპორტის ღირებულება კატასტროფულად დაეცა ნავთობზე მსოფლიო ფასებთან ერთად. 2015 წლის ექსპორტის ღირებულება იყო 2012 წლის მაჩვენებლზე ორნახევარჯერ ნაკლები<sup>87</sup> და მიუხედავად იმისა, რომ 2016 წლის მონაცემები არ გამოქვეყნებულა, სავარაუდო ეს მაჩვენებელი 2012 წლის ღირებულების მხოლოდ ერთი მესამედი იქნებოდა. ლოგიკური იქნება ის მოლოდინიც, რომ ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულების კოეფიციენტი შესაბამისად გაიზრდება.

ამ საკითხის სხვა პერსპექტივიდან დანახვის მიზნით, სამივე ქვეყანამ გამოაქვეყნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის კუთხით თვითკმარობის მაჩვენებლები. აქ ზოგადად ჩანს, თუ რა ზომით ფარავს ადგილობრივი წარმოება კონკრეტული წლის ადგილობრივი მოხმარების საჭიროებებს. აზერბაიჯანი აცხადებს, რომ ძირითადი სურსათის კუთხით მისი თვითკმარობის დონე საკმაოდ მაღალია. ძირითად კულტურებში, მაგ. კარტოფილში თვითკმარობის დონე 98%-ს შეადგენს, 100%-ზე მეტს ბოსტნეულში და 64%-ს მარცვლეულში.<sup>88</sup> ხორცში, მათი განცხადებით თვითკმარობა 92%-ს შეადგენს, 76%-ს რძესა და რძის ნაწარმში და 97%-ს კვერცხში.<sup>89</sup>

სომხეთშიც მსგავსი სურათია, თუმცა ყველაზე დიდი განსხვავება იმაშია, რომ მარცვლეულში თვითკმარობა უფრო დაბალია. ხორბალში თვითკმარობა გაიზარდა 2012 წლის (საბაზისო კვლევის ჩატარებიდან) 33%-იან მაჩვენებელთან შედარებით 2015 წლის 50%-მდე. ბოსტნეულში თვითკმარობა 100%-ს შეადგენს; რძე - 83%; კვერცხი თითქმის 100%. საქონლის ხორცში თვითკმარობა მაღალია - 92%, ღორის ხორცი - 58%, ხოლო შინაური ფრინველი - 22%.<sup>90</sup> საბაზისო კვლევის ჩატარების მომენტიდან ყველა ძირითადი პროდუქტის მიმართებაში სომხეთის თვითკმარობის კოეფიციენტი გაიზარდა.

86 FAO, სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები. [www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food\\_Security\\_Indicators.xlsx](http://www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food_Security_Indicators.xlsx) (შესწავლილია 2017 წლის მარტში); UNCTAD <http://unctadstat.unctad.org/wds/ReportFolders/reportFolders.aspx> (შესწავლილია 2017 წლის მარტში)


87 UNCTAD, <http://unctadstat.unctad.org/wds/ReportFolders/reportFolders.aspx>, მიმოხილულია 2017 წლის 27 მარტს

88 აზერბაიჯანი მთავრობა (2014), აზერბაიჯანი სასურსათო ბალანსები, ბაქო, გვ. 74

89 აზერბაიჯანი მთავრობა (2014), აზერბაიჯანი სასურსათო ბალანსები, ბაქო, გვ. 76

90 სომხეთის რესტურანტის სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2015). სურსათის არსებობა, [http://www.armstat.am/file/article/f\\_sec\\_4\\_2016\\_3.pdf](http://www.armstat.am/file/article/f_sec_4_2016_3.pdf) გვ. 74-75, მიმოხილულია 2017 წლის 27 აპრილს

ცხრილი 29: საქართველოში 11 ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე, 2006-2015



როგორც ჩანს, მიუხედავად იმისა რომ საქართველოში ზოგადად სურსათის იმპორტი ძალიან დიდია, განსაკუთრებით (მარცვლეული და გადამუშავებული პროდუქტი), მნიშვნელოვანი თვითკმარობა არის იმ სფეროებში, სადაც საქართველოს შედარებითი უპირატესობა აქვს, მაგალითად ხილი და ბოსტნეული. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ არის გარკვეული სიგრცე იმპორტის ჩანაცვლებისათვის, სიტუაცია არ არის ისეთი სავალალო, როგორც ეს ბევრს ჰგონია.

გარდა ამისა, არც ბოსტნეულში, არც ხორცში და მარცვლეულში, დამოკიდებულებასთან დაკავშირებული სიტუაცია მარტივი არ არის. დავიწყოთ ბოსტნეულის იმპორტით: მოსახლეობაში დომინირებს აზრი, რომ საქართველო ხილის და ბოსტნეულის მსხვილი იმპორტიორია. ეს არამც თუ არ შეესაბამება სიმართლეს (რაზე მეტყველებს მაღალი თვითკმარობის კოეფიციენტი), ბოსტნეულისა და ხილის იმპორტი ხდება მხოლოდ წლის გარკვეულ მონაკვეთში.


ისევე როგორც 2013-ში, 2016-შიც საქართველოში ყველაზე დიდი რაოდენობით იმპორტირებული შემდეგი ხუთი ბოსტნეული იყო: პომიდორი, ხახვი, ბადრიჯანი, კარტოფილი და ლობიო. ახალი მონაცემებით კარტოფილის მაგივრად იმპორტირებულმა პომიდორმა დაიკავა პირველი ადგილი. ხოლო კარტოფილის იმპორტი (ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძირითადი ბოსტნეული) შემცირდა ნახევარზე მეტით, და 2016 წელს იყო მხოლოდ მეოთხე ადგილზე იმპორტირებული ბოსტნეულის რიცხვში.

**ცხრილი 30: საქართველოს ძირითადი ბოსტნეულის იმპორტი  
(ათას აშშ დოლარში), 2013-2016<sup>91</sup>**

	2013	2014	2015	2016
პომიდორი	9 600	11 731	7 795	9 718
ხახვი	11 548	13 089	9 376	8 857
ბალრიჯანი	6 362	7 065	5 228	6 260
კარტოფილი	13 123	7 544	5 160	5 348
ხმელი ლობით	4 545	5 588	4 633	5 115

მეტიც, აქვე განვიხილავთ თუ როდის ხდება ამ საქონლის იმპორტი:

**ცხრილი 31: საქართველოს ძირითადი ახალი ბოსტნეულის იმპორტი თვეების მიხედვით, 2014-2016<sup>92</sup>**



ამ გრაფიკში კარგად ჩანს, რომ საქართველოში ახალი ბოსტნეულის იმპორტი ყველაზე მაღალია სეზონის დასაწყისში. ეს ახალი ბოსტნეული ძირითადად თურქეთიდანაა იმპორტირებული, გათბობის გარეშე სათბურებშია მოყვანილი და იაფი ლირს. ამ გრაფიკზე ასევე ჩანს, რომ ივლისიდან-ოქტომბრამდე, მოსავლის აღების პერიოდში, ბოსტნეულის იმპორტი თითქმის არ არის. ზამთარში, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოება თითქმის არ არსებობს, იმპორტის დონე შაინც ძალიან დაბალია, ვინაიდან ძირითადად სათბურებშია მოყვანილი და წლის ამ პერიოდში გაცილებით უფრო ძვირი ლირს. ამიტომ, ბოსტნეულში თვითეკმარობის ზრდის მიზნით ქვეყანაში უნდა აშენდეს მეტი სათბური, იმისათვის რომ ბოსტნეულის ადგილობრივი წარმოების სეზონი უფრო ხანგრძლივი გახდეს.

რაც შეეხება ხორცს, სიტუაცია აქაც კომპლექსურია. ცხვრის და თხის შემთხვევაში, თვითეკმარობის კოეფიციენტი 90%-ზე მაღალი იყო 2011 წლამდე. მაგრამ შემდეგ, საქართველომ დაიწყო დიდი რაოდენობით ცოცხალი ცხვრის ექსპორტი აზერბაიჯანში, ირანსა და შუა აზიაში და შესაბამისად თვითეკმარობის დონე 2015 წელს 76%-მდე შემცირდა. ეს ხაზს უსვამს იმს, რომ ექსპორტი ზედმეტვნით უნდა გაანალიზდეს და დაიგეგმოს, იმისათვის რომ საქართველომ მიაღწიოს მდგრადობას ცხვრის წარმოებასა და ექსპორტთან

91 საქსტატი (2016), საქართველოს იმპორტი საქონლის ჯაფუფების მიხედვით (HS 4 -ნიშნა დონეზე). [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=134&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=134&lang=eng) მიმოხილულია 2017 წლის 3 მარტს

92 საქსტატი (2016), საქართველოს იმპორტი საქონლის ჯაფუფების მიხედვით (HS 4 -ნიშნა დონეზე) [http://www.geostat.ge/index.php?action=page&p\\_id=134&lang=eng](http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=134&lang=eng) მიმოხილულია 2017 წლის 3 მარტს

მიმართებაში. საქონლის ხორცის თვითკმარობის კოეფიციენტი მერყეობდა: 2006 წლის 81%-დან შემცირდა 61%-მდე 2012 წელს, და შემდეგ სწრაფად გაიზარდა 77%-მდე 2015 წელს. ამ მზარდი ტენდენციის მიზეზია ცხოველების დაკვლასთან დაკავშირებული წესების გამკაცრება და სახელმწიფოსა და დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები, რომელიც მიმართული იყო ისეთ დაავადებებთან ბრძოლისკენ, როგორიცაა ბრუკოლოზი და თურქეთი.

ხორბალი ხშირად სახელდება როგორც სასურსათო უზრუნველყოფის ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტი (საქართველოში უფრო მეტად, ვიდრე სომხეთში).<sup>93</sup> მთავრობა და ექსპერტები შემფოთებული არიან იმით, რომ ხორბლის თვითკმარობის კოეფიციენტი მხოლოდ და მხოლოდ 8-12%-ს შედგენს. თუმცა, 2015-ში საქართვის კულტურულ მათალი ხორბლის თვითკმარობის ინდექსი იყო და 17%-ს მიაღწია.

ისმის კოთხვა, თვითკმარობას სურსათის არსებობას და სტაბილურობას რეალურად უზრუნველყოფს თუ არა? როგორც ჩვენ უკვე აღნიშნეთ, რეგიონის სამივე ქვეყანას წარმოების საკმაოდ მერყევი სტრუქტურა აქვს, განსაკუთრებით სომხეთს. მაგრამ ეს არ მიუთიერებს იმაზე, რომ უფრო მაღლი ადგილობრივი დამოკიდებულება აუცილებლად მოიტანს უსაფრთხოების უფრო მაღალ დონეს.

თვითკმარობის კოეფიციენტების ანალიზისას, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ვალუტის მიმოქცევაც. დაბალი თვითკმარობის კოეფიციენტები ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს, თუ ეკონომიკაში მაღალია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ფულადი გადმორიცხვები, როგორც ეს, მაგალითად, სომხეთში და საქართველოში ხდება.

### 3.6 გენდერი და სასურსათო უსაფრთხოება

საბაზისო კვლევაში ჩვენ აღვნიშნეთ გენდერის როლი სასურსათო უსაფრთხოებაში. ქვემოთ, ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუებისა და შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე, შევაჯამებთ სომხეთსა და საქართველოში გენდერთან დაკავშირებულ მდგომარეობას სასურსათო უსაფრთხოების საკითხებთან მიმართებაში.

გენდერის სრული ინტეგრირება (მეინსტრიმინგი) პოლიტიკაში და პროგრამებში არც სომხეთში და არც საქართველოში საყოველთა არაა და როგორც წესი გათვალისწინებულია მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამებში. სომხეთში საჯარო სექტორში მომუშავე ოფიციალურ პირებთან ინტერვიუების დროს გახდა ნათელი, რომ გენდერულ საკითხებს რესპონდენტები სკრინიზულად არ აღიძეს მდგრადი საქართველოში რესპონდენტები, როგორც წესი, ხაზს უსვამდნენ იმას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქალები თანაბრად ან მეტად არიან ჩართულნი ყოველდღიურ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, გადაწყვეტილებას, როგორც წესი, მამაკაცები იღებენ და სარგებლის დიდ ნაწილსაც თვითონვე ნახულობენ,<sup>94</sup> აგრეთვე ის, რომ ქალის როლი მხოლოდ ბავშვებზე ზრუნვის გამოა მნიშვნელოვანი (ბავშვების კვება სწორი საკვებით).<sup>95</sup>

ადრე ჩატარებულ კვლევაში ჯეოველმა გამოიქვა აზრი, რომ ეს სურათი ზედმეტად გამარტივებულია. საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სექტორში დამატებითი ლირებულების ჯაჭვში გენდერის როლის შესწავლისადმი ჩატარებულ კვლევაში აღმოვაჩინეთ ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ყოველთვის იყვნენ აღიარებული როგორც „ოჯახის უფროსები“, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ოჯახი, როგორც წესი, ერთად იღებს. მეტიც, ქალებს დიდი ძალაუფლება აქვთ და ოჯახის ფინანსებან დაკავშირებით ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს ისინი უფრო ხშირად იღებენ, ვიდრე მამაკაცები. ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ ქალების მარგინალიზაცია ხდება, როდესაც საკითხი ტექნიკურ ასპექტებს ეხება, მაგალითად, ვეტერინარია ან მანქანა-დანადგარები. ჩვენ ასევე აღმოვაჩინეთ ის, რომ ქალების ფუნქციონირების არეალი და პირადი განვითარების შესაძლებლობები იზღუდება სოციალური წილებით, რომელიც უზღუდას ქალს სოფლიდან მარტო გამგზავრებას, თუმცა სოფლის ფარგლებში ისინი საკმაო ძალაუფლებით სარგებლობენ.<sup>96</sup>

<sup>93</sup> ინტერვიუ მიხეილ ჯიბუტან, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, 2017 წლის 14 მარტი

94 ინტერვიუ ირაკლი ქასრაშვილთან, მერსი კორი, 2017 წლის 1 მარტი

95 ინტერვიუ დანი თაბუკაშვილთან, ელკანა, 2017 წლის 27 თებერვალი

96 ჯეოველი (2013) საქართველოში და სომხეთში ჩატარებული სასოფლო-სამეურნეო ღირებულების ჯაჭვის განვითარების როლის შეფასება, [http://www.geowel.org/index.php?article\\_id=84&clang=0#sthash.2qWBMrJG.dpuf](http://www.geowel.org/index.php?article_id=84&clang=0#sthash.2qWBMrJG.dpuf), მიმოხილულია 2017 წლის 10 მარტს.

სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების შექმნის პროცეგანდაზეა აქცენტირებული.<sup>97</sup> საქართველოში, კომპერატივებთან მიმართებაში, მდგომარეობა უკეთესია სომხეთთან შედარებით, ვინაიდან მთავრობამ დაიწყო კომპერატივების ხელშეწყობის ფართომასშტაბიანი პროგრამა. სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების განვითარების სააგნტოში უკვე რეგისტრირებულია 1500 მეტი სასოფლო-სამეურნეო კომპერატივი.<sup>98</sup> სომხეთში ასეთი ინიციატივები საკმაოდ მცირეა, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებულია კომპერატივების ხელშეწყობის საჭიროება. მაგალითად, როგორც სომხეთის მთავრობის ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა აღნიშნა, „ქალი-ფერმერები კომპერატივებში უკეთესად მუშაობენ. ოქსფამს ამასთან დაკავშირებით წარმატებული გამოცდილება აქვს“.<sup>99</sup>

სომხეთში, არასამთავრობო ორგანიზაცია პრომედია, ოქსფამის ხელშეწყობით, კონკრეტულად ქალებზე და სასურსათო უსაფრთხოებაში ქალების როლზე ამახვილებდა ყურადღებას. ორგანიზაციას აქვს ონლაინ სანფორმაციო პორტალი ქალებისთვის WomenNet.am, ასევე აქცეყნებენ გაზიეთის ჩანართს „ქალები და პოლიტიკა“. ოქსფამის დახმარებით, „პრომედია“ თავის პუბლიკაციებში ამატებს ინფორმაციას სასურსათო უსაფრთხოების შესახებ და განსაკუთრებულ ყურადღებას ქალთა როლზე ამახვილებს.

ასევე ჰყვებიან ისტორიებს ქალი-ფერმერების წარმატებების შესახებ. WomenNet ონლაინ პორტალის გარდა, იმავე პროექტის ფარგლებში, პრომედიას აქვს ფეისბუქ ჯგუფი „სასურსათო უსაფრთხოება ქალთა ხელშია“, რომელიც 123 წევრს აერთიანებს. პრომედიის ხელმძღვანელის მიხედვით, მათი სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მუშაობა შორს გამიზნულია. ისინი უზრნალისტებს უღვივებენ ინტერესს სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემების მიმართ. ამ არასამთავრობო ორგანიზაციაში მომუშავე უზრნალისტების უმრავლესობა ასევე სხვა მედია დაწესებულებებშიც მუშაობენ.<sup>100</sup> ოქსფამის მიერ დაარსებული სასოფლო-სამეურნეო აღიანვით აგრეთვე მუშაობს გენდერის საკითხების სასოფლო-სამეურნეო განვითარების სტრატეგიაში სრულ ინტეგრირებაზე (მეინსტრიმინგზე).

სომხეთმა მოახდინა გენდერთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტების უმეტესობის რატიფიცირება. ძირითადი ეროვნული დოკუმენტები ამ სფეროში მოიცავს სომხეთის მთავრობის მიერ 2010 წელს მიღებულ გენდერული პოლიტიკის კონცეფციას. 2011 წელს სომხეთის ყველა მარცერატანში (ადგილობრივი მთავრობა) შეიქმნა გენდერული საკითხების მუდმივმოქმედი კომიტეტები. 2013 წელს მთავრობამ მიიღო კანონი ქალებისა და მამაკაცებისთვის თანაბარი უფლებების და თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ. ეს ეროვნული ინსტრუმენტები მოითხოვს გენდერული საკითხების საკანონმდებლო ბაზაში სრულ ინტეგრირებას (მეინსტრიმინგს). სომხეთის მხრიდან გენდერული თანასწორობისათვის (დე ფაქტო) მზაობის საფუძველზე ოქსფამმა მოამზადა ქალების და მამაკაცების თანაბარ უფლებებთან და თანაბარ შესაძლებლობებთან დაკავშირებული შეფასების სახელმძღვანელო-მეთოდოლოგია.<sup>101</sup> სახელმძღვანელო ოფიციალურად დამტკიცა სოციალური და შრომის საქმეების სამინისტრომ. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია ასევე მოიცავს გენდერის მეინსტრიმინგის კომპონენტს.<sup>102</sup>

ქალთა კვებითი საჭიროებები ხაზგასმულია ოქსფამის კვლევაში „სამხრეთ კავკასიაში კვებითი მრავალფეროვნების გენდერის შედარებითი ანალიზი“. ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია მდგომარეობს იმაში, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ქალთა კვებით მრავალფეროვნებას, რადგან „ფეხმიმობამდე, ფეხმიმობის და ძუძუთი კვების დროს ნუტრიციტების არასაკმარისი მიღება გავლენას ახენს როგორც ქალის, ასევე მისი ბავშვების კვებით მდგომარეობასა და ჯანმრთელობაზე“<sup>103</sup>

97 ინტერვიუ ელენე რუსეცაიასთან, ქალთა სანფორმაციო ცენტრი, 2017 წლის 13 მარტი

98 სასოფლო-სამეურნეო კომპერატივების განვითარების სააგნტო, <http://acda.gov.ge/index.php/eng/static/118> მიმოხილულია 2017 წლის 26 აპრილს

99 ინტერვიუ პრაჩია ცენტრანთან, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამენტი, 2017 წლის 14 მარტი

100 ინტერვიუ თამარა პოვნატანიანთან, არასამთავრობო ორგანიზაცია ProMedia-Gender-ის ხელმძღვანელი, საგაზეთო ჩანართი „ქალი და პოლიტიკა“-ს და ვებგვერდი ჭომენიერებულის მთავარი რედაქტორი, 2017 წლის 20 მარტი

101 ოქსფამი (2015) ქალების და მამაკაცების თანაბარ უფლებებთან და თანაბარ შესაძლებლობებთან დაკავშირებული შეფასების სახელმძღვანელო-მეთოდოლოგია [http://foodsecuritysc.com/wp-content/uploads/2016/05/oqsfami\\_Manual\\_Evaluation-methodology\\_Eng\\_Final-1.pdf](http://foodsecuritysc.com/wp-content/uploads/2016/05/oqsfami_Manual_Evaluation-methodology_Eng_Final-1.pdf)

102 ინტერვიუ პრაჩია ცენტრანთან, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამენტი, 2017 წლის 14 მარტი

103 ოქსფამი (2016) გენდერის შედარებითი ანალიზი სამხრეთ კავკასიაში ნუტრიციული მრავალფეროვნების ჭრილში, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research> გვ 8

## 4 სრმხეთში და საქართველოში მთავრობის პოლიციალი სასურსათო ესაფრთხოების სფეროში

საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია ხაზგასმულია ეროვნული სასოფლო-სამეურნეო სტრატეგიის სექციაში. თუმცა არ მოიპოვება სხვა დოკუმენტი, რომელიც კონკრეტულად სასურსათო უსაფრთხოების საკითხებისკენაა მიმართული. საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების აღანსი (GAARD) ამზადებს სასურსათო უსაფრთხოების კანონის პროექტს, მაგრამ არა გარკვეული, თუ როდის ან რა ფორმით დაამტკიცებს მას პარლამენტი.<sup>104</sup> პრობლემის ნაწილი იმაში მდგომარეობს, რომ მთავრობა „სასურსათო უსაფრთხოებას“ „სურსათის წარმოებასთან“ აიგვებს და ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო განვითარების გეგმა ამავდროულად უსაფრთხოების დოკუმენტია, და მათი აზრით ცალკე კანონის მიღება საჭირო არ არის.<sup>105</sup>

სომხეთში, პირიქით, სასურსათო უსაფრთხოების ირგვლივ რამდენიმე სახელმწიფო დოკუმენტი არსებობს:

- სომხეთის სახელმწიფოს კანონი სასურსათო უზრუნველყოფის შესახებ - 2002 წლის 7 მაისი
- სომხეთის რესპუბლიკის სასურსათო უსაფრთხოების კონცეფცია- 2011 წლის 18 მაისი
- სოფლის მეურნეობის და სოფლად მდგრადი განვითარების სტრატეგია 2010-2020 წწ., მიღებული 2010 წლის 4 ნოემბერს.

2011 წლის ოქტომბერში მთავრობამ სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის საფუძველზე დაამტკიცა პირველი სამოქმედო გეგმა. 2016 წლის 1 დეკემბერს დამტკიცდა სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციაზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმა 2017-2020 წწ. სამოქმედო გეგმა მიმართულია სასურსათო უსაფრთხოების ოთხივე ელემენტისაკენ. სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი მთავარი განმახორციელებელი სოფლის მეურნეობის სამინისტროა. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების დეპარტამენტს აქვს სასურსათო უსაფრთხოების განყოფილება (ჩვენ ჩავატარეთ ინტერვიუ მის ხელმძღვანელთან). სოფლის მეურნეობის სამინისტროს ასევე აქვს სურსათის უვნებლობის განყოფილება და სასურსათო უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახური; ჩვენ ვესაუბრეთ ამ სამსახურების ხელმძღვანელებსაც.

კანონი და კონცეფცია ახსენა მხოლოდ მთავარმა განმახორციელებელმა - სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.<sup>106</sup> თითოეული სამინისტრო და დეპარტამენტი თავიათი საკითხებითა დაკავებული და განიცდიან კონრდიანციის ნაკლებობას. მეტიც, სამინისტროს საქმიანობის შესახებ ზოგადად ინფორმაციის ნაკლებობაც სახეზეა. ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო სააგენტოებსაც არ აქვთ სრულყოფილი სურათი შესაბამისი პოლიტიკის, პროგრამების და პროექტების ირგვლივ.

კოორდინაციის საკითხები საქართველოს ექსპერტებმაც გააშექს. მაგალითად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო ქვეყანაში ნერგავს სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო ფაქტობრივად ფლობს მიწების უმეტესობას, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებითი) აწარმოებს საკადასტრო ჩანაწერებს.<sup>107</sup> მიწის რეგისტრაციის რეფორმა საქართველოში ნელა ვითარდება, რაც ართულებს ერთიანი სურათის შექმნას და შესაბამისად ინვესტიციების მოზიდვას. რაც უფრო მნიშვნელოვანია, მიწის საკუთრების დოკუმენტი მცირე ფერმერებს მისცემდა საკუთარ მიწაში ინვესტიციის ჩადების შესაძლებლობას და გააუმჯობესებდა მათ კეთილდღეობას და სასურსათო უსაფრთხოებას.

ასევე, ნელა მიმდინარეობს მიწის რეფორმა სომხეთშიც. ფერმერობა კვლავ არამომებანია, ფერმერები თავიათი მიწებს არ ამჟამავრებენ და სეზონურ მიგრაციას მიმართავენ. „ჩვენ იმისათვის გვჭირდება მიწის რეფორმა, რომ ადამიანებმა, რომლებიც არ ამჟამავრებენ საკუთარ მიწას, მისი კანონიერად გაყიდვა მანც შეძლოს. ამგვარად, ჩვენ გვექნებოდა დიდი ფერმერები, რომელიც წარმოებაში ჩაერთვებოდა, ხოლო დანარჩენები მომსახურების სექტორში იმუშავებდნენ.“<sup>108</sup>

<sup>104</sup> ინტერვიუ ივერი ახალბედაშვილთან, საქართველოს პარლამენტი, სოფლის მეურნეობის კომიტეტი, აპარატის ხელმძღვანელი, 2017 წლის 7 მარტი

<sup>105</sup> ინტერვიუ ნოდარ კერესელიძესთან, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან, 2017 წლის 7 მარტი

<sup>106</sup> ინტერვიუ პრაჩია ცაპანეციანთან, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სასოფლო-სამეურნეო განვითარების პროგრამები, 2017 წლის 14 მარტი

<sup>107</sup> ინტერვიუ მიხეილ ჯიბიუტიან, საქართველოს ეკონომისტთა ასოციაცია, 2017 წლის 14 მარტი

<sup>108</sup> ინტერვიუ პრაჩია ბერებერიანთან, სომხეთის აგრარული კაციორი, 2017 წლის 10 მარტი

სომხეთის სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახური არის მთავარი სააგენტო, რომელიც სურსათის უვნებლობის მონიტორინგს ახორციელებს. სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლის ვაჟე დანელიანის მიხედვით „სურსათის ინსპექტირება მთელ მსოფლიოში განიხილება როგორც აუდიტორული ინსტრუმენტი, ხოლო სომხეთში მას სადამსჯელო მექანიზმად იყენებენ.“<sup>109</sup> მან აგრეთვე დაამატა, რომ „უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ინსპექციების რაოდენობა შემცირდა ფინანსური რესურსების ნაკლებობის გამო, რამაც არ მოგვცა დადგებითი შედეგების მიღწევის შესაძლებლობა. ფინანსური რესურსების არქონის გამო, ჩვენ ვერ შევძელით სათანადო მონიტორინგის უზრუნველყოფა.“<sup>110</sup> ეს ხაზს უსვამს დამატებითი საკონსულტაციო ფუნქციის დამატების საჭიროებას და არა მხოლოდ ბიზნესების ინსპექტირებას.<sup>111</sup> სამი ინტერვიუდან გამოჩნდა, რომ სახელმწიფო ინსპექციები არაეფექტურად მუშაობს, ხოლო მექრთამეობა და პროტექციონიზმი სააგენტოში ჩვეულებრივი მოვლენაა.

მსგავსი ერთეული საქართველოს სურსათის ეროვნულ სააგენტოშიც არსებობს. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ საქართველომ უნდა გაამკაროს სასურსათო უვნებლობის კონტროლი. თუმცა, დღესდღეობით ჩვენ ამას მხოლოდ რძის სექტორში ვხედავთ. სხვა სექტორებმა 2020 წლამდე უნდა უზრუნველყონ შესაბამისობა, თუმცა, ევრაზიის ფონდის წარმომადგენლის, ვახტანგ კობალაძის მიხედვით, სახელმწიფო უგულისყუროდ ეკიდება მცირე ფერმერების მიმართ ამ კონტროლის განხორციელების საკითხს.<sup>112</sup>

კიდევ ერთი უწყება, სომხეთსა და საქართველოში არის დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი. მათი ფუნქცია მდგომარეობს ჯანსაღი კვების ირგვლივ განათლების, ცნობიერების ამაღლებასა და პროპაგანდაში.<sup>113</sup> ამ ერთეულებმა საზოგადოებაში სასურსათო უსაფრთხოებისა და ჯანსაღი კვების ირგვლივ მეტი დისკუსია გამოიწვია, თუმცა მეტი უნდა ვაკეთდეს იმისათვის, რომ შეიცვალოს ადამიანების ჩვევები ჯანსაღი კვების მიმართულებით. „ერევანში ადამიანები უფრო მეტს ისმენენ ჯანსაღი კვების შესახებ, თუმცა რეალური ცვლილების მისაღწევად წლებია საჭირო. განსხვავებას მომავალი თაობები უფრო იგრძნობენ.“<sup>114</sup>

## 5 აჩასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობები სასურათო ესაფრთხოების სექტორი

საბაზისო კვლევის დროს მნიშვნელოვანი იყო სასურსათო უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების იდენტიფიცირება. ამ ანგარიშში ჩვენ მიმოვინილავთ სიტუაციის ცვლილებას საბაზისო კვლევის შემდგომ პერიოდში.

საბაზისო ანგარიშის შემთხვევაში, 2013-2014 წლებში ჩვენ ორივე ქვეყანაში არასამთავრობო ორგანიზაციების თითქმის იდენტური რაოდენობა გამოვკითხეთ: სომხეთში - 13 და საქართველოში - 17. ამ ანგარიშის ფარგლებში საველე სამუშაოების ჩატარება აზერბაიჯანში არ მოიაზრებოდა, ამიტომაც ინტერვიუების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საბაზისო კვლევის დროს.

საბაზისო ანგარიშის შემდეგ, საქართველოში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: საქართველოს ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის. ამ ახლო თანამშრომლობის ფარგლებში, ევროკავშირმა 102 მილიონი ევრო გამოუყო საქართველოს 2013-2019 წლებში სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების მიზნით. სწორედ ამის შედეგად დღეს რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაცია რეგიონში ახორციელებს მრავალფეროვან პროექტებს,

109 ინტერვიუ დანელიანთან, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახური, 2017 წლის 21 მარტი

110 ინტერვიუ დანელიანთან, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახური, 2017 წლის 21 მარტი

111 ინტერვიუ დანელიანთან, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახური, 2017 წლის 21 მარტი

112 ინტერვიუ ვახტანგ კობალაძესთან, ევრაზიის ფონდი, 2017 24 თებერვალი

113 ინტერვიუ რომელა აბოვანთან, დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ეროვნული ცენტრი, 2017 წლის 16 მარტი

114 ინტერვიუ რომელა აბოვანთან, დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ეროვნული ცენტრი, 2017 წლის 16 მარტი

ოქსფამის, ქეა-საერთაშორისო, მერსი ქორფსის, ადამიანი გაჭირვებაში, სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), HEKS EPER-ის, სოფლად განვითარება მომავალი საქართველოსთვის ასოციაციის (RDFG), საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ჩათვლით. გარდა ჩვენი ძირითადი პარტნიორებისა, პროექტი სხვადასხვა ფორმით სხვა ორგანიზაციებიცაა ჩართული. მაგალითად, ოქსფამი და ადამიანი გაჭირვებაში თანამშრომლობენ ელგანასთან, მათგან სასოფლო-სამეურნეო გამოცდილების გადმოღების მიზნით.

ENPARD-ის პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სასოფლო-სამეურნეო ბიზნესების ეფექტურობის ამაღლების ხელშეწყობა. ამისათვის მთავრობამ ცოტა ხნის წინ შექმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც გახდა ENPARD-ის პროექტების აქტიური პარტნიორი. მთავრობის ხედვა იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანა უნდა მოძრაობდეს სასოფლო-სამეურნეო ერთეულების გამსხვილებისაკენ, რადგან მცირე ნატურალური მეურნეობა არ არის საკმარისი ადევეატური წარმოებისათვის, მისი განვითარებისა და სასურსათო უსაფრთხოებისთვის.<sup>115</sup>

სპეციალურად სასურსათო უსაფრთხოებისთვის, ბრიჯი (ოქსფამის მიერ შექმნილი სამართალმემკვიდრე ორგანიზაცია საქართველოში), უზრუნველყოფს საქართველოს სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ალიანსის (GAARD) პლატფორმის კოორდინირებას. პლატფორმა შედგება სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების, ინდივიდუალური ექსპერტების და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებისაგან და სასურსათო უსაფრთხოების რეფორმის პროპაგანდას და ლობირებას ახორციელებს. ცოტა ხნის წინ მან მთავრობის ჩართულობით მოამზადა სასურსათო უსაფრთხოების ჩარჩო კანონპროექტი. თუმცა, გაურკვეველია, როდის მოხდება კანონპროექტის წარდგენა პარლამენტში, მითუმეტეს, რომ უმრავლესობის წარმომადგენლები ამ ეტაპზე ვერ ხედავენ ამ კანონის მიღების საჭიროებას.<sup>116</sup>

ზოგადად, სასურსათო უსაფრთხოების აღქმა გაცილებით გაუმჯობესებულია. თუ ადრე მხოლოდ რამდენიმე ორგანიზაცია იცნობდა ამ კონცეფციას, ახლა საქართველოში მთელი რიგი ორგანიზაციებისა კონკრეტულად სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობს. თუმცა, ბევრ არასამთავრობო ინიციატივა, რომ როგორც წესი, აქცენტი კეთდება წარმოების და მცირე ფერმერების ან კოოპერატივების გაძლიერებაზე, თუმცა UNICEF-ი და ევრაზიის ფონდი გამორჩეულები არიან იმით, რომ აქცენტს უზრო სასურსათო უსაფრთხოების მოხმარებაზე (უტილიზაციაზე) აკეთებენ. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სასურსათო უსაფრთხოებას ხშირად აღიქვამენ როგორც ქვეყნის უნარს აწარმოოს მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და ნაკლებად იყოს დამოკიდებული იმპორტზე. მხოლოდ რამდენიმე რესპონდენტმა, ძირითადად საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა, როგორიცაა მერსი ქორფსი, ადამიანი გაჭირვებაში, ქეა-საერთაშორისო, და რა თქმა უნდა FAO და WFP ფლობენ ამ კონცეფციის გაცილებით დეტალურ და ღრმა ცოდნას და აკავშირებენ მას ზოგადად უსაფრთხოების კონტექსტან.

სასურსათო უსაფრთხოება მრავლისმომცველი კონცეფციაა და მის სხვადასხვა ასპექტზე მრავალი ორგანიზაცია მუშაობს, რაც ართულებს ამ ყველაფრის დოკუმენტირებას. თუმცა, არის მთელი რიგი ორგანიზაციებისა, რომელიც სომხეთში მნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო პროექტებს ახორციელებს, როგორიცაა CARD, iCARE, SDA და სურსათის უვნებლობის მომხმარებელთა კავშირი. იქსფამის სასურსათო უსაფრთხოების პროექტის მიერ შექმნილი ორგანიზაცია OxyGen იქსფამის პროექტების გამოცდილებას აგრძელებს და განსაკუთრებულ უზრადდებას უთმობს ახალგაზრდების და გენდერის საკითხებს. სახელი "OxyGen" ფუძე იქსფამი-დან მოდის და გამოხატავს მის განზრახვას იმუშაოს ახალგაზრდების და გენდერის საკითხებზე.<sup>117</sup>

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები სომხეთსა და საქართველოში ყურადღებას ამახვილებენ ძირითადად წარმოების გაუმჯობესებაზე. მაგალითად, სტრატეგიული განვითარების სააგენტო სომხეთში რძის წარმოებას უწყობს ხელს. ისინი სასურსათო უსაფრთხოებას წარმოების უვნებლობის პერსპექტივის კუთხით განიხილავთ: საამქროები, ტექნილოგიები და თანამშრომლები უნდა იცავდნენ სანიტარულ სტანდარტების. აგრობიზნესის და სოფლად განვითარების ცენტრი (CARD)

115 ინტერვიუ ნოდარ კერესელიძესთან, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, 2017 წლის 6 მარტი

116 ინტერვიუ ივერი ახალგებდაშვილთან, საქართველოს პარლამენტი, სოფლის მეურნეობის კომიტეტი, აპარატის ხელმძღვანელი, 2017 წლის 7 მარტი

117 OxyGen-is veb-gverdi <http://oxygen.org.am/index.php/en/what-we-do> მიმოხილულია 2017 წლის 27 აპრილს

ძლიერი ორგანიზაციაა, რომელიც თავდაპირველად 2005 წელს USDA-ს მარკეტინგის ხელშეწყობის პროგრამის (USDA-MAP) დახმარებით შეიქმნა. CARD-ის მისია ფერმერების და აგრობიზნესების წარმოების ხელშეწყობისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქტების მარკეტინგში მდგომარეობს შემოსავლების გაზრდის და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, რაც საბოლოო ჯამში, სოფლის მოსახლეობისთვის შემოსავლის წყაროს შექმნის და ამგვარად სიღარიბეს შეამცირებს.

საქართველოში, BRIDGE-თან ერთად, სასურსათო უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობს ორგანიზაცია ელკანა, რომელიც თითქმის მთელი ქვეყნის მასშტაბით არის წარმოდგენილი და სოფლის მეურნეობის და აგრო-ტურიზმის სფეროში ბევრ სხვადასხვა პროექტს ახორციელებს. ელკანა ოქსფამის მიერ დაფინანსებული სასურსათო უსაფრთხოების პროექტის პარტნიორი ირგანიზაციაცაა.

სომხეთსა და საქართველოში ფერმერთა ასოციაციები საკმაოდ ძლიერია და ადგილობრივ წარმოებას უწყობს ხელს. სომხეთის აგრარულ კავშირში 1200 მსხვილი ფერმერია გაწევრიანებული. კავშირი ასევე ეხმარება მცირე და საშუალო ფერმერებსაც (თუმცა ისინი ამ კავშირის წევრებია არ არიან). სულ კავშირი ეხმარება 27 000 ფერმერს. რესპუბლიკაში კავშირი კარტფილის 60%-ს აწარმოებს. 118 საქართველოში ფერმერთა ასოციაცია შედარებით ახალი შექმნილა. ის ქოლგა-ორგანიზაციაა და აერთიანებს კარტფილის მწარმოებლებს, მეღვინეთა ასოციაციას, რძის და რძის ნაწარმის მწარმოებელთა ასოციაციას და მეცხოველეობის ასოციაციას. საქართველოს ფერმერთა ასოციაცია მჭიდროდ თანამშრომლობს ევროკავშირის და USAID-ის პროექტებთან და ეხმარება ადგილობრივ ფერმერებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და ინფორმაციის მიღებაში.

კვლევის კუთხით, სომხეთში და საქართველოში არსებობს რამდენიმე ირგანიზაცია, რომელიც მუშაობს სასურსათო უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტზე, თუმცა, კონკრეტულ სფეროებში ექცერტები ცოტანი არიან და ისინი ძირითადად ამ ორგანიზაციებში არიან კონტრაქტით დასაქმებულნი. სომხეთში APR ჯგუფმა გამოაქვეყნა ეროვნული კვების პლეიები. კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრის სომხეთის ფილიალი ზოგჯერ ატარებს ეროვნულ გამოკითხვებს სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე. საქართველოში ჯეოველმა სასოფლო-სამეურნეო თემაზე რამდენიმე ანგარიში მოამზადა. ISET-ის აგრარული დეპარტამენტი უშუალოდ სოფლის მეურნეობის საკითხებზე მუშაობს. საზოგადოებრივი აზრის კვლევითმა კომპანიამ ACT-მ თავის წვლილი შეიტანა კვების კვლევაში და რაოდენობრივი კვლევის კომპონენტი შეასრულა. რაოდენობრივი კვლევების საქმეში, ჩლოჩ საქართველომაც დიდი წვლილი შეიტანა. ოქსფამაც ითანამშრომლა სოფლისა და პოლიტიკის განვითარების ინსტიტუტთან, სადაც სოფლის მეურნეობის გამოცდილი ექცერტები მუშაობენ.

## 6 მეზონა

სომხეთში და საქართველოში მედია ზოგადად ნაკლებად სანდო ინსტიტუციად არის მიჩნეული. კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი (CRRC) ატარებს ყოველწლიურ გამოკითხვას და იკვლევს რესპონდენტების მხრიდან მედიის და სხვა სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუციების მიმართ ნდობის ხარისხს.

### ცხრილი 32: სომხეთსა და საქართველოში მედიის მიმართ ნდობის ხარისხი. 2011, 2013, და 2015 წლები<sup>119</sup>

გრაფიკიდან ჩანს, რომ 2011 წლიდან მედიის მიმართ ნდობა ზოგადად შემცირდა და ორივე ქვეყანაში დაახლოებით ერთ დონეზეა, თუმცა სომხეთში მედიას ნაკლებად ენდობიან ვიდრე საქართველოში, სადაც ადამიანების უმრავლესობა ან ნეიტრალურ პოზიციაზეა („არც ვენდობი და არც არ ვენდობი“) ან უარს ამბობს პასუხში.

ორივე ქვეყანაში გხედავთ, რომ მედია ლანდშაფტი იცვლება და ხალხის სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა მიმართავს ინტერნეტს და სოციალურ ქსელებს. ამას მნიშვნელოვანი უფექტი აქვს სოფლის მეურნეობისა და სასურათო უსაფრთხოების სფეროში. საქართველოში, მაგალითად, ახალი პლატფორმა „ტრაქტორი“ ვიდეო გაცვეთილებს ამზადებს სოფლად მცხოვრები მცირე უერმერებისათვის. გარდა ამისა, ისინი ისეთ დამატებით მომსახურებასაც სთავაზობენ ფერმერებს, როგორიცაა სოფლის ამინდის პროგნოზი, კონსულტაციები, და სასოფლო-სამეურნეო რესურსების ონლაინ მაღაზია. საქმიანობის გაფართოვებამდე მათ ჩაატარეს ფოკუს-ჯგუფები ფერმერებთან და დაადგინეს, თუ რა ფორმით სურდათ მათ ინფორმაციის მიღება. ფერმერების უმეტესობამ აღნიშნა, რომ ისინი ფლობდნენ სმარტფონებს.<sup>120</sup> უფრო მეტიც, CRRC-ის კავკასიის ბარომეტრის მიხედვით, სომხეთში მოსახლეობის 94%-ს, ხოლო საქართველოში 85%-ს ხელი მიუწვდება ინტერნეტზე. (2013 წლის მონაცემები).<sup>121</sup> ეს ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ სასურათო უსაფრთხოების დღის წესრიგის წინა პლანზე წამოსაწევად ტრადიციული მედიის მონაწილეობა საკმარისი არ არის.

სომხეთსა და საქართველოში ძალიან ცოტა პროგრამა მუშაობს კონკრეტულად სასურათო უსაფრთხოების საკითხებზე, თუმცა ოდნავ მეტია დაინტერესება კვების თემით, რადგან იქ საუბრობენ საკვების ყოველდღიურ მოხმარებაზე და ასეთი პროგრამების მიმართ ინტერესი უფრო მაღალია.

ყველა ძირითადი მედია წყარო, როგორიცაა ტელევიზია, რადიო, ბეჭდური მედია და ონლაინ მედია, სასურათო უსაფრთხოების საკითხებს ნაწილობრივ მაინც მოიცავს, მაგრამ კონკრეტულად ამ თემისადმი მიძღვნილი პროგრამები ან ბლოკები მაინც ცოტაა. პერიოდულად დილის თოქშოუებში საუბრობენ თემებზე რომელსაც შეიძლება მიენიჭოს სასურათო უსაფრთხოების კატეგორია, მაგალითად: სასოფლო-სამეურნეო ახალი ამბები, სურსათის უვნებლობა, და სოფლის მეურნეობის ეკონომიკა. სოფლის მეურნეობის პროპაგანდის მიზნით ხშირად შუქდება ფერმერთა წარმატები. აღსანიშნავია, რომ ეს ისტორიები ხშირად მოგვითხრობს წარმატებული მეწარმე ქალების შესახებ.

სომხეთში არსებობს სასურათო უსაფრთხოებისადმი მიძღვნილი რამდენიმე პროგრამა. სხვა მთავარ არხებს შორის, Ketron TV-ს აქვს როი პროგრამა ჯანმრთელობაზე, რომელიც ზოგჯერ კვების საკითხებსაც განიხილავს. Shant TV-საც აქვს პროგრამა ჯანმრთელობაზე, რომელიც ასევე ზოგჯერ კვების საკითხებს ეძღვნება ხოლმე. საზოგადოებრივ მაუწყებელს აქვს მზარეულების შოუ. გარდა ამისა, საზოგადოებრივ ტელევიზიას აქვს პროგრამა სახელწოდებით „პირველი ეკონომიკური“, 5-10 წუთიანი ყოველდღიური პროგრამა, რომელიც ეძღვნება ეკონომიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, სურსათის წარმოების ჩათვლით. ქვემოთ ჩამოთვლილია სომხეთში სასურათო უსაფრთხოების თემებზე ორიენტირებული

<sup>119</sup> კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი, კავკასიის ბარომეტრი 2011, 2013 და 2015. ხელმისაწვდომია ონლაინ <http://caucasusbarometer.org/en/cb2015/TRUMEDI/> მიმოხილულია 2017 წლის 4 მაისს

<sup>120</sup> ინტერვიუ ნინო კეშელავასთან, 2017 წლის 8 მაისი

<sup>121</sup> კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრი, კავკასიის ბარომეტრი 2011, 2013 და 2015. ხელმისაწვდომია ონლაინ <http://caucasusbarometer.org/en/cb-am/WEBHOME/> მიმოხილულია 2017 წლის 4 მაისს

სომხეთში სოფლის მეურნეობის/სასურსათო უსაფრთხოების თემებზე ორიენტირებული სატელევიზიო და რადიო პროგრამების ჩამონათვალი

#	არხი	პროგრამის სახელშოდება	დღე	გადაცემის დრო	დაფარვა	აქცენტი
1	სომხეთის პირველი საზოგადოებრივი მაუწყებელი ტელეკომპანია	ადრიტამი	შაბათი	9:30	ეროვნული	სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების ინციდენტულია სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ
2		გემოვნების ხარისხი	შაბათი	12:30AM	ეროვნული	სურსათის უვნებლობა. პროგრამა გადის სრ-ს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახურთან თანამშრომლობით
3		პირველი ეკონომიკური	შაბათ- კვირა	7:30 PM	ეროვნული	ეკონომიკა, წარმოების ჩათვლით
4	შანთ ტვ	მედ ინფო	ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი პარასკევი შაბათი	6:15 PM, 1:20AM, 3:15PM	ეროვნული	ჯამშრთელობა, სასურსათო საკითხების ნაწილობრივი დაფარვით
5	კენტრონ ტვ	სანატორიუმი	პარასკევი		ეროვნული	ჯამშრთელობა, სასურსათო საკითხების ნაწილობრივი დაფარვით
6		დავით ექიმი	პვირა ოთხშაბათი		ეროვნული	ჯამშრთელობა, სასურსათო საკითხების ნაწილობრივი დაფარვით

არასამთავრო ირგანიზაცია „პრომედია“, ოქსფამის დახმარებით, კონკრეტულად სასურსათო უსაფრთხოების საკითხებს და ქალთა ჩართულობას ონლაინ პუბლიკაციებს უძღვნის.<sup>122</sup> თუმცა, როგორც ირგანიზაციის დირექტორმა გვითხრა, დაფინანსების ამოწურვის შემდეგ, ეს თემა აღარ იქნება ორგანიზაციის პრიორიტეტი. ოქსფამთან იმავე თანამშრომლობის ფარგლებში, „პრომედია“-ში შექმნა ფეისბუქ ჯგუფი სახელწიდებით „სასურსათო უსაფრთხოება ქალთა ხელში“ ფეისბუქში სასურსათო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სხვა ინიციატივებიცაა. მაგრამ ჯგუფი „უვნებელი საკვები - ჯანმრთელი თაობა“, რომელსაც მართავს არასამთავრობო ირგანიზაცია „განათლებისთვის და მეცნიერებისთვის“, რომელიც შეიქმნა 2017 წელს და უკვე ჰყავს 364 წევრი, „ბაგშვთა კვება/რეცეპტები“ 9,398 წევრით, სადაც წევრები ბავშვთა ჯანსაღი კვების რეცეპტებს უზიარებენ ერთმანეთს, და „ბაგშვთა კვება“ 3000-მდე წევრით.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელსაც აქვს რამდენიმე ასეთი პროგრამა, თავის პირელ სატელევიზიო არხზეც და აგრეთვე რადიოშიც. თბილისში ასევე ფუნქციონირებს ტვ1-ი, სადაც ყოველდღიურ პროგრამაში, ყოველ სამშაბათს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარეს, ნინო ზამბახიძეს

მიჰყავს გადაცემა. რეგიონული ტელევიზია „აჭარა ტვ“ ეროვნული მასშტაბით მაუწყებლობს და ამ თემას ორ პროგრამას უძლვნის. ერთი პროგრამა გადის თვეში ორჯერ, და მეორე პროგრამა კი თვეში ერთხელ. არსებობს მცირე ზომის რეგიონული სატელევიზიო არხებიც, რომელიც თავიანთ რეგიონში მაუწყებლობს. ერთ-ერთი ასეთი არხია - ტვ 9, რომელიც ახალციხეში ფუნქციონირებს და მისი მაუწყებლობა შემოისაზღვრება სამცხე-ჯავახეთის რეგიონით. ქვემოთ მოყვანილია სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროგრამების ჩამონათვალი:

**საქართველოში სოფლის მეურნეობის/სასურსათო უსაფრთხოების თემაზე არსებული სატელევიზიო და რადიოპროგრამების ჩამონათვალი:**

#	არხი	პროგრამის სახელწოდება	დღე	ეთერში გასვლის დრო	დაფარვა	ფოკუსი
1	საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი - (სსმ) 1 ტვ	ფერმა	პვირა	12:45	ეროვნული	სოფლის მეურნეობის პროპაგანდა
2	(სსმ) - რადიო 1	ფერმერის საათი	პვირა	15:00	ეროვნული	სოფლის მეურნეობის პროპაგანდა
3		დილა სოფელში	პვირა	9:10	ეროვნული	სოფლის მეურნეობის და სოფლად ცხოვრების პროპაგანდა
4		ეკო-მეტრი	ოთხშაბათი	16:10	ეროვნული	სასურსათო უსაფრთხოება
5	ტვ 1	ბიზნეს დილა	სამშაბათი	9:15	ეროვნული	სასოფლო- სამეურნეო ახალი ამბები
6	ახალციხე ტვ 9 არხი	ფერმერის საათი	ოთხშაბათი	20:30	სამცხე	სასოფლო- სამეურნეო სიახლეები რეგიონზე აქცენტით
7		ფარმა რჩევები	ორშაბათი, ოთხშაბათი		სამცხე	მოკლე სიახლეები სურსათის უგნებლობის შესახებ
8	აჭარა ტვ	ერთი დღე სოფელში	შაბათი	21:20	ეროვნული	სოფლად ცხოვრების და სოფლის მეურნეობის პროპაგანდა
9		ფერმერი ვარ	სამშაბათი	14:30	ეროვნული	სოფლის მეურნეობის პროპაგანდა
10		აგრო რჩევა	თვეში ერთხელ		ეროვნული	სოფლის მეურნეობის პროპაგანდა
11		აგრო ბიზნესი	ყოველ მეორე ხუთშაბათს	21:40	ეროვნული	სოფლის მეურნეობის პროპაგანდა

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ვებ-გვერდზე არსებობს პროგრამების არქივი, სადაც მაყურებელს შეუძლია მოიძიოს ძველი შოუების და პროგრამების აუდიოჩანაწერები. აჭარა ტვ ასევე უზრუნველყოფს თავიანთი პროგრამების და შოუების ვიდეო და აუდიო ჩანაწერების ხელმისაწვდომობას თავიანთ ვებ-გვერდზე. სასურსათო ფასების ცვალებადობა, სურსათის ბაზრების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და ქვეყნის დამოკიდებულება სურსათის იმპორტზე საუბრების ხშირი თემა ბევრ მედია წყაროში. სხვადასხვა კვლევითი ორგანიზაციები სთავაზობენ ბლოგ-პოსტებს, ბეჭდვით მასალას და პერიოდულ სტატიებსაც სურსათის ფასების შესახებ.

სასურსათო უსაფრთხოების სხვადასხვა ასპექტები ამჟამად ახალ ამბებშიც შუქდება, ეპიდემის აფეთქების (საკვებით მოწამლვა) ან ბუნებრივი კატაკლიზმების დროს, რომელიც მოსავალზე ახდენს გავლენას.

სომხეთსა და საქართველოში ეფექტური საკომუნიკაციო და ადვოკატირების კამპანიის ჩასატარებლად ოქსფამმა დაიქირავა კომპანია „ექშინ გლობალ ქომუნიქეიში“ (Action Global Communication). კამპანია მოიცავდა კონკრეტული მონაცემი ხშირად მეორდებოდა არა მხოლოდ სოციალური მედიის ქსელებში, არამედ ზოგადად მედიაში. მაგალითად, ეროვნული კვების კვლევის მონაცემები, იმის შესახებ თუ რამდენი ადამიანი ყიდულობს სურსათს ნისად, არაერთხელ გაუღერდა ახალ ამბებში და ანალიტიკურ პროგრამებში. გარდა ამისა, ოქსფამის წარმომადგენლებს იწვევდნენ ხოლმე სხვადასხვა თოქშოუში სასურსათო უსაფრთხოებისა და კვების ირგვლივ საკითხებზე სასაუბროდ. მაგალითად, ლევან დადიანი, ოქსფამის სოფლის მეურნეობის და სასურსათო უსაფრთხოების პოლიტიკის პროგრამების მენეჯერი საქართველოში, მიიწვიეს რუსთავი 2-ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ბიზნეს თოქშოუში, სადაც მან სასურსათო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციებიც შემოგვთავაზა.<sup>123</sup> სომხეთში ოქსფამმა იმუშავა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო სამსახურთან (სუსს), რომელმაც სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული საკითხები ძირითად მედია საშუალებებსა, და ასევე სოციალურ მედია ქსელებში წინა პლანზე წამოსწია. პროგრამა „გემოვნების ხარისხი“ ეთერში გადის სუსს-თან თანამშრომლობით, და სასურსათო უსაფრთხოებასა და კვების საკითხების პროპაგანდისთვის ეფექტურ პლატფორმას წარმოადგენს.

ამგვარად, სამი წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით, როდესაც ოქსფამის პროექტი დაიწყო, დაინტერესება სოფლის მეურნეობის მიმართ გაიზარდა. ამაში წვლილი რამდენიმე ფაქტორმა შეიტანა. პირველი, როგორც საქართველო, ასევე სომხეთიც განვითარდა სავაჭრო რეგულაციების განხორციელების კუთხით, ევროკავშირთან და საბაზო კავშირთან შესაბამისად. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში აუცილებელი ცვლილებების საჭიროების გააზრების მიმართულებით მეტი მოთხოვნა გაჩნდა. ჯერ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტულად სასოფლო-სამურნეო საკითხებზე ორიენტირებული ახალი პროგრამების რაოდენობა არც ისეთი დიდია, ზოგადად მედია უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სასოფლო-სამეურნეო ახალ ამბებს და რეგულაციებს. მეორეც, სოციალური მედიის ქსელები ორივე ქვეყანაში სულ უფრო მეტ პოპულარობას იხვეჭს, უფრო მეტიც სოფლად მცხოვრები ფერმერებისთვის ინტერნეტი და სმარტფონები უფრო და უფრო ხელმისაწვდომი ხდება, რაც სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მომსახურებას, წინა წლებთან შედარებით, მათთვის უფრო ხელმისაწვდომს ხდის. და მესამე, საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები აქვეყნებენ ნაშრომებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა თემების ირგვლივ, რაც უკვე ადგილობრივ ენებზეცა ხელმისაწვდომი, და აკმაყოფილებს შზარდ საჯარო ინტერესსა და მოთხოვნებს.

<sup>123</sup> ამონარიდი 2016 წლის 11 ივნისის პროგრამიდან, პროგრამის ნახვა შესაძლებელია საქართველოში <https://www.youtube.com/watch?v=gCMYaAdRRAo> mimoxilulia 2017 wlis 7 maiss

## 7 განართი 1: ჩესკონვენცია სი

#	ორგანიზაცია	რესპონდენტი	ქვეყანა
1	eqNt გლობალი	შაია ჩიტაია	საქართველო
2	პარლამენტის აგრარული კომიტეტი	ივერი ახალბედაშივილი	საქართველო
3	სომხეთის აგრარული კავშირი	ჭრაჩია ბერებრიანი	სომხეთი
4	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო (სკგს)	გიორგი მიშელაძე	საქართველო
5	Ambibi.ge ონლაინ უურნალი	ლალი ფაცია	საქართველო
6	სომხეთი ტვ	სონა დანელიანი	სომხეთი
7	არმნიუზ	არტაკ ალექსანიანი	სომხეთი
8	სომხუატის სოფლის მეურნეობის სტატისტიკის განყოფილება	არსებ ავაგიანი	სომხეთი
9	სომხუატის სოფლის მეურნეობის სტატისტიკის განყოფილება	ანაით ავეტისიანი	სომხეთი
10	ეკონომისტთა ასოციაცია	მიხეილ ჯიბუტი	საქართველო
11	ბიზნეს ტაიმ საქართველო	ქეთევან მღებრიშვილი	საქართველო
12	CARD	ზარუჟი დავტიანი	სომხეთი
13	CARE საერთაშორისო	გია ლლონტი	საქართველო
14	ყველის მწარმოებელთა ასოციაცია	ანა მიქაძე	საქართველო
15	Chir CSC	ტიგრან ცატურიანი	სომხეთი
16	ელგანა	დანი თაბუკაშვილი	საქართველო
17	EPF	ვახტანგ კობალაძე	საქართველო
18	FAO	ზაზა ჭელიძე	საქართველო
19	FAO	გაპან ამირხანიან	სომხეთი
20	ფერმერთა ასოციაცია	ნინო ზამბახიძე	საქართველო
21	სასოფლო-სამეურნეო ასოციაციების ფედერაცია	ნაზელი ვარდანიანი	სომხეთი
22	საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, პროგრამა „ფერმა“	დემეტრე ერგემლიძე	საქართველო
23	საქსტატი	ვასილ წაქაძე	საქართველო
24	ISET	სალომე გელაშვილი	საქართველო
25	მერსი კორი	ირაკლი ქასრაშვილი	საქართველო
26	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამების დეპარტამენტი	ხრაჩია ცრაპნეციანი	სომხეთი
27	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სურსათის უნინბლობის დეპარტამენტი	აშენ შირვანიანი	სომხეთი

28	სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სურსათის უგნებლობის დეპარტამენტი	არმენაკ ალაჯანიანი	სომხეთი
29	სოფლის მეურნეობის სამინისტრო; მინისტრის მოადგილე	ნოდარ კერესელიძე	საქართველო
30	სოფლის მეურნეობის სამინისტრო; პოლიტიკის ანალიზის დეპარტამენტი	ეკატერინე ზვიადაძე	საქართველო
31	ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ეროვნული ცენტრი	ჰოვეთ ჰოვანისიანი	სომხეთი
32	ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის და პრევენციის ეროვნული ცენტრი	რომელა აბოვიანი	სომხეთი
33	სოციალური და შრომის საკითხების სამინისტრო, სოციალური დახმარების დეპარტამენტი	ასთლიქ მინასიანი	სომხეთი
34	სოციალური და შრომითი საკითხების სამინისტრო, ხანდაზმულთა საკითხების დეპარტამენტი	ანაით გევორგიანი	სომხეთი
35	მომხმარებელთა ეროვნული ასოციაცია	მელიქა ჰაკობიანი	სომხეთი
36	დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი	ამირან გამყრელიძე	საქართველო
37	ოქსფამი	ბენუა ტრუდელი	საქართველო
38	ოქსფამი	ნანა თაყვარელია	საქართველო
39	ადამიანი გაჭირვებაში	ბუბა ჯაფარლი	საქართველო
40	პრო-მედია	თამარა ჰოვნატანიანი	სომხეთი
41	რადიო თავისუფლება	პრაირ თამრაზიანი	სომხეთი
42	SME DNC	არტაკ დადოიანი	სომხეთი
43	სურსათის უგნებლობის სახელმწიფო სამსახური	ვაჟან დანელიანი	სომხეთი
44	სურსათის უგნებლობის სახელმწიფო სამსახური (პრს-მდივანი)	ნვარდ არაკელიანი	სომხეთი
45	სტრატეგიული განვითარების სააგენტო	ვარდან ტორჩიანი	სომხეთი
46	Traktor.ge	ნინო კეშელავა	საქართველო
47	UMCOR	გოპარ გრიგორიანი	სომხეთი
48	UNDP	პრიპსიმე მანუკიანი	სომხეთი
49	UNICEF	თამარ უგულავა	საქართველო
50	WFP სომხეთი	ლუკა მოლინას	სომხეთი
51	ქალთა საინფორმაციო ცენტრი	ელენა რუსეცვაია	საქართველო
52	იერკირ მედია	ანა დავტიანი	სომხეთი

## განართი 2: გამოყენებული მასალა

სასფოლო-სამეურნეო კომპერატივების განვითარების სააგენტო, <http://acda.gov.ge/index.php/eng/statistic/118>

სომსტატი (2010), სომხეთში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, 2010 წლის იანვარი, <http://www.armstat.am/en/?nid=81&id=1125>

სომსტატი (2014), სომხეთში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია 2014, <http://www.armstat.am/en/?nid=81&id=1533>

სომსტატი (2015), შრომის ბაზარი სომხეთის რესპუბლიკაში, 2011-2015, [http://www.armstat.am/file/article/9.trud\\_2016\\_4.1.pdf](http://www.armstat.am/file/article/9.trud_2016_4.1.pdf),

სომსტატი (2015), სომხეთში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია, 2015 წლის იანვარი, <http://www.armstat.am/en/?nid=80&id=1645>

სომსტატი, სურსათის ეროვნული ბალანსი, საქონლის მიხედვით, ინდიკატორები და წლები, [http://armstatbank.am/pxweb/en/ArmStatBank/ArmStatBank\\_\\_7%20Food%20Security/FS-1-2015.px?rxid=002cc9e9-1bc8-4ae6-aaa3-40c0e377450a](http://armstatbank.am/pxweb/en/ArmStatBank/ArmStatBank__7%20Food%20Security/FS-1-2015.px?rxid=002cc9e9-1bc8-4ae6-aaa3-40c0e377450a)

კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრები, კავკასიის ბარომეტრის მონაცემები, <http://caucasusbarometer.org/en/datasets/>

კავკასიის კვლევითი რესურს ცენტრები, კავკასიის ბარომეტრი, 2011, 2013 და 2015, <http://caucasusbarometer.org/en/cb2015/TRUMEDI/>

ENPARD (2016), საქართველოს სოფლად განვითარების სტრატეგია, 2017-2020, <http://enpard.ge/en/wp-content/uploads/2015/05/Rural-Development-Strategy-of-Georgia-2017-2020.pdf>

FAO, სასურსათო უსაფრთხოების ინდიკატორები, [www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food\\_Security\\_Indicators.xlsx](http://www.fao.org/fileadmin/templates/ess/foodsecurity/Food_Security_Indicators.xlsx)

FAO, სურსათის ფასების ინდექსი, <http://www.fao.org/worldfoodsituation/foodpricesindex/en/>

FAO, მონაცემთა ბაზა: სომხეთის გეოგრაფია, კლიმატი და მოსახელობა, [http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries\\_regions/ARM/](http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries_regions/ARM/)

FAO, მონაცემთა ბაზა: აზერბაიჯანის გეოგრაფია, კლიმატი და მოსახელობა, [http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries\\_regions/AZE/](http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries_regions/AZE/)

FAO, მონაცემთა ბაზა: საქართველოს გეოგრაფია, კლიმატი და მოსახელობა, [http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries\\_regions/GEO/](http://www.fao.org/nr/water/aquastat/countries_regions/GEO/)

FAO, წარმოების ციფრები, <http://www.fao.org/faostat/en/#data/QC>

საქსტატი (2016), საქართველოს იმპორტი საქონლის ჯავუფების მიხედვით (HS 4 ოთხ-ციფრა კოდით), [http://www.saqstati.ge/index.php?action=page&p\\_id=134&lang=eng](http://www.saqstati.ge/index.php?action=page&p_id=134&lang=eng)

საქსტატი (2016), მესაქონლეობა, [http://www.saqstati.ge/?action=page&p\\_id=427&lang=geo](http://www.saqstati.ge/?action=page&p_id=427&lang=geo)

საქსტატი (2016), მესაქონლეობა, [http://www.saqstati.ge/index.php?action=page&p\\_id=428&lang=eng](http://www.saqstati.ge/index.php?action=page&p_id=428&lang=eng)

GeoWel (2013), სომხეთში და აზერბაიჯანში სოფლის მეურნეობაში ღირებულების შექმნის ჯაჭვში გენდერის როლი, [http://www.geowel.org/index.php?article\\_id=84&clang=0#sthash.2qWBMrjG.dpuf](http://www.geowel.org/index.php?article_id=84&clang=0#sthash.2qWBMrjG.dpuf)

აზერბაიჯანი მთავრობა (2014), სურსათის ბალანსი აზარბაიჯანში, ბაქე

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (2003), ქვეყნის სტრატეგიული პოტენციალის დოკუმენტი, სომხეთის რესპუბლიკა, <https://www.ifad.org/documents/10180/5a197b13-8fae-4770-8ea8-3b206330f36c>

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (2003), ქვეყნის სტრატეგიული პოტენციალის პროგრამა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა, <https://www.ifad.org/documents/10180/d0522075-1942-4d44-99c9-fe5844624972>

სოფლის განვითარების საერთაშორისო ფონდი, [https://operations.ifad.org/web/ifad/operations/country/project/tags/georgia/1760/project\\_overview](https://operations.ifad.org/web/ifad/operations/country/project/tags/georgia/1760/project_overview)

NASDAQ, “ნედლი ნავთობი, დღის ბოლოს საქონლის ფიუჩერსების ფასები”, <http://www.nasdaq.com/markets/crude-oil-brent.aspx?timeframe=10y>

საქართველოს სტატისტიკის სამსახური, სამომხმარებლო ფასების დეტალური ინდექსები, [http://www.saqstati.ge/index.php?action=page&p\\_id=128&lang=eng](http://www.saqstati.ge/index.php?action=page&p_id=128&lang=eng)

საქართველოს სტატისტიკის სამსახური, სამომხმარებლო ფასების ინდექსი, [http://www.saqstati.ge/index.php?action=page&p\\_id=128&lang=eng](http://www.saqstati.ge/index.php?action=page&p_id=128&lang=eng)

სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2016), დემოგრაფიული და ჯანმრთელობის კვლევა სომხეთში 2015-2016 წლები, <https://dhsprogram.com/pubs/pdf/PR79/PR79.pdf>

სომხეთის რესპუბლიკის სტატისტიკის ეროვნული სამსახური (2015), სურსათის ხელმისაწვდომობა, [http://www.armstat.am/file/article/f\\_sec\\_4\\_2016\\_3.pdf](http://www.armstat.am/file/article/f_sec_4_2016_3.pdf)

ოქსფამი (2013), „DCFTA -ის გავლენა მცირე ფერმერებზე საქართველოში“ კვლევა, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

ოქსფამი (2015), ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებების და თანაბარი შესაძლებლობების კვლევის სახელმძღვანელო მეთოდოლოგია, [http://foodsecuritysc.com/wp-content/uploads/2016/05/oqsfami\\_Manual\\_Evaluation-methodology\\_Eng\\_Final-1.pdf](http://foodsecuritysc.com/wp-content/uploads/2016/05/oqsfami_Manual_Evaluation-methodology_Eng_Final-1.pdf)

ოქსფამი (2016), სამხრეთ კავკასიაში კვბის მრავალფეროვნების გენდერული შედარებითი ანალიზი, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

ოქსფამი/ACT (2016), კვების ეროვნული კვლევა საქართველოში, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

ოქსფამი/APR (2015), სომხეთის მოსახლეობის კვების სტატუსის კვლევის ანგარიში, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

ოქსფამი/APR Group (2015), სომხეთის მოსახლეობის კვების სტატუსის კვლევის ანგარიში, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

ოქსფამი/RAPDI (2016), სასურსათო უსაფრთხოება და კვებასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოს მაღალმთაან რეგიონებში, <http://foodsecuritysc.com/publications/?wpv-publicationcategory=project-research>

Oxygen-ის ვებგვერდი <http://oxygen.org.am/index.php/en/what-we-do>

სომხეთის სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ფასები და ფასების ინდექსები სომხეთის რესპუბლიკაში 2011-2015 წწ

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი (2015), მონაცემები ადამიანური რესურსების და დასაქმების შესახებ, დასაქმებული მოსახლეობის რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის კალსიფიკაციის მიხედვით; სეტორი მოცავს სატყეო სექტორს და მეთევზეობას <http://www.azstat.org/MESearch/search?departament=22&lang=en>.

ტარი, დ.ჭ. ., (2016), ‘რუსეთის, ბელარუსის, ყაზახეთის, სომხეთის და ყირგიზეთის რესპუბლიკის ევრაზიული ეკონომიკური კავშირი: მიაღწევს თუ არა ის წარმატებას იქ, სადაც მისი წინამორბედი წარუმატებელი აღმოჩნდა? აღმოსვლეთ ევროპული ეკონომიკა, 54 (1)

ეკონომისტის ანალიტიკური დეპარტამენტი (2016), დემოკრატიის ინდექსი 2016 „ჩაგრულთა“ შურისძიება, [http://pages.eiu.com/rs/783-XMC-194/images/Democracy\\_Index\\_2016.pdf](http://pages.eiu.com/rs/783-XMC-194/images/Democracy_Index_2016.pdf)

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, სამომხმარებლო ბაზარზე ფასების დონე და დინამიკა, სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ფასები (ტარიფები).

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, სამომხმარებლო ბაზარზე ფასების დონე და დინამიკა, მომხმარებლისთვის შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების საშუალო წლიური ფასები (ტარიფები), მანათებში, [http://www.stat.gov.az/source/price\\_tarif/indexen.php](http://www.stat.gov.az/source/price_tarif/indexen.php)

ოქსფამი(2016), სამხრეთ კავკასიაში სასურსათო უსაფრთხოების საბაზისო კვლევა- დასკვნები, <http:////>

[foodsecuritysc.com/publication/baseline-research-food-security-in-the-south-caucasus-summary-of-findings/](http://foodsecuritysc.com/publication/baseline-research-food-security-in-the-south-caucasus-summary-of-findings/)

გაეროს კონფერენცია: ვაჭრობა და განვითარება, <http://unctadstat.unctad.org/wds/ReportFolders/reportFolders.aspx>

UNCTAD, <http://unctadstat.unctad.org/wds/ReportFolders/reportFolders.aspx>

UNICEF, უთანასწორობა კომლების კეთილდღეობის მიხედვით, სომხეთი, [https://www.unicef.org/infoby-country/armenia\\_statistics.html](https://www.unicef.org/infoby-country/armenia_statistics.html)

UNICEF, უთანასწორობა კომლების კეთილდღეობის მიხედვით, აზერბაიჯანი, [https://www.unicef.org/infoby-country/azerbaijan\\_statistics.html](https://www.unicef.org/infoby-country/azerbaijan_statistics.html)

UNICEF, უთანასწორობა კომლების კეთილდღეობის მიხედვით, საქართველო, [https://www.unicef.org/infoby-country/georgia\\_statistics.html](https://www.unicef.org/infoby-country/georgia_statistics.html)

ვარმა, ჯეო და სხვები. (2004), საკვებით გამოწვეული ბოტულიზმი საქართველოს რესპუბლიკაში. ინფექციური დაავადებები <http://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC3320295/>

WHO (2009), კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული 10 საკითხი. [http://www.euro.who.int/\\_\\_data/assets/pdf\\_file/0015/43323/E92744.pdf](http://www.euro.who.int/__data/assets/pdf_file/0015/43323/E92744.pdf) |

ქალები და საზოგადოება <http://womennet.am/en/category/trending-topics/%D5%BC%D5%B8%D5%B2%D5-BB-%D5%BD%D5%B6%D5%B6%D5%BC%D6%82%D5%B6%D5%A4%D5%A8-%D6%87-%D5%AF%D5%A1%D5-B6%D5%A1%D5%B5%D6%84/>

მსოფლიო ბანკი (2009), სიღარიბის შეფასება საქართველოში.

მსოფლიო ბანკი, ნალექების საშუალო დონე.

მსოფლიო ბანკი, მონაცემთა ბანკი [http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=2&series=AG.LND.PRCP.MM&country#](http://databank.worldbank.org/data/reports.aspx?source=2&series=AG.LND.PRCP.MM&country=)

მსოფლიო ბანკი, ლოგისტიკის ფუნქციონირების ინდექსი, <http://lpi.worldbank.org/>

ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია [https://www.oie.int/wahis\\_2/public/wahid.php/CountryInformation/Animalsituation](https://www.oie.int/wahis_2/public/wahid.php/CountryInformation/Animalsituation)

#### (Footnotes)

- 1 ქვეყანაში ან რეგიონში სურსათის მოხმარებისათვის კალორიების საშუალო მიწოდება გაყოფილი მოსახლეობისათვის დათვლილი საკვებით მიღებულ საშუალო ენერგეტიკულ მოთხოვნაზე; ანუ აუცილებელი კალორიებიდან რამდენ პროცენტს იღებს ინდივიდი. ღირებულებები გასაშუალოებულია სამი წლის პერიოდისათვის.
- 2 სურსათის ადგილობრივი ფასების ინდექსი არის ქვეყანაში სურსათის შედარებითი ფასის ინდიკატორი, კერძოდ, საკვების და არა ალკოჰოლური სასმელების შესაძენად ხარჯების წილი ფაქტობრივ ინდივიდუალურ მოხმარებასთან დათვლილია შეყიდველობითი უზარის პარიტეტის საფუძველზე ამერიკის შეერთებული შტატებთან მიმართებაში.
- 3 სურსათის თვიური ფასის ინდექსის საშუალო სტანდარტული გადახრა წინა რვა თვესთან შედარებით
- 4 საშუალო სტანდარტული გადახრა ერთ სულ მოსახლეზე სუსრსათის წლიურ წარმოებაში წინა ხუთი წლის მოცულობასთან შედარებით
- 5 საშუალო სტანდარტული გადახრა ერთ სულ მოსახლეზე სუსრსათის წლიურ წარმოებაში წინა ხუთი წლის მოცულობასთან შედარებით
- 6 იმპორტირებული მარცვლეულის წილი შიდა მიწოდებასთან შედარებით (უარყოფითი მაჩვენებელი მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანა მარცვლეულის ექსპორტიორია)

ანგარიში მომზადდა ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაციის „ოქსფამის”, ”ეროვნული სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის სრულყოფისა და მცირე ფერმერების მხარდაჭერის” პროექტის ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და ოქსფამის მოსაზრებებს.

